ავთანდილ
ნიკოლეიშვილი

გაგრიელ ეპისკოპოსი

/ ქიქოძე /

თბილისი „მერანი"
1990 წ.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნში მოთხრობილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მღვდელმთავრისა და მამულიშვილის, ქართული ეკლესიის მანათობელ ვარსკვლავად აღიარებული სასულიერო მოღვაწის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის ცხოვრება და საზოგადოებრივი ღვაწლი, გაანალიზებულია მისი სიტყვები და მოძღვრებები, რომელთაც მღვდელმთავარი უქადაგებდა მრევლს ეპისკოპოსად თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს.

რეცენზენტები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ლევან მენაგდე.
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რევაზ გარამიძე.

დაიბეჭდა ჟუთაის-გაენათისა და ცაგერ-ლეჩხუმ-სვანეთის ეპარქიების მთავარეპისკოპოსის კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით.

შესავალი

მე-19 საუკუნის ქართული აზროვნების სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია იმ მნიშვნელოვანი წვლილის გაუთვალისწინებლად, რომელიც გაბრიელ ქიქოძეს მიუძღვის ამ მიმართულებით. თავისი აქტიური საღვთისმსახურებლო მოღვაწეობითა და შემოქმედებით მან წარუშლელი კვალი გაავლო ეროვნული კულტურის ისტორიაში და გვერდაუვლელი როლი შეასრულა საზოგადოების ხნეობრივი გაჯანსაღების საქმეში.

ოთხ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, როგორც მოღვაწე და ღვთისმსახური, იგი მტკიცედ იდგა ჩვენი ეროვნული ყოფის შუაგულში სიკეთის მოსარჩლედ და პატიოსნების ქომაგად. თავისი „ქადაგებანითა“ და პრაქტიკული მოღვაწეობით გაბრიელ ეპისკოპოსი იყო მაგალითი ზნეობრივი სიწმინდისა, მამულიშვილობისა და მოყვასისადმი უანგარო სიყვარულისა, თვალსაზრისით, არასოდეს გათიშულა ერთმანეთისაგან მისი სიტყვა და საქმე. ამითაც აიხსნება ის გამორჩეული მოწიწება და თაყვანისცემა, რითაც საყოველთაოდ იყო იგი გარემოსილი.

იმ პერიოდის ბევრი ქართველისათვის გაბრიელ ეპისკოპოსი ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილების იდეალურ მაგალითადაა მიჩნეული. ამიტომაც ისმენდა მის ქადაგებებს უდიდესი გულისყურით ფართო საზოგადოება; ისმენდა წიგნიერიცა და უწიგნურიც, ისმენდა გლეხიცა და ინტელიგენტიც... ვინ იცის, რამდენი მათგანისათვის აუხელია გონების თვალი ამ დიდაქტიკურ შეგონებებს, ცოდვის გზაზე ფეხშედგმული რამდენი კაცი შემოუბრუნებია სიკეთისაკენ. მის სიტყვას ხომ ზემოქმედების უდიდესი ძალა ჰქონდა შეძენილი.

გაბრიელ ეპისკოპოსზე სიყვარულითა და მოკრძალებით წერდნენ და საუბრობდნენ თანამედროვენი. ბევრი ეთაყვანებოდა მას და ქედს იდრეკდა მისი ზნეობრივი სიწმინდის, ღვთისმოსაობისა და მამულიშვილური ღვაწლის წინაშე. როგორც შემოქმედმა, მან

უდიდესი წელილი შეიტანა თავისი დროის მინავლული სასულიერო მწერლობის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების საქმეში.

იკი იყო კაცი, რომელსაც სხვა ცხოვრება, გარდა ღვთისა და ერის უანგარო მსახურებისა, არა ჰქონია; კაცი, რომელიც უღალატოდ ერთგულებდა უფლისაგან შთაგონებულ უწმინდეს მცნებებს.

გაბრიელ ეპისკოპოსისადმი საზოგადოების ესოდენ ფართო სიყვარული და პატივისცემა კიდევ უფრო გამოვლინდა მისი გარდაცვალების შემდგომ. მისმა სიკვდილმა ნათლად გამოაჩინა ის ვაკუუმი, რომელსაც იგი ავსებდა თავისი კაცობითა და ღვთისმოსაობით. ფართო საზოგადოებამ განსაკუთრებული გულისტკივილით გამოიგლოვა გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალება და დიდი შეფასება მისცა მის ეროვნულ ღვაწლსა და დამსახურებას.

პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა მისადმი მიძღვნილი წერილები, მასზე გამოიცა წიგნები, ხოლო მისი „ქადაგებანი“ რამდენიმეჯერ დაისტამბა როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზეც. და თითქმის ყველა, ვისაც კი გაბრიელ ქიქოძის ღვაწლის წარმოსაჩენად კალამი ხელში აუღია, მას ზნეობრივი კეთილშობილებისა და ადამიანური სრულყოფილების იდეალურ მაგალითად სახავდა. იგი იყო მიჩნეული იმ ღვთისმსახურთა ხორცშესხმულ სიმბოლოდ, რომელთა ამაღლებული და სპეტაკი ხატება საუკუნეების მანძილზე იდეალად დამკვიდრდა ჩვენს ცნობიერებაში.

გაბრიელ ეპისკოპოსი ეროვნული ფესვებიდან აღმოცენებული ღვთისმოსავი და მოღვაწეა, წინაპართა მამულიშვილური საქმეების ღირსეული გამგრძელებელი, ვისთვისაც სიცოცხლის უმთავრეს მიზანსწრაფვად მოყვასზე უანგარო ზრუნვა ქცეულიყო. ის იყო კაცი, სიბრძნითა და გონიერებით მსგავსი გიორგი ჭყონდიდელისა, ვის შესახებაც კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „ბუნებით გმირი და თავმოდრეკილი, რომელსაც სიტყვა „მე“ გადავიწყნოდა, მხოლოდ „ჩვენს“ იტყოდა ხოლმე და ამ „ჩვენსში“ იგულისხმებოდა მეფე, მამული, სახელმწიფო. აჰა, კაცი, რომელმაც უარი უთხრა ყოველ ამსოფლიურ ლხენას, არამცთუ ჩაცმულობით შავოსანი, არამედ გულით მგლოვიარე დაქცეული სამშობლოსათვის“...

თავისი უმწიკვლო ცხოვრებითა და მოღვაწეობით „გ. ქიქოძე წარმოგვიდგება მიწიერისა და ზეციურის, ხილულისა და უხილავის, სულიერისა და უსულოს შუამავლად უმთავრესი მიზნისთვის:

ქართველ ადამიანებში რწმენის დაბრუნებით მიწიერ-ეროვნული სულის, მისი უკვდავების დასაცავად და გადასარჩენად" (ვ ა ხ ტ ა ნ გ გ უ რ გ ე ნ ი ძ ე, მეცნიერი, მწიგნობარი, განმანათლებელი, ხელნაწერი, მომაწოდა მთავარეპისკოპოსმა კალისტრატემ. გვ. 10).

ძნელია მოიძებნოს ადამიანის ღვაწლის წარმოსაჩენი საქებარი სიტყვა, რომელსაც ჩვენი ინტელიგენციის პირველხარისხოვანი წარმომადგენლები გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ არ ხმარობდნენ. იგი ერთსულოვნადაა მიჩნეული საქართველოს ეკლესიის ვარსკვლავად, რომელიც მაშინ მოევლინა ჩვენს სამშობლოს, როცა ირგვლივ „უფსკრული ბნელი ღამე" გამეფებულიყო და „ოდნავ ციაგის შუქიც არსად სჩანდა" (იხ. „კვალის" სარედაქციო წერილი, 1893 წ. № 42).

„კვალის" შეფასებით, „მეცხრამეტე საუკუნეში არც ერთი ქველმოქმედი ქართველის სახელი იმდენს სიამოვნებას და პატივისცემას არ აღძრავს თავის ხსენებით თითოეულის ქართველის გულში, როგორც ყოვლად სამღვდელო გაბრიელი. ეს არის თავის ქველმოქმედებით და სათნოებით ნამდვილი წარმომადგენელი, ნამდვილი მემკვიდრე იმ ძველთა წმინდა მამათა, რომელთა სახელი შორიდან უნათებს ქრისტიანობას, ამხნევებს და უღვიძებს მას სულიერ ძალას" (ი ქ ვ ე).

ამიტომაც შეადარა ამ დიდი ღვთისმსახურისა და მამულიშვილის გარდაცვალება ჩვენმა საზოგადოებამ ერთი მანათობელი ვარსკვლავის ჩაქრობას. მთელი საქართველო მოიცვა სამგლოვიარო განწყობილებამ. უწყვეტ ნაკადად დაიძრა ხალხი გელათისაკენ, სადაც ეს წმინდა მამა უნდა დაკრძალულიყო. სამგლოვიარო მიტინგზე ორატორები ერთმანეთს ეცილებოდნენ გარდაცვლილის ღვაწლის განდიდებაში. გამომსვლელებს ბოლო არ უჩანდათ. იმდენად ბევრი იყო სიტყვის მსურველი, რომ თვით ილიასაც კი დაუგვიანეს ტრიბუნასთან მისვლა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მოგონება ექვთიმე თაყაიშვილისა, რომელიც სპეციალურად ჩავიდა თბილისიდან დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად.. „გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედარი, — იგონებს ე. თაყაიშვილი, — გელათის ეკლესიაში იყო დასვენებული, საკურთხევლის წინ. ხალხი მოდიოდა, მჭიდროდ ერტყმოდა კუბოს გარშემო და იყო გაუთავებელი სიტყვები...

ამ მდგომარეობაში ვიყავით, რომ საღამო შემოგვესწრო და ილიამ ჩვითხრა: „ჩემი სიტყვის თქმა აღარ ღირს, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დავიცდით და მერე კი წავიდეთო“. ბოლოს მანვე გვითხრა, „მივიდეთ ახლა და გამოვეთხოვოთ მიცვალებულსაო“. მე წინდაწინ მივედი კუბოს ირგვლივ შემორტყმულ ხალხთან, რამდენადმე გავთიშე იგი და ხმა-მაღლა დავიძახე: „ბატონებო, ცოტა ჩამოდექით და გზა მოგვეცით, ბატონ ილია ჭავჭავაძეს აქვს სიტყვა-მეთქი“. ერთი სიტყვით „პროვოკაცია“ მოვუწყვე ილიას! ხალხი მაშინვე გაიშალა, ილიაც წამოდგა და წარმოსთქვა სიტყვა. მას დიდი პატივისცემითა და აღტაცებით მოუსმინა ხალხმა, რომელსაც გაეჭედა ეკლესია... თვითონ ილიაც კმაყოფილი დარჩა, რომ სთქვა“ (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, 1968 წ. გვ. 254).

გაბრიელ ეპისკოპოსისადმი ამ საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვით ხალხი ერთხელ კიდევ თითქოს წინასწარ უცხადებდა საჯარო თაყვანისცემას ყველა იმ მამულიშვილს, ვინც მომავალშიც ერისა და ქვეყნის სამსახურს უანგაროდ შეწირავდა სიცოცხლეს. ეს დაკრძალვა, ფაქტობრივად, იქცა იმ შთამაგონებელ ძალად, რომელიც ადამიანს ერთხელ კიდევ განუმტკიცებდა სიკეთისა და მამულიშვილობის რწმენას. უნერგავდა იმის შეგნებას, რომ ღვთისა და მოყვასისთვის გაღებული მადლი უკვალოდ არ იკარგება და სიყვარულით ფასდება.

ამიტომაც შეიძინა ამ წმინდა მამის დაკრძალვამ ესოდენ ფართო მასშტაბები და მთელი 46 დღის მანძილზე გარდაცვლილის კუბოს ცრემლი და გულწრფელი გლოვა არ მოჰკლებია; ხალხმა ნაღველი ვერ დაიცხრო, თვალზე კურცხალი ვერ შეიშრო და დარდი ვერ გაინელა.

საზოგადოების, მთელი ქართველი ხალხის, ეს უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული გაბრიელ ეპისკოპოსისადმი ცრემლით გაჯერებული სიტყვებით ჩამოხატა ილია ჭავჭავაძემ. გაბრიელის სახეში მან დაინახა ღვთით წარმოგზავნილი კაცი, რომლის მსგავსი პიროვნებანი ზნეობრივი სიწმინდის იდეალურ მაგალითად ევლინებიან ამ ცოდვილ ქვეყანას: „დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით ინისთანა დიდ-ბუნებოვანს კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწვრთნა და

განმტკიცება... საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი“ (ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩ. ნაწ. 5 ტომად, ტ. IV, 1987 წ. გვ. 419).

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ილიას უდიდესი პატივისცემა გაბრიელ ეპისკოპოსისადმი, რომელიც მისთვის „საისტორიო კაცი“ იყო, „ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით მდგარი ჩვენი ერის მწედ და მფარველად“. ილია, ეს ენაბასრი პოლემიკოსი და ვინმეს შექების დროს სიტყვამომჭირნე პიროვნება, უზომოდ ხელგაშლილია გაბრიელის ღვაწლის განდიდებისას. „თვითეული წამი მისის ცხოვრებისა, — განაცხადა მან დაკრძალვაზე, — მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისთვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა“ (ი ქ ვ ე, გვ. 419-420).

ილია ჭავჭავაძემ მჭევრმეტყველურად დაანახა საზოგადოებას გაბრიელის როგორც ერისკაცული, ისე სარწმუნოებრივი ღვაწლი და ეპისკოპოსი ხალხის უანგარო მსახურის იდეალურ ხატად მიიჩნია. ქართული ორატორული ხელოვნების უბრწყინვალეს ნიმუშად აღიარებულ ამ სიტყვაში მძაფრი ემოციურობითა და ეფექტური შთამბეჭდაობითაა გამოხატული გაბრიელ ეპისკოპოსის დამსახურება. ილიას შეფასებით, გაბრიელი ის უიშვიათესი პიროვნება იყო, რომელიც ერთმანეთთან არიგებდა ისეთ „მოურიგებელ და მოუთავსებელ“ დარგებს. როგორებიც მეცნიერება და სარწმუნოება არიან. „იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა... მისის ბაგით სწორედ თვით ღმერთი მეტყველებდა და ვაი, რომ დადუმდნენ იგი ბაგენი და ვინ იცის, როდისღა გვაღირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, რომელიც დღეს წაგვართვა“.

გაბრიელ ეპისკოპოსისადმი მიმართულ ამ გამოსათხოვარ სიტყვას წინ უძღოდა მრავალი პუბლიკაცია, რომელიც გარდაცვლილის ღვაწლის წარმოჩენას მიუძღვნა ილიამ, როგორც რედაქტორმა, „ივერიის“ ფურცლებზე. ეს მასალები მერეც არაერთხელ დაუბეჭდავს მას თავის გაზეთში და ამ წერილებით ფართო საზოგადოებას ნათლად აცნობდა დიდი ღვთისმსახურისა და მამულიშვილის დამსახურებას.

როგორც ითქვა, გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლის დასაფასებლად ბევრი რამ გაკეთდა მისი გარდაცვალების შემდეგ. ამ თვალსაზრი-

სით განსაკუთრებით გამოვყოფ ორ წიგნს: 1897 წელს ქუთაისში გამოცემულ კრებულს — „სულ-მნათ გაბრიელის საუნჯე“, რომელშიც გაბრიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წერილებია დასტამბული, და ასევე ქუთაისში, 1913 წელს დასტამბულ მელიტონ კელენჯერიძის წიგნს — „გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა)“.

ამასთან ერთად, უთუოდ უნდა დავასახელოთ აგრეთვე პრესაში დაბეჭდილი უამრავი მასალა: წერილები და მოგონებები გაბრიელზე, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და ა. შ. ერთი სიტყვით, გასული საუკუნის მოღვაწეთაგან იშვიათად თუ რგებია ვინმეს ესოდენი ყურადღება და პატივისცემა.

როგორც ვნახეთ, ამ საყოველთაო სიყვარულს საფუძვლად ედო გაბრიელის მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მისი გარდაცვალებით ერმა დაკარგა ფართო მასშტაბის მოღვაწე და ღვთისმსახური, რომელიც შთამომავლობის ხსოვნაში „საფლავიდანაც ანათებს“. „თითოეული სიტყვა და საქმე მისი კანონად დასადებია. დღესაც ჯადოსნურად მოქმედებს მისი ცხოვრების მაგალითები ადამიანზე“ (მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, 1913, წ. გვ. V).

სწორედ ამ დიდმა დამსახურებამ შთააგონა მ. კელენჯერიძეს საფუძვლიანად შეესწავლა გაბრიელის ცხოვრება და მოღვაწეობა და აღეწერა იგი სპეციალურად მისადმი მიძღვნილ წიგნებში. ეს საქმე, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ გააკეთა მან და პირველი წიგნის გამოცემა მოახერხა. წიგნისთვის დართულ წინასიტყვაობაში განმარტებულია ის სირთულენი, რომლებიც მას თავისი კეთილშობილური განზრახვის შესრულების გზაზე შეხვედრია. „ჩვენი სურვილი იყო, — აღნიშნავს იგი, — მოგვესწრო და შეგვეკრიბა თანამედროვე, ჯერ ისევ ცოცხალ საზოგადოებაში ყველა ის ცნობები და მოგონებანი, რაც კიდევ კარგად ახსოვს ყველას. ამას გარდა ცვესარგებლა არხივებში და კერძო ოჯახებში დაცული მასალებით და ეს მასალა ჩვენი შეძლების და გვარად დამუშავებული დაგვეტოვებინა შემდეგ მკვლევართათვის“.

მასალები კი შეუგროვებია და წიგნიც დაუწერია, მაგრამ გამოცემის საქმე მეტად გაძნელებულა, რადგანაც ნაშრომის დაბეჭდვა არავის უკისრია. უსახსრობის გამო, საკუთარი ფულითაც ვერ მო-

უხერხებია მელიტონს წიგნის გამოცემა. მაგრამ ბოლოს, სასომიხ-
დილს, ნიკო ნიკოლაძე დახმარებია. მან უშოვა თურმე საამისოდ
საჭირო ფული. აი, რას წერდა ნ. ნიკოლაძე მას ფოთიდან 1913
წლის 13 სექტემბერს: „...თანახმად თქვენი სურვილისა, გუშინვე
ვიმეცადინე და გიშოვეთ (ფული) პირველი ტომის გამოსაცემად.
ეს ამბავი მომილოცნია თქვენთვის და უფრო მეტად ქართველი სა-
ზოგადოებისათვის. თქვენი მარად ერთგული ნ. ნიკოლაძე“.

წიგნის გამოსაცემად საჭირო თანხა. ნ. ნიკოლაძის შუამდგომ-
ლობით, ვიღაც უცნობ კაცს გაუღია, რომელსაც საკუთარი ვინა-
ობის გამხელა საჭიროდ არ ჩაუთვლია. მ. კელენჯერიძე აღფრთო-
ვანებული უხდის მადლობას ამ „იშვიათი და ჭეშმარიტი ქველმოქ-
მედების“ ჩამდენ უცნობ პიროვნებას, ვისი შემწეობითაც იხილა
მზის სინათლე დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულმა
ამ საინტერესო წიგნმა.

ცხოვრება და მოღვაწეობა

გაბრიელ (ერისკაცობაში გერასიმე) მაქსიმეს ძე ქიქოძე 1825
წლის 15 ნოემბერს დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში
მღვდლის ოჯახში. მამამისი გურიის უკანასკნელი მთავრის — მამია
გურიელის კარის მოძღვარი ყოფილა. სამიტომ, — იგონებს გაბ-
რიელი, — იგი „ხშირად დიდი ხნობით სტოვებდა ოჯახს და ქ.
ოზურგეთში დადიოდა, რომ ხსენებული თავადისათვის შეესრულე-
ბია როგორც წირვა-ლოცვა, ისე სხვა საჭირო საღრმთო წესები“
(ჟურნ. „მწყემსი“, 1896 წ., № 3, გვ. 8). დედა — მარიამ დგებუაძე
ადრევე გარდაცვლილა.

მაქსიმესა და მარიამს ხუთი შვილი ჰყოლიათ. გაბრიელი და მი-
სი ტყუპისცალი ძმა ნაბოლარები ყოფილან. მშობლებს მაინცდა-
მაინც არც გახარებიათ ბავშვების შეძენა. გერასიმეს ძმა ჩვილობა-
შივე დაღუპულა. „ჩემს დედ-მამას ბევრი შვილები ვყავდით და მე
იმათ შორის ყველაზე უმცროსი ვიყავი. დედა ადრე მომიკვდა და
სრულიად არ მახსოვს. ბავშვობისას საშინელი ცელქი ვიყავიო“,—
ასე იგონებს ბავშვობის წლებს გაბრიელი (იხ. კრებული „სულ-
მნათ გაბრიელის საუნჯე“, 1897 წ., გვ. 5).

იმ ოჯახურმა გარემომ, რომელშიც იგი იზრდებოდა, თავიდანვე
გააღვივა ბავშვის გულში რელიგიური რწმენა და ღვთისმსახურე-

ბისადმი სიყვარული. ამ თვალსაზრისით უდიდესი როლი შეასრულა მამამ, რომლის უშუალო მზრუნველობითა და შემწეობით შეისწავლა გაბრიელმა წერა-კითხვა და მიიღო პირველდაწყებითი განათლება. მაქსიმეს ოჯახში სისტემატურად დადიოდნენ მოსწავლეები, რომელთაც იგი საეკლესიო წიგნების კითხვას ასწავლიდა და საეკლესიო გალობაში ავარჯიშებდა, რასაც სრულიად უანგაროდ, ყოველგვარი საზღაურის გარეშე აკეთებდა. მათთან ერთად მეცადინეობდნენ გაბრიელი და მისი და-ძმები.

ასე ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი მომავალი მქადაგებლის ფართო და მრავალმხრივ განათლებას. ასეთივე დიდ დაინტერესებას იჩენდა თურმე გაბრიელი საღვთისმსახურებლო რიტუალების ჩატარებისადმი. პატარაობიდანვე დაჰყვებოდა ხოლმე მამას ეკლესიაში და „დიდს საქმეში იყო: ხან სანთლებს ანთებდა, ხან საცეცხლურს უბერავდა, ხან პატარა ზარებს რეკდა, ხან მამას შესამოსს აძლევდა და ხან რას არ ჩადიოდა... ვერავითარი სკოლა, რომელი ტიპისაც უნდა იყოს იგი და რა გინდა იდეალური მასწავლებლები და აღმზრდელები მუშაობდენ შიგ, ვერ შეძლებს იმ გრძნობის დამყარებას ბავშვის სულში, რა გრძნობითაც იყო გაბრიელი შემკული და შეპყრობილი. ეს ღრმა რელიგიური რწმენა, ეს მუყაითობა და მოუწყინარობა რელიგიურ ვალდებულებათა შესრულებაში, ეს სულიერი სიფრთხილე, ეს მდუღარე ცრემლი, ხატის წინ მყუდრო, ბნელ ოთახში ნაფრქვევი, ეს მუხლზე დგომა საათობით, ეს ღვთისადმი აღპყრობილი ხელები, ყველა ის, რითაც განსვენებულს მღვდელმთავარს განცვიფრებაში ჰყავდა მოსამსახურე და მესაიდუმლე პირები, ჩნდება და ვითარდება, მუშავდება, მტკიცდება მხოლოდ იმ სკოლაში, რომელსაც ეწოდება ოჯახი“ (მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, 1913 წ., გვ. 10—11).

როგორც გურიის მთავრის მოძღვარი, მაქსიმე ხშირად დადიოდა სასახლეში და თან დაყავდა გაბრიელიც. აქაურმა გარემომ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვის ცნობიერებაზე. სასახლეში გატარებულმა დღეებმა კიდევ უფრო მეტად გააღვივეს მისი ინტერესები, გაფართოვდა გონების თვალსაწიერი. აქვე შეხვედრია და დაახლოებია იგი რუს ფელდფებელს, რომელიც მაქსიმეს წირვა-ლოცვაში ეხმარებოდა. „მამა-ჩემის თხოვნითა და იმისსავე ზედამხედველობითო. — იგონებს ხანდაზმულობისას გაბრი-

ელი, — ფელდფებელმა დამიწყო სლავიანური ანბანის, ლოცვებისა და წერა-კითხვის სწავლებაო“ (კრებული — „სულ-მნათ გაბრიელის საუნჯე“, 1897 წ., გვ. 7). სწორედ აქ გაიტეხა მან ენა რუსულში, რაც საიმედო საფუძველი გახდა სამომავლოდ მისი სწავლა-განათლებისა.

სხვათა შორის, აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ გარდა რუსულისა, გაბრიელს ჩინებულად სცოდნია ფრანგულიც, ხოლო სამეცნიერო მუშაობისათვის თავისუფლად იყენებდა გერმანულ ენასაც.

1837 წელს გ. ქიქოძე შევიდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, 1839 წელს კი სწავლა განაგრძო სემინარიაში, სადაც ორი წელიწადი დაჰყო. ეს ის პერიოდი იყო, როცა საქართველოში უკვე არნახული მასშტაბები ჰქონდა შეძენილი ცარიზმის რუსიფიკაციულ პოლიტიკას და გადაგვარების გზაზე დამდგარ ქართველებში „მოდათ“ იყო შემოღებული გვარების შეცვლა რუსული გვარების მიბაძვით (მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 25). ასეთები საკმაოდ მრავლად სწავლობდნენ თბილისის სასულიერო სემინარიაში. გაბრიელის ამხანაგები, თითო-ოროლას გამოკლებით, სამწუხაროდ, სწორედ ამგვარად გვარებგადარუსებული ქართველები იყვნენ. სწავლებაც, ბუნებრივია, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

ასე აღმოჩნდა ყმაწვილი სემინარიელი სამშობლოშივე არამშობლიურ გარემოში, რომლის მესვეურები ყველანაირად ცდილობდნენ ბავშვის ცნობიერებიდან ეროვნული ფესვების ამოძირკვას. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა რუსეთში წასვლის შედეგად. მაგრამ, საბედნიეროდ, გაბრიელის ეროვნული თვითშეგნება, პირიქით, ამით კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიკვეთა. მართალია, სამშობლოში ახლადმობრუნებულს ქართულად წერა და მეტყველება ცოტათი კი უჭირდა, მაგრამ მშობლიურ გარემოსთან დაშორებით გაჩენილი ენობრივი ხარვეზები მალე დაძლია და შეუვალი სიმტკიცით დადგა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის აქტიურად მებრძოლი ქართველი მოღვაწეების გვერდით.

მივუბრუნდეთ ისევ თბილისის სასულიერო სემინარიას. გაბრიელის მამა ამ დროისათვის უკვე საკმაოდ ხანდაზმულიც იყო და გაღარიბებულიც. ასე რომ, მას საიმისო შესაძლებლობა არ ჰქონდა, შვილებისთვის თბილისში ესწავლებინა და ხელი გაემართა. მაგრამ

გაბრიელს, როგორც წარჩინებულ სემინარიელს, უკვე მოესწრო თავის შეყვარება პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლებისთვის. ამათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა სიტყვიერების პროფესორი ფ. კანევსკი, რომელმაც მშობლიური მზრუნველობა გამოიჩინა საყვარელი მოსწავლის მიმართ. კერძოდ, იგი შეუთანხმდა მაქსიმეს და 1841 წელს, თბილისიდან სამუშაოდ ფსკოვში გადასულმა, გაბრიელიც თან წაიყვანა სასწავლებლად.

ფსკოვის სასულიერო სემინარიაში გაბრიელი 1841-1843 წლებში სწავლობდა. 1844 წელს კი პეტერბურგში გადავიდა და 1845 წელს, იქაური სემინარიის დამთავრების შემდეგ, სასულიერო აკადემიაში განაგრძო სწავლა, რომელიც 1849 წელს დაასრულა. პეტერბურგში მყოფ გერასიმეს „ძლიერ აღელვებს შორეული სამშობლოს ბედი. იგი თვალწინ ხედავს დანგრეულ საქართველოს, ბაგრატიონთა საგვარეულო ოჯახის დამსხვრევას და ამ ნამსხვრევების აქა-იქ რუსეთის ქალაქებში დაბნევას“ (მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 32).

1849 წელს გაბრიელმა ცოლად შეირთო მარიამ ნიკოლოზის ასული ვლადიკინა, პეტერბურგელი მღვდლის შვილი, და სამუშაოდ გადმოვიდა თბილისში. მან საშსახური დაიწყო სასულიერო სემინარიის ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ საღვთისმეტყველო საგნებში. „მიუხედავად მოვალეობის სიმძიმისა და დროის ხასიათისა, გერასიმე ისე ატარებს ამ თანამდებობას, რომ ვერავითარ ულმობელ ისტორიულ კრიტიკას ვერ ძალუძს რაიმე ჩირქი მოსცხოს მის ადამიანობას და მის საინსპექციო მოქმედებას. იშვიათად შეხვდებით თქვენ ასეთს ჰუმანურ პირს, ასეთ კეთილშობილებას, როგორსაც იჩენს გერასიმე შეგირდებთან დამოკიდებულებაში“ (მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 39-40).

ბ. ქიქოძემ ხუთი წელი დაჰყო ინსპექტორად. 1851 წელს, შეთაკვეთით, ინიშნება ფიზიკა-მათემატიკის პროფესორად და აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევა.

„ყოველ საღამოს სემინარიის აივანი, — იგონებს მისი ყოფილი მოსწავლე იაკობ გოგებაშვილი, — წარმოადგენს გაცხოველებული დავის ასპარეზს“. იგი იმდენად გაიტაცა პედაგოგობამ, რომ 1854 წელს სერთოდ დაანება თავი ინსპექტორობას და მხოლოდ მასწავლებლობდა. 1855 წელს თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტი-

ტუტში საღვთო სჯულის მასწავლებლობაც შეითავსა. 1856 წელს ეკურთხა მღვდლად.

გარდა პედაგოგობისა, გ. ქიქოძე აქტიურ მეცნიერულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ფსიქოლოგიით, ფილოსოფიითა და ღვთისმეტყველებით. გატაცებით კითხულობდა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, წერდა მეცნიერულ ნაშრომებს, ერთი სიტყვით, მეცნიერისა და მასწავლებლის აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდა.

მაგრამ ასე, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა. 1856 წელს, 32 წლის ასაკში, მას თავს დაატყდა უდიდესი უბედურება: ერთბაშად დაეხოცა ცოლი და შვილები. ამ ტრაგედიის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ი. გოგებაშვილი. გაბრიელის უფროსმა შვილმა, „ხუთი წლის პეტრამ, — წერს ივ. — დედის, ძმისა და დის სიკვდილის შემდეგ, მთელი თავისი სიყვარული მამაზე გადაიტანა... როცა მამა გაკვეთილებზე იყო, პეტია მალულად მიდიოდა სახლიდან, ბიირბენდა სემინარიაში, წყნარად შედიოდა კლასში, გაკვეთილების დამთავრებამდე ჩუმად იჯდა კარების ახლოს და თვალს არ აშორებდა მამას. მაგრამ მამამ ეს უკანასკნელი თავისი იმედიც დამარხა და საბოლოოდ დაობლდა“ (ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, თხზ. ტ. IV, 1954 წ. გვ. 43).

გაბრიელის ცოლისა და შვილების საფლავები დიდხანს არ იყო ცნობილი საზოგადოებისათვის. და ი. ამას წინათ, თბილისის ვერის სასაფლაოზე, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ახლადამოქმედებულ ეკლესიაში, მიკვლეულ იქნა გ. ქიქოძის მეუღლისა და ბავშვების სამარხი, რომელიც აკურთხა ამ ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა მამა ელისემ (გაზ. „საქშობლო“, 1990 წ. 12 ივნისი).

ოჯახური ტრაგედიით თავზარდაცემული გაბრიელი იმ წელსვე ბერად აღიკვეცა, თუმცა მასწავლებლობისთვის თავი მაინც არ დაუნებებია. ეს უბედურება მან გარდაუვალ ბედისწერად და უფლის ნებად მიიჩნია და ნებისყოფის არანორმალური დაძაბვითა და საკუთარ თავთან ჭიდილით სცადა ქედი არ მოეხარა მწუხარებისათვის. ი. გოგებაშვილის მოგონებით, „ოჯახის დაკარგვაში მღვდელმა ქიქოძემ დაინახა განგების ხელი, რომელიც მას სულ სხვა, უფრო ფართო და ნაყოფიერი გზით წარმართავდა, რის გამო მაღე

აღიკვეცა ბერად“ (იქვე, გვ. 43). ამიტომაც არ მისცემია სასოწარკვეთილებას, არ ჩაუქნევია ხელი და განახლებული ძალით შეუდგა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

სწორედ ამ მოღვაწეობაში ჰპოვა მან ამიერიდან ცხოვრების აზრი, საბოლოოდ დათრგუნა ყოველგვარი პიროვნული მისწრაფება და მხოლოდ ღვთისა და ხალხის სამსახური დაისახა სიცოცხლის უზენაეს იდეალად. ი. გოგებაშვილისავე თქმით, მისი ცხოვრების უმთავრეს პრინციპად ამიერიდან იქცა „ყველაფერი — სარწმუნოებისათვის და არაფერი — საკუთარი თავისათვის“.

რა წინაალმდეგობანი და უსიამოვნებანი არ შეხვდა მას ამ უძნელეს გზაზე, მაგრამ მოყვასისადმი უანგარო სიყვარულმა ყველაფერს ძლია. მთელი მისი ცხოვრება ეს არის მაგალითი დიდსულოვნებისა, საკუთარ თავთან ჭიდილში გამარჯვებისა, სულიერი გაუტეხელობისა და რწმენისადმი უღალატო ერთგულებისა. „მტკიცე ხასიათი მისი ვერ განდრიკა, ვერ შეაფერხა ვერც ჩუმად ბეზღობამ, ვერც ზოგთა პირისპირ შეურაცხყოფამ, ვერცა მუქარამა, ვერ შეარყია მისი ღრმა სიყვარული მოყვასისადმი“ (კრებული „სულმნათ გაბრიელის საუნჯე“, გვ. 21).

1858 წელს გაბრიელი დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრად გაამწესეს. იმავე წელსვე იგი გადაჰყავთ გორის ეპისკოპოსად, ხოლო 1860 წლის 2 ივლისს იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად ეკურთხა და გარდაცვალებამდე ამ სამწყსოს მღვდელმთავარი იყო.

იმერეთის ეპარქიაში გაბრიელის საეპისკოპოსო მოღვაწეობამ, თანამედროვეთა დახასიათებით, არნახული ნაყოფი გამოიღო. „არა მგონია, რომ რომელიმე მწყემს-მთავრის მოქმედებას არამცთუ ჩვენში, არამედ ევროპაშიაც მოეტანოს სამწყსოსთვის იმაზედ უნაყოფიერესი შედეგი, რომელიც შესძღვნა იმერთა ერსა განსვენებულმა მღვდელთ-მთავრის ოც-და-თხუთმეტი წლის თავდადებულმა მოღვაწეობამა... ხალხი დაემსგავსა მეტ-ნაკლებობით თავისს მწყემსთ-მთავარს, რომლის გამუდმებულის გავლენის ქვეშ იგი დიდ ხანს იმყოფებოდა“. გაბრიელი განუყოფელად იყო შეკავშირებული თავის სამწყსოსთან „ყველა ეროვნულის სიმებით“, როგორც „ღვიძლი მამა“. ქადაგებდა „წმინდა ზნეობას“, — ასე შეაფასა გ. ქიქოძის მოღვაწეობის შედეგი იაკობ გოგებაშვილმა.

გაბრიელ ეპისკოპოსის ხანგრძლივი და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან განსაკუთრებით ნაყოფიერი ხანა იმერეთის ეპარქიაში მღვდელმსახურების წლები იყო. ამ პერიოდში იმერეთის ეპარქია, ფაქტობრივად, მთელს დასავლეთ საქართველოს ერთიანებდა. სხვადასხვა დროს, იგი მოიცავდა სამეგრელოს, გურიას, აფხაზეთს, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმს.

ასე რომ, გაბრიელის საღვთისმსახურებლო ეპარქია, არსებითად, ნახევარი საქართველოსაგან შედგებოდა და მანაც აქტიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. იგი გახდა თაოსანი ყველა იმ საქველმოქმედო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმისა, რომელიც კეთდებოდა იმ პერიოდისათვის. ამის შესახებ მრავალი კონკრეტული მაგალითის დასახელება შეგვიძლია გაბრიელის ცხოვრებიდან. იგი არ ყოფილა მხოლოდ საეკლესიო მოღვაწეობით შემოფარგლული მღვდელმთავარი და დაუღლელად წინამძღვრობდა საერო საქმეებსაც.

გაბრიელის მოსვლამდე იმერეთში „სარწმუნოებისათვის ერის გული მეტად გაციებული იყო, სამღვდელოება უმეცარი და ანგარებით იყო შეპყრობილი". ბოროტება და ავკაცობა იმდენად აღზევებულიყო, რომ „ანგარი ხელი საქართველოს ერის წმინდა წმინდათასაც კი შეეხო. ეს ის დრო იყო, როდესაც გელათის ხახულის ღვთისმშობლის ხატი... გაძარცვეს... აი, ამ დროს მოვიდა იმერეთში გაბრიელ ეპისკოპოსი და თავისი მხნე მოქმედებით სუგეში სცა ზნეობით დაჩაგრულს სამღვდელოებას" („კვალი", 1893 წ., № 42, გვ. 2). ხალხმა გულით შეიყვარა მოყვასისა და პატიოსნების ქომაგი მოძღვარი, მის სიტყვას მიენდო, მისგან ნაქადაგევ საღვთო შეშმარიტებას მიაპყრო გულისყური. ამიტომაც იყო, რომ გაბრიელისადმი სიყვარული და პატივისცემა დღითიდღე იზრდებოდა საზოგადოებაში და „მისნი ქადაგებანი... იმერეთის ეკლესიაში წირვის დროს ისე იკითხებოდა, როგორც წმინდა მამათა ნაწარმოებები" (ი ქ ვ ე).

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა გაბრიელი ხალხის განწავლა-განათლებისადმი. მისი თაოსნობით დასავლეთ საქართველოში ასზე მეტი სამრევლო სკოლა და მრავალი ბიბლიოთეკა გაიხსნა. მისივე ხელმძღვანელობით ქუთაისში 1890 წელს დაარსდა ქალთა სასწავლებელი, 1894 წელს კი სასულიერო სემინარია. გ. ქი-

ჭოშის შემწეობითა და დახმარებით მრავალმა ღარიბმა მოსწავლემ მიღო განათლება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც. „იგი მრავალ მოსწავლე ყმაწვილებს ხელს აწოდებდა. მრავალ ყმაწვილებს თავის სახლშიდვე ინახავდა, აძლევდა მათ სასწავლებლებში და სწავლის ქირასაც მათ მაგიერ იხდიდა; იგი ისრე სიყვარულით და უბარალოთ ექცეოდა ამ ყმაწვილებს, რომ მათთან სადილობდა და ბაასობდა იმა მიზნით, რომელ მათში გაეღვიძებინა ყოველივე კეთილ-შობილური აზრი, დაენერგა მათ ნორჩ გულში სიყვარული სიმდაბლისადმი“ (დეკანოზ ი. ჭეიშვილის სიტყვა, ჟურნ. „მწყემსი“, 1896 წ., 3 თებერვალი, გვ. 4).

გაბრიელის აქტიური ზრუნვის შედეგად მრავალი ეკლესია აიგო და შეკეთდა იმერეთის ეპარქიაში. მაგალითად, ნიკორწმინდისა, ბიჭვინთისა, მოქვისა, ილორისა... (სულ ორასზე მეტი). „ამ დიდ საკულტო აღშენებლობით მოღვაწეობას თან ახლდა გაბრიელის მიერ თითქმის ყოველწლიურად საკმოდ სოლიდური საკუთარი თანხის გაღება ეკლესიების მშენებლობაზე“ (შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, მ. კ ე ზ ე ვ ა ძ ე. გაბრიელ ქიქოძე ქართულ სიძველეთა დამცველი, „განთიადი“, 1989 წ., № 5, გვ. 276).

ასევე აქტიურად იღვწოდა იგი ხალხის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. იყო გულუხვი შემწე და მწყალობელი ღარიბთა და დავრდომილთა, დააარსა სპეციალური სამზრუნველო სასულიერო წოდების ქვრივებისა და ობოლთათვის.

ერთი სიტყვით, გაბრიელ ეპისკოპოსი წარმოადგენდა უანგარო ქველმოქმედისა და მღვდელმსახურის იდეალურ მაგალითს, რის გამოც მრევლის უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურა.

„ქველმოქმედი და მოწყალე“ — აი, ჭეშმარიტად სამართლიანი, დამსახურებული სახელი ჩვენი სიამაყის გაბრიელისა, — ასე ახასიათებს მას მელიტონ კელენჯერიძე. — ამ მოჭირნახულე კაცის გული გაღებული იყო ყოველი ჭირვეული ადამიანისათვის და ყოველი საზოგადოებრივი საქმისათვის. ობოლი და ქვრივი, ღარიბი და სნეული, გასათხოვარი ქალი და თვალცრემლიანი დედა, დამწვარი და ბრმა, ბერი და მღვდელი, გარეშე და მოყვასი, განათლული, ურია და თათარი, ყველანი თანაგრძნობას პოულობენ ამ მღვდელმთავრის გულში და ნუგეშობენ მით (მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 149).

გაბრიელის აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასტურად მაშინდელ პრესიდან და ეპისკოპოსის თანამედროვეთა მოგონებებიდან მოყვანილი კონკრეტული ფაქტის ჩოტანა შეიძლება. მაგალითად, ჟურნალ „მწყემსში“ (1896 წ., № 2) გამოქვეყნებული დ. ღამბაშიძის წერილით ვტყობილობთ, რომ „მისი მეუფების მეცადინეობით და შეგონებით იმერეთის ეპარქიაში აღშენდა რამდენიმე ათასი ქვიტკირის და ხის ახალი ეკლესიები; ქუთაისში მათი მეუფების თაოსნობით აშენდა მშვენიერი საკათედრო ტაძარი, წმინდა გიორგის და საფიჩხიის ამაღლების ეკლესიები, აშენდა ვრცელი შენობა ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლისათვის. მათი მეუფების მეცადინეობით გაიხსნა სამრევლო სკოლები, რომელთა დაარსების გამო მათ მეუფებას დიდი უსიამოვნება შეხვდა ამ სკოლების მოწინააღმდეგე პირებთან“.

1887 წელს გაბრიელის თაოსნობით შეიქმნა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი. იგი შედგებოდა საუკეთესო მგალობლებისაგან. კომიტეტს... უნდა შეეგროვებინა და ნოტებზე გადაეღო გალობანი, რათა შემდგომ თაობებს არ დაკარგვოდა ეს ფასდაუდებელი განძი“ (ნ. ნ ა დ ა რ ა ი ა, გაბრიელ ქიქოძის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, „სკოლა და ცხოვრება“, 1984 წ., № 2, გვ. 49).

როგორც ვხედავთ, გაბრიელ ეპისკოპოსი აქტიურად იყო გატაცებული არა მარტო საეკლესიო, არამედ ერისკაცული მოღვაწეობითაც. იგი საფუძვლიანად იცნობდა ჩვენი ხალხის ჭირ-ვარამს და თავდადებით იღვწოდა მისი დაძლევისათვის. ამ მიზნით ძალიან ბევრს მოგზაურობდა თავის ეპარქიაში. თანამედროვეთა ცნობით, ფაქტობრივად, იმერეთში არ იყო სოფელი, სადაც გაბრიელი არ მისულიყო და არ ექადაგა. „მის დღიურში ხშირად შეხვდებოდით ცნობებს იმაზე, თუ რავდენი ქალი გაუმზითებია, რავდენი ტყვე უხსნია, რავდენი უპატრონო მკვდარი დაუსაფლავებია, რავდენი ფართლეული უყიდია შიშველთა შესამოსად, რავდენი გზის ქირა გადაუხდია, რავდენი შეგირდისათვის სასწავლო ნივთები უყიდია, რავდენი სნეული საავადმყოფოში მიუცია და უექიმებია...

აგერ ხიდია ჩანგრეული და გაკეთება უნდა, იქ ეკლესიას სამკაული, ან გუმბათზე ჯვარი აკლია, იქ სკოლას... კონკერტი გაუმართა საქველმოქმედო მიზნით... ყველა ამ მოვლენებს ჩვენი მღვდელ-მთავარი ეოთგულ ვუშაგად უდგა. ხან ეკლესიას აშე-

ნებს, ხან სკოლას, ხან სასწავლებლებს მუდმივ ჯამაგირს უნიშნავს, ხან ომში დაჭრილთათვის ფულს სწირავს, ხიდების გაკეთებაში მონაწილეობას იღებს... სასწავლებლებში ისე როგორ დაესწრება, რომ ხუთი-ათი თუმანი არ შესწიროს“ (მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 149-150).

ასეთი იყო ის საქმიანობა, რომელსაც გაბრიელ ეპისკოპოსი ეწეოდა იმერეთის ეპარქიაში თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე და რომელმაც ხალხის უსაზღვრო სიყვარული მოუპოვა მას. მის სახელთან განუყოფელად იყო დაკავშირებული გაჭირვებულთა იმედი, სასოება და ნუგეში. იგი იყო ზნეობისა და პატიოსნების საიმედო ფარი, ადამიანთათვის რწმენის მიმცემი და განმამტკიცებელი მოძღვარი, კაცი, ვისი პირითაც თითქოს თვით ღმერთი ქადაგებდა ჭეშმარიტებას, საქმით კი პირადად იძლეოდა ამ ჭეშმარიტებისადმი უანგარო და ფანატიკური მსახურების მაგალითს.

„კვალის“ სარედაქციო წერილის ცნობით (1893 წ., № 42, გვ. 2), „იმერეთში არ დარჩენილა არც ერთი დავრდომილი, რომელსაც არ განეცადოს მისი მოწყალება. არც ერთი კაცთმოყვარული საზოგადო დაწესებულება არ დაარსებულა იმერეთში, რომ გაბრიელი არ შეწეოდეს“.

მაგრამ ამ დიდ სიყვარულთან და მადლიერებასთან ერთად, უსიამოვნებაც მრავალგზის მიუყენებიათ, გულიც არაერთხელ უტკენიათ და დაუმსახურებელი წყენაც შეუხვედრებიათ. თუმცა, როგორც ღვთისმოსავი, საოცრად სულგრძელი და მიმტევებელი იყო. არასოდეს დაეშვებოდა ჭორის დონემდე, ვნებათა ღელვას არ აყვებოდა, არ აჩქარდებოდა, ანგარიშის სწორებას არ მოყვებოდა და გულში ბოღმას არ ჩაიდებდა; პირიქით, დიდსულოვნად შეუნდობდა და აპატიებდა, რადგანაც ყოველ ადამიანში იგი, პირველ ყოვლისა, მოყვასს ხედავდა.

ამ პატიებაში გულწრფელად იგრძნობოდა გზადაბნეული და ცოდვით გონებადაბნელებული კაცისთვის შემნდობად ხელის გაწვდენის სურვილი, მისი სულის გადარჩენისა და ბოროტების ტყვეობისგან დახსნისთვის უანგარო ზრუნვა. ვინ იცის, რამდენი ადამიანი გაუკეთილშობილებია მას ამ გზით და სიკეთის თესლი გაუღვივებია მის სულში. ამ შემთხვევაში იგი, როგორც ღვთისმსახური. დიდსულოვნად აკეთებდა უფლისგან შთაგონებულ საქმეს,

რადგანაც ღრმად სწამდა, რომ მისი უპირველესი მოვალეობა შურისძიება კი არა, შენდობა და მიტევება იყო.

ნათქვამის დასტურად აქ ერთ ასეთ ფაქტს გავიხსენებ: 1875 წელს გაბრიელ ეპისკოპოსს ბრალად დასდეს გელათისა და ქუთაისის ეკლესიების სიძველეთა მოპარვა. ამის შესახებ საინტერესო დოკუმენტური მასალები მოიძია და გამოაქვეყნა ნ. ნადარაიამ (ვრცლად იხ. სამეცნიერო საინფორმაციო ბიულეტენი, 37-38, 1980 წ. ნ. ნადარაიას წერილი — „გელათის საქმე" და გაბრიელ ქიქოძე"). ამ მასალებით უტყუარადაა დადასტურებული ეპისკოპოსისთვის წაყენებული ბრალდების სრული სიყალბე. მაგრამ ვიდრე სიმართლე გაირკვეოდა, მაშინდელ პრესაშიც, სასულიერო წრეებშიცა და ხალხშიც ათასგვარი მითქმა-მოთქმა თუ ჭორი გავრცელდა. დაინიშნა გამოძიება. შეიქმნა კომისიები, ცილისმწამებლები არ ცხრებოდნენ, საჩივარს საჩივარზე წერდნენ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი გაირკვა.

ანდა აკაკის მიერ მოთხრობილი ასეთი ამბავი გავიხსენოთ: თავიდანვეო, — იგონებს მგოსანი, — გაბრიელ ეპისკოპოსის დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი და ვინც მასზე რაიმე ცუდს იტყოდა, კრიჭაში ვეცემოდი ხოლმეო. მაგრამ მღვდელმთავრის მისამართით ნალაპარაკევმა ჭორებმა იმდენი ქნეს. მეც დამაეჭვეს მის სიწმინდეშიო. გაბრიელს თურმე ბრალად დებდნენ, ეპისკოპოსი შენდობის წიგნს კითხულობს და ინდულგენციებს ჰყიდისო. ერთხელაც, სრულიად მოულოდნელად, აკაკიც გამხდარა ამ ფაქტის მოწმე. აღშფოთებულმა, — დასძენს მწერალი, — მაშინვე გასაკიცხი წერილი დავწერე და „დროების" რედაქციაში ვაპირებდი დასაბეჭდად გაგზავნასო. მაგრამ ვიდრე გაგზავნიდა, გადაუწყვეტია სტატია თავად მღვდელმთავრისთვის ეჩვენებინა და მისი აზრი პირადად გაეგო. გაბრიელმა მშვიდად და ღიმილით მოუსმინა თურმე, ბოლოს საზოგადოებრივი საქმით დაინტერესება შეუქო აკაკის და თავისი მოქმედების არსი ამგვარად აუხსნა:

„შენც კარგად იცი, რომ მე აბალჩამოსულობაზე პირველ ხანებში... საწირავსაც არ ვიღებდი... გამოცდილებამ სულ სხვა რამეზე დამარწმუნა: ჯერ ერთი, ეს, რომ ჩვენ ხალხს ადრიდანვე ჩვეულებად ჰქონია გადაქცეული!.. როცა შენდობას ითხოვს, ცხადია, რომ ის თავის გულში იხედება, სინანულში ვარდება და ეს კარგია... ამ გვარი რამ ადამიანს გულიდან არ უნდა ამოურეცხო! და რაც

შეეხება სასყიდლის აღებას, ეს ისე აუცილებელ და საჭირო ძღვნად მიაჩნია ჩვენ ხალხს, როგორც ხატის წინ სანთლის ანთება! ამის აკრძალვას ისე მიიღებს, როგორც სანთლის ანთების დაშლას. ახლა პრაქტიკულად გავსინჯოთ ეგ საქმე. ის თვითო-ოროლა წვლილი, რომელსაც იძლევიან თავის სურვილით, ამათ არად დააკლდებათ. ბევრი ძათგანი სულ ცუდად დახარჯავს წარა-შარა სადმე დუქანში ლოთობის დროს და მე კი ვაგროვებ და საზოგადო დანიშნულებას ვაძლევ. ამგვარად მათი წვლილის შეგროვება და ხარჯვა შემწირველებისთვისაც მადლია და ქვეყნისთვისაც სასარგებლო. აი ეს არის ჩემი აზრი და ჩემი შეხედულება და შენ როგორც გინდოდეს ისე მოიქცი, გინდ გაგზავნე ეგ სტატია დასაბეჭდად და გინდ არაო" (ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ. ტ. XIII, 1961 წ. გვ 476).

გაბრიელ ეპისკოპოსის პასუხით თვალახელილი „სინანულში ჩავვარდი და უფრო ფრთხილად ვეკიდებოდი საქმესო", — შენიშნავს იქვე აკაკი და ნატრობს: „გაბრიელისთანა მოძღვარი რომ ჩვენ ახალგაზრდობასაც გამოუჩნდებოდეს ხოლმე, მადლია! — მაშინ ისინი ბევრ შეცდომას აიცდენდნენ თავიდანო".

განსაკუთრებით ზრუნავდა გაბრიელ ეპისკოპოსი სასულიერო პირთა ზნეობრივი სიწმინდის დასცავად. მღვდელმსახური, ვინც სხვას უნდა შთააგონებდეს ზნეობრივ სისპეტაკეს და პატიოსნებას, უპირველეს ყოვლისა, თავად უნდა იყოს მორალურად სუფთა კაცი. საზოგადოდ, სინამდვილეში ყოველთვის როდი იყო ასე. სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შორის ანგარებით მოხვედრილნიცა და გაბოროტძალველნიც საკმაოდ იყვნენ. გაბრიელმა იმერეთის ეპარქიაში ეპისკოპოსად კურთხევის პირველი დღეებიდანვე მიზნად დაისახა მათთან უკომპრომისო ბრძოლა და ბევრი მათგანი გააძევა ეკლესიიდან, რის გამოც ვრავალი უსიამოვნებაც შეხვდა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ექვთიმე თაყაიშვილი (იხ. მისი — რჩ. ნაშრომები, ტ. I, 1968 წ. გვ. 256). გაბრიელის ეპისკოპოსობის დროს სამეგრელოს მღვდელმთავრად ყოფილა გრიგოლ დადიანი, „რომელსაც ბევრ უზნეობას სწამებდნენ. გაბრიელს ჩამოეგდო ამის შესახებ მასთან ლაპარაკი, დადიანს ეს შეურაცხყოფად მიუღია და ეთქვა: - „მეც ისევე მღვდელმთავარი ვარ, როგორც თქვენ და ასეთი ამბავი ჩვენს შორის არ

ეგეპისო". გაბრიელს უპასუხია: „მართალია, მღვდელმთავარი კი ხართ, მაგრამ პავლე მოციქული ამბობს, ვამხილოთ ერთმანეთი".

ასე ებრძოდა გაბრიელ ეპისკოპოსი ანგარებიან მღვდლებს. ეს ბრძოლა არ იყო იოლი, რადგანაც, დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ხშირად მღვდლად ინიშნებოდა „ალა ის, ვინც მეტი იცოდა და უფრო ღირსი იყო, არამედ ის, ვისაც სახსრები ნებას აძლევდა მოეგო გამომცდელის გული" (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. III, 1954 წ., გვ. 44). როგორც ვხედავთ, საკულიერო თანამდებობანი ზოგჯერ ვაჭრობის საგნად იყო ქცეული, რის აღსაკვეთადაც გაბრიელმა თავდადებული ბრძოლა გააჩაღა.

ამ ამბით განაწყენებულები გაბრიელის სიკვდილის შემდეგაც კი ცდილობდნენ მისთვის სამაგიეროს გადახდას და მის სახელს აუგით იხსენიებდნენ. ამის დასტურად აქ გავიხსენებ ერთ ცნობილ ფაქტს. გაბრიელის გარდაცვალების გამო რუსულ გაზეთ „კავკაზში" ილია ხონელმა დაბეჭდა ნეკროლოგი, სადაც დამცირებული იყო ეპისკოპოსის ღვაწლი. ამის მიზეზი ყოფილა გაბრიელისა და ილიას მამის — მღვდელ ლუკა ბახტაძის სამსახურებრივი შეტაკება, რაც ილიას მარცხით დამთავრდა.

„გაბრიელ ეპისკოპოსი, — წერდა ილია ხონელი, — პირი ყოვლად განათლებული თავისი დროის შესაფერისათ. ჩინებული პედაგოგი, გასაოცარი ორატორი. ვერ იყო ადმინისტრატორი... ამისთვის მას აკლდა ის სულის სიმშვიდე, ბუნების თანაბრობა, ის პირუთვნელობა თავის თავისა და სხვათადმი. რაიც კაცს სიფრთხილეს აჩვევს... თითქმის შეუძლებლათ მიაჩნდათ მასთან საქმის დაჭერა ძალიან მძიმე ხასიათის გამო. მისი მკაცრი (деспотическая натура) ხასიათი წინააღმდეგობას ვერ იტანდა და ხშირად იქცეოდა ისე, რომ სამართლიანათ ეწოდა მას სახელი „მებრძოლი ბერისა". ის ყველაზე ეჭვიანობდა, ყველას ერჩოდა, ყველასთან საომარ ფეხზე იდგა" (ეს ნეკროლოგი 1896 წლის მე-8 ნომერში გადმობეჭდა „კვალმა" ი. ხონელის იმ სტატიასთან — „ღია წერილი ბ. ილია ჭავჭავაძისადმი" — ერთად, რომელიც ნეკროლოგის ავტორმა „ივერიის" კრიტიკის საპასუხოდ დაწერა).

ილია ხონელის ნეკროლოგის საპასუხოდ, „ივერიის" 1896 წლის 32-ე ნომერში ხელმოუწერლად დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის წერი-

ლი, სადაც მკაცრადაა გაკრიტიკებული ი. ხონელი გაბრიელის ღვაწლის დამცირების გამო.

ილია წერდა: „ვაი, რომ ჯერ, როცა ამისთანა კაცი საფლავში არ ჩაგვისვენებია, როცა მისი წმინდა გვამი თითქოს არც კი გაციეებულა, ჩვენი რუსული გაზეთი „კავკაზი“ გვიგინებს მიცვალებულსა, მთელის საქართველოს წმინდა ცრემლში ურევს უწმინდურს დორბლს, ილია ხონელისას და ზედ აყრის ჯერ არ გაციეებულს გვამსა“.

ილიას აზრით, ესაა მოუთმენელი შეურაცხყოფა მთელი ქართველი ხალხისა, რადგანაც „ეგ კაცი ჩვენი სახელი იყო და არის, ჩვენი ღირსება იყო, არის და იქნება კიდეც, ვიდრე ქვეყანაზე სიტყვა „სამართალი“ არ გაუქმდება, ისე როგორც გაუუქმებია იგი ჩვენს საყვარელ ილია ხონელს, რომლის პირითაც მოგვდგომიხართ და საყვარელს მკვდარსაც არ გვამარხვინებთ შეუგინებლად. აქ ან საბუთი ან ბოდიში!.. სხვა არარა დააწყნარებს აღშფოთებულ გულს პატიოსანის კაცისას“.

ცოტა უფრო ადრე კი („ივერია“, 27-ე ნომერი) სარედაქციო წერილში ილია წერდა: „გაზეთი „კავკაზი“ არა სცხრება. არ იქნა, ჩვენი ქართველური ვერა მოვაწონეთ-რა. მოწონებას ვინა ჰფიქრობს. შესაძლოა ბევრი წუნი გვქონდეს და რად უნდა აეკრძალოს გაზეთს გამოგვიმეღავნოს ის წუნი. ოღონდ ყველაფერს, ქება იქნება თუ კიცხვა, სამართლიანი მიზეზი უნდა ჰქონდეს. მხოლოდ მაშინ აქვს ფასი ქებასაც და კიცხვასაც...

არც ერთი ჩვენ მიერ დაწყებული და წარმართული საქმე არ გადარჩენია „კავკაზს“, რომ ილია ხონელის წარამარა კალმის წვერით არ ააგდოს ქვა და არ შეუშვიროს თავი... „კავკაზს“ ყოველივე ქართული თვალში ეკლადა აქვს გაყრილი“, ცდილობს, „ყველაფერს სახელი გაუტეხოს, თავზე ლაფი დაასხას, მიწასთან გაასწოროს, გაჩენისვე უმალ მოაკვდინოს“. ეს იმიტომაც ხდებაო, — უმატებს ილია გაზეთის 32-ე ნომერში დასტამბულ წერილში, — რომ რუსებმა ჩვენში ეროვნული გრძნობის გაღვიეება და, მათ შორის, გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებით გამოწვეული სახალხო მწუხარება „ნაციონალური მოძრაობის გამოვლინებად მიიჩნიეს“.

როგორ ჰგავს ეს ყველაფერი ხილულად თუ შენიღბულად მიმდინარე იმ ბრძოლას, რომელსაც ქართველი ხალხის წინააღმდეგ დღესაც აწარმოებს რუსული პრესა. იგივე ლანძღვა-გინება, თავს

ლაფის დასხმა, ბოლმითა და შურით გაჟღენთილი სტატიები... თითქოს არაფერიც არ შეცვლილა კონკრეტული ავტორების გარდა. კოლონიური ჩაგვრისა და ეროვნული ფესვების ამოძირკვის ძველი ხერხები და საშუალებანი კვლავინდებურად უცვლელი ფორმითაა გამოყენებული.

მივუბრუნდეთ კვლავ ილია ხონელს. მან და მისმა ძმამ შემდეგ წლებშიც აქტიურად გააგრძელეს გაბრიელის სახელის წასაბილწად ბრძოლა. 1916 წელს ჟურნალ „ცხოვრების“ XVII — XVIII ნომერში ილია ბასტაძის ძმამ — ლუკამ დაბეჭდა წერილი, სადაც ერთხელ კიდევ გალანძღულია და შეურაცხყოფილი გაბრიელ ეპისკოპოსი. ამ ფაქტმა აღაშფოთა საზოგადოება. მკაცრად შეუტიეს ჟურნალის რედაქტორ რომანოზ ფანცხავასაც (ხომლელს), რომელიც ამის გამო ლუკას პირად წერილში წერდა: „საშინელი შედეგი იქონია შენმა წერილმა გაბრიელზე. ვინც კი იწერდა „ცხოვრებას“, ყველამ უკან გამომიბრუნა — არა, ჩვენ ოჯახში ამისთანა ჟურნალს ვერ შევიტანთო. შარშან გაბრიელის ვულისთვის ჩამომეცალა 80 — 100 ხელმომწერი“

ასე შერისხა ხალხმა სტატიის ავტორიცა და ჟურნალის რედაქტორიც საყვარელი მღვდელმთავრის სახელის დაუმსახურებელი შეურაცხყოფისათვის. შეურაცხყოფელი და აღმაშფოთებელი კი წერილში ბევრი რამაა. ავტორის აზრით, გაბრიელი ის კაცი იყო, რომელიც „სხვის თვალში ბეწვს ეძებდა და თავის თვალში კი დვირეს ვერ ამჩნევდა“. იგი ბრალს დებდა აგრეთვე მას გელათის „გაძარცვაში“ და ბედის ირონიას ხედავს იმაში, რომ ქართველმა ხალხმა „საუკუნო მონათ მიუსაჯა გაბრიელს მისგან გაცარცული გელათი“ (ამ ფაქტთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ. ს. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ი ს სტატია: — ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილისა და მისი გამომწვევი მიზეზის გამო, „მნათობი“, 1959 წ., № 10).

მაგრამ, როგორც ითქვა, ასეთ ავყია მოპაექრეებს აღშფოთებით ხვდებოდა საზოგადოება. ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს საქებარი სიტყვა არ დაუშურებიათ გაბრიელ ეპისკოპოსის დიდი მამულიშვილური ღვაწლის დასაფასებლად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ილია ჭავჭავაძე და გაბრიელის ყოფილი მოსწავლე იაკობ გოგებაშვილი.

ზემოთ უკვე მოხსენიებული და მკითხველისთვის კარგად ცნობილი ილიას გამოსათხოვარი სიტყვის გარდა, აქ დავასახელებ შე-

დარებით უცნობ მასალას, საიდანაც ნათლად ჩანს ამ ორი დიდი ქართველი მოღვაწის დამოკიდებულება გაბრიელისადმი. მხედველობაში მაქვს ზაქარია კიკნაძის მიერ მიკვლეული სამი წერილი (იხ. ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის", 1956 წ., № 6, გვ. 32—83), რომელნიც საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივშია (ფონდი 481, საქმე № 278. ფურც. 12) დაცული.

1890 წლის 21 ნოემბერს ი. გოგებაშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება გაბრიელის საპატიო წევრად არჩევის თაობაზე. მასში ეწერა: „გაბრიელმა, ეპისკოპოსმა იმერეთისამ, ფრიად დიდი სამსახური გაუწია ხალხის განათლებას საქართველოში.

პირველად: ორკლასიან, კეთილმოწყობილი სკოლის დაარსებით გურიაში სოფელ ბახვში თავისი საკუთარი ხარჯით...

მეორედ: ძოავალი სამრეკლო სკოლების დაარსებით თავის ეპარქიაში და სხვა ღონისძიებებითაც, რომელთა წყალობით წერა-კითხვა ეხლა ძლიერ გავრცელებულია იმერეთის მხარეში.

მესამედ: თავისი ფრიად შესანიშნავი ქადაგებით, ხალხისთვის გასაგები ენით დაწერილნით, რომელხიც ორ ტომად დაიბეჭდნენ. რამდენიმე გამოცემად და რომელნიც ინგლისურს ეხაზედაც კი თარგმნენ.

და მეოთხედ იმით, რომ თავდაპირველადვე... გაბრიელმა ნამდვილი თანაგრძნობა გამოუჩინა ჩვენს საზოგადოებას, წესდებულებას ხელი მოაწერა, როგორც დამფუძნებელმა წევრმა და იმ თავითვე შემოიტანა ოცდაათი თუმანი ფული ხვედრი დამფუძნებელ წევრობისა და ყოველ წლივ შემოაქვს საწევრო ფული".

ამ დროისათვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძე ბრძანდებოდა და, ცხადია, გაბრიელის საპატიო წევრად არჩევას ვერაფერი დააბრკოლებდა. ასეც მოხდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ილიამ გაბრიელ ეპისკოპოსს ასეთი წერილი მისწერა:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890 წ. ერთბაშად აღიარა უღრმესის პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართული მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და ერთხმადვე,

დაადგინა უმორჩილესად გთხოვოთ მიიღოთ ამ „საზოგადოების“ საპატიო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს „საზოგადოებას“ გზა მისაღწევად მისდა დანიშნულებისა.

უმორჩილესად მოვახსენებ რა თქვენს ყოვლად უსამღვდელოებას ამ განაჩენს „საზოგადოებისა“, ვალად ვრაცხ ზედ დავძინო, რომ „საზოგადოების“ გულწრფელი ნატვრაა ინებოთ თქვენ მისი საპატიო წევრობა მისდა სასიქადულოდ და თავ-მოსაწონად“.

ილიას ამ წერილს უღრმესი მადლობით გამოეპასუხა გაბრიელ ეპისკოპოსი. „უმორჩილესად გთხოვთ, — წერდა იგი ი. ჭავჭავაძეს, — გადასცეთ ჩემგნით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კრებას, რომ დიდ პატივად და ჯილდოდ ვრაცხ ჩემ თავს მათგან საპატიო წევრად აღრჩევასა; ამისთვის მზად ვარ მივიღო ჯეროვანი მონაწილეობა მაგა საზოგადოებაში, რომელსაც ამისთანა მოწოდებისათვის შევწირავ უჯულოთადეს მადლობას. ხოლო თქვენ ბრწყინვალებას ვსთხოვ მიიღოს ჩემგან უღრმესი და უწრფელესი მადლობა თქვენ წერილში გამოთქმული პატივისცემისათვის. მე არ ვრაცხ ჩემ თავს ღირსად ამ საქმისა, რომელიც ამოვიკითხე თქვენ წერილში და ვგონებ ერთმა ბოლოდ თქვენმა მეგობარულმა ჩემდამი განწყობილებამ შეგაგონათ თქვენ ჩემდამი ამოდენი ჩემი ქება“.

ზ. კიკნაძის მიერ მიკვლეული და გამოქვეყნებული ეს დოკუმენტები ნათლად გვიხატავენ იმ პატივისცემას, რომელსაც ჩვენი ინტელიგენცია იჩენდა გაბრიელ ეპისკოპოსის ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისადმი.

სწავლა-განათლების საქმით გაბრიელის განსაკუთრებული დაინტერესება შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. როგორც უკვე ვნახეთ, იგი თავად იყო დიდი პედაგოგი და თავისი ცხოვრების მოწოდებად მასწავლებლობას მიიჩნევდა, რაც პრაქტიკულად გამოვლინდა კიდეც მისი პედაგოგიური მოღვაწეობის წლებში. გაბრიელ ეპისკოპოსის სამასწავლებლო საქმიანობა განუყოფლადაა დაკავშირებული მის მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან. ამ კუთხითაც მან, როგორც მკვლევარმა და სწავლულმა, საგულისხმო წარმატებები მოიპოვა.

ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ ფართოდ გახმაურებული მისი ნაშრომი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რო-

მელიც რუსულად დაიბეჭდა 1858 წელს. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა ნ. ა. დობროლიუბოვმა, რომლის რეცენზიაც ჟურნალ „სოვრემენიკის“ 1859 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა. „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ მეცნიერულ ღირსებებზე არაერთგზის გაუმახვილებიათ ყურადღება სპეციალისტებს (ა. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, თ. კ უ კ ა ვ ა, ვ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე...), რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ გ. ქიქოძის ფართო მეცნიერულ განსწავლულობასა და ერუდიციას. მათი აღიარებით, გაბრიელის ნაშრომი მაშინდელი ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარებაში ახალ ეტაპს ქმნის. წიგნისადმი ინტერესს ზრდიდა ის გარემოებაც, რომ იგი გასული საუკუნის სამოციან წლებში მთელი რუსეთის იმპერიაში, ფაქტობრივად, ფსიქოლოგიის ერთადერთ სახელმძღვანელოდ იყო .მიჩნეული.

* * *

თავისი ეროვნული მსოფლმხედველობით გაბრიელ ეპისკოპოსი ღირსეული წარმომადგენელია მე-19 საუკუნის ქართული პროგრესული ინტელიგენციისა. იგი თავგამოდებით იღვწოდა ქართველთა ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, გმობდა და უპირისპირდებოდა რუსი კოლონიზატორების ყოველგვარ ცდას, ხელეყოთ და მოესპოთ ჩვენი ხალხის ისტორიული ფასეულობანი.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი მშობლიური ენის უფლებათა დასაცავად. დასაცავი კი ბევრი რამ იყო. გადაგვარების მოსურნენი, სამწუხაროდ, გარეთაც მრავლად იყვნენ და შინაც იპოვებოდნენ. ხელისუფლება ყველა გზასა და საშუალებას მიმართავდა საიმისოდ, ხალხის ცნობიერებიდან ერთიანად ამოეშირკვა ეროვნული ფესვები. ერთ-ერთი იყო სასწავლებლიდან ქართული ენის გაძევების მცდელობა, რასაც არაერთგზის მიმართეს. ერის მოწინავე შვილები თავდადებით ებრძოდნენ მთავრობის ასეთ პოლიტიკას და საკადრის პასუხს სცემდნენ მტრებს

ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის გაბრიელ ეპისკოპოსსაც. როგორც ცნობილია, იგი გაბედულად აღუდგა წინ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს — პ. იანოვსკის, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ქართული ენის გაძევებას სასწავლებლებიდან,

ამ შემთხვევაში გაბრიელი ღირსეული თანამოაზრე და თანამებრძოლი აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობისა და მათთან ერთად გაბედულად გაილაშქრა იანოვსკის შავრაზმული პოლიტიკის წინააღმდეგ. ილიას სიტყვებით. „იგი ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად“.

გაბრიელის ეროვნული თვალსაზრისის საფუძველთა საფუძველად ქცეული იყო შეუვალი რწმენა იმისა, რომ ხალხის „ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა... ძნელია და შეუძლებელი ხალხისთვის მისი მოსპობა“ (ჟურნ „მოამბე“, 1896 წ., № 3, გვ. 99).

სწორედ ამ შეუძლებლის მიღწევას ცდილობდნენ რუსი კოლონიზატორები, რომელთაც სურდათ ენის წართმევით ეროვნული სახე დაეკარგათ ქართველი ერისათვის და გადაეგვარებინათ იგი. საჭუხაროდ, იშვიათად, აღწევდნენ კიდეც მიზანს, რადგანაც ჩვენს ხალხშიც გამოერეოდნენ ისეთი „რუსეთუმე“ ღამურები. რომლებიც პირადი კეთილდღეობის მოპოვებისთვის „ფეხებზე იკიდებდნენ“ ერსაც და ქვეყანასაც. უფრო მეტიც. იყვნენ ისეთებიც. რომლებიც არათუ თავად თმობდნენ მშობლიურ ენას. არამედ, საზოგადოდ. ქადაგებდნენ „მეცნიერულ თეორიას“ „პატარა“ ერების გაქრობისა და „დიდ“ ხალხებთან მათი აუცილებელი შერწყმის შესახებ. ეს მათ „უნივერსალურ-მსოფლიო კანონად“ მიაჩნდათ, რომელსაც წინ ვერაფერი აღუდგებოდა. ასე ცდილობდნენ იმპერიის ნასუფრალით მოსყიდული ეს „ინტერნაციონალისტები“ კიდევ უფრო განემტკიცებინათ საქართველოში რუსული კოლონიალიზმი.

ერთ-ერთი ასეთი ვაი-ქართველი იყო მუხრანსკი. რომელიც რუსულ ენაზე გამოცემულ ბროშურაში ამტკიცებდა „პატარა“ ერების, და მათ შორის, რასაკვირველია. ქართველი ერის. „დიდ“ ხალხში ვითქვეფის აუცილებლობას. მუხრანსკის ამ სამარცხვინო „თეორიას“ გაბედულად აღუდგა წინ ხალხი. იგი „დაჰგმო და შეაჩვენა ჩვენმა მწერლობამ. ინტელიგენციამ, თავადაზნაურობამ, სამღვდელოებამ, მთელმა საქართველომ. თვით მშვიდობიანი და მომთმენი გაბრიელი ააღელვა, შეაძრწუნა ამ უკულმართობამ და მოაწერინა ავტორისათვის წერილი, რომელშიც იგი აბრალებდა მას ულმობელობას, უდიერობას... იგი უმტკიცებდა უკულმართის წიგნაკის ავტორს რომ... განათლება, ყოველი პროგრესული მიმართულება ჩვენს ხალხში შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ქართულის ენის

მეოხებითო“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. III, 1954 წ., გვ. 338).

მუხრანსკისადმი მიწერილ წერილშიც და სხვაგანაც გაბრიელ ეპისკოპოსს არაერთხელ გამოუთქვამს თავისი გულისწყრომა ეროვნული გადაგვარების ამ მომაკვდინებელი საფრთხის გამო და დაუგმია მშობლიური ენისადმი გულგრილი დამოკიდებულება. „რას ვშვრებით, რას ვსწავლობთ? სად მივდივართ? — შეშფოთებული კითხულობდა იგი ერთგან და იქვე უმატებდა: — მხოლოდ რუსულად ლაპარაკში ხედავენ განათლებას: დაუვიწყნიათ ყოველი კარგი, რაც მოსაწონი იყო ძველ დროებაში: ნაცვლად ამისა ეჩვევიან ყოველსა ცუდსა და საძაგელსა.“

გაბრიელ ეპისკოპოსი თავის სარწმუნოებრივ და ეროვნულ მოვალეობად თვლიდა გამოეფხიზლებინა და სატანის ტყვეობისაგან დაეხსნა ვადაგვარების გზაზე ფეხშედგმული ყოველი ქართველი. ჩკუაზე მრეყვანა. გონების თვალი აეხილა, გაეღვიძებინა მთელმარე ეროვნული ცნობიერება. მისი „მოწოდება იყო, ადამიანისთვის დაებრუნებია ადამიანობა — რწმენა, იმედი და სიყვარული; გადაერჩინა საუკუნეების მანძილზე დამპყრობელთაგან მოსპობის პირამდე მიყვანილი ეროვნული ენერგია და ხალხში შეეტანა ქრისტიანული სამართლიანობის ნათელი შუქი...

მართალია, მწიგნობარი და პედაგოგი, უპირველეს რიგში, იყო ქრისტიანობის მსახური, ღვთის მეტყველი, მაგრამ სასულიერო მოღვაწეობა სრულიადაც არ უშლიდა ხელს ყოფილიყო „მეწიერი“, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხებოდა ეროვნული სულის გადარჩენას“ (ვახტანგ გურგენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 3).

ამ მიზნით დაიწერა გ. ქიქოძის მრავალი წერილი და ქადაგება, მათ შორის 1872 წლის 21 ნოემბერს მუხრანსკისადმი გაგზავნილი ბარათიც, სადაც დიდი ტაქტითა და ქრისტიანული თავშეკავებულობით, დინჯად და დასაბუთებულად, ესწრაფვის ეპისკოპოსი დაბნელებული გონება გაუნათოს უბადრუკი „თეორიის“ ავტორს.

ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, იგი ცდილობს თავისი შეხედულება ისტორიიდან მოხმობილი მაგალითებით განმტკიცოს და დაასაბუთოს. „რით ამტკიცებ შენ, რომ ის მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქარვება) არის პუნების წესი?“ — ეკითხება გაბრიელ ეპისკოპოსი მუხრანსკის (დასახელებული წერილი იხ. კრებულში — „სულმნათი გაბრიელის საუნჯე“, 1897 წ.). — პირიქით, ხალხი უნდა ეცადოს ენის გავრცელებას, გამდიდრებას და არა

დამარხვასა და დაკარგვას". გაბრიელი თვლის, რომ „ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი" სწორედ ენა არის. მშობლიურ ენას მოკლებული ყოველი ხალხი მოკლებულია ყოველივარ ინდივიდუალურ ნიშან-თვისებას და „უსარგებლოა თავისთვისაც და სხვისთვისაც".

ეს მით უფრო უნდა ითქვას ისეთი დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ერებზე, როგორებიც ქართველები და სომხები არიან. მათი ბრწყინვალე წარსული არავითარ საფუძველს არ იძლევა იმგვარი ნიჰილიზმისათვის, საჯმდეც მუხრანსკი მიდის თავისი უბადრუკი „თეორიით". ენისა და ერის სიდიდე და ისტორიული ფუნქცია ხალხის რიცხობრივი რაოდენობით არ განისაზღვრება. „ქართველის და სომხების ენანი, — წერდა გაბრიელი, — თუმცა მცირე ხალხების ენანი არიან, მაგრამ არა ღარიბნი. ამ ენებს აქვს მწიკნობრობა. ლიტერატურა, საღმთო წერილი, წმ. მამათა წერილნი ნათარგმნი. ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის. მათ აქვსთ ორი ათასი წლის მეტი ისტორია. ისინი იყვნენ ოდესმე თვით მდგომარენი სახელმწიფონი: ერთი სიტყვით აქვთ მათ ყოველი ელემენტი არსებობისა და სიცოცხლისა. ამისთვის მათი ენის განქარვება ძნელად საფიქრებელია, შეუძლებელია".

მშობლიური ენის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლა გაბრიელ ეპისკოპოსმა განუყოფელად დაუკავშირა ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობის მოთხოვნას. ეს ყველაზე მეტად, როგორც ითქვა, იანოვსკისთან გამართულ ბრძოლაში გამოჩნდა. იანკოვსკი, რომელიც კავკასიის ოლქის მზრუნველი იყო 1878-99 წლებში, შეეცადა მთლიანად გაენედევნა სკოლებიდან ქართული ენა და მის მაგივრად რუსული დაემკვიდრებინა. ჰის ამ მისწრაფებას გაბედულად აღუდგა წინ ჩვენი ინტელიგენცია. მათ შორის იყო გაბრიელიც.

როგორც ცნობილია, გ. ქიქოძე, ვიდრე მლვდელმთავარი გახდებოდა, აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და ყველანაირად ცდილობდა სწავლების პროცესი პროგრესულ დიდაქტიკურ-აღმზრდელობით პრინციპებზე დაეფუძნებინა. მან, რუსულად განათლებამიღებულმა ქართველმა კაცმა, შესანიშნავად იცოდა მშობლიური ენის მნიშვნელობა სწავლების საქმეში. ღრმად სწამდა, რომ „თუ სწავლა სკოლაში მშობლიურ ენაზე არ სწარმოებს, ფუჭია ყოველი შრომა და მეცადინეობა. არა თუ დაბალ სკოლებში, გიმნაზიებშიც სწავლება სამშობლო ენაზე უნდა იყოს. რა დიდი

შეცდომაა, როცა ზოგიერთების აზრით არა თუ სხვა საგნები, ასე განსაკუთ, საღვთო სკულიც უცხო ენაზე უნდა ისწავლებოდეს".

რა გასაკვირია, რომ ამ მსოფლმხედველობის კაცს თავდადებით ეღვაწა მშობლიური ენის უფლებათა დასაცავად და გაბედულად ებრძოლა ყველას წინააღმდეგ, ვინც ამ თვალსაზრისს დაუპირისპირდებოდა. ბრძოლა კი, როგორც ითქვა, ნამდვილად იყო საჭირო, რადგანაც არაერთხელ გაჩენილა საფრთხე სკოლებიდან ქართული ენის გაძევებისა.

ამის თაობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ ამ საკითხზე ერთხელ კიდევ უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რათა სრულყოფილად შეეაფასოთ გაბრიელ ქიქოძის, როგორც მამულიშვილის, ეროვნული მრწამსი. „1892 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კ. პ. იანოვსკიმ დასავლეთ საქართველოს სამრევლო სკოლების შემოწმების შემდეგ ეგზარქოს პალადისადმი წარგზავნილ მოხსენებითს ბარათში ქართველებს (მეგრელ-სვანებს) ველურები უწოდა და ეგზარქოსს ურჩია, ქართული სამღვდელოების გონების შეზღუდლობის გამო პირველდაწყებით სკოლებში რუსი სამღვდელო პირები დაენიშნა... გაბრიელ ქიქოძემ ახსნა-განმარტებით ბარათში ასე გაბედულად მიმართა პალადი იანოვსკის: „ეს ანგარიში უკიდურესობამდე შეურაცხმყოფელია მთელი სამღვდელოებისათვის და მთელი ქართველი ხალხისთვისაც კი" (ნ. ნ ა დ ა რ ი ა, „გელათის საქმე" და გაბრიელ ქიქოძე, სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, 37—38, 1980 წ., გვ. 54).

სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. მღვდელმთავარი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე აქტიურად იღვწოდა მშობლიური ენის უფლებათა დასაცავად, სხვა პოზიციას ვერ დაიჭერდა. ასე მოიქცა ის იმ შემთხვევაშიც, როცა იანოვსკის პოლიტიკის გამტარებელმა, ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორმა ლევიტსკიმ სცადა სასწავლებლებიდან ქართულის გაძევება. ამის გამო ლევიტსკი გააფთრებით ებრძოდა გაბრიელს და მოითხოვდა მის გადაყენებას ეპისკოპოსობიდან, რისთვისაც ზემდგომ ორგანოებში ხშირად აგზავნიდა დასმენებსა და საჩივრებს გაბრიელზე. „ეპარქიის ხელმძღვანელი, — წერდა იგი ერთ საჩივარში,— „ტუზემეცი" არის, რომელიც მოსთქვამს და გოდებს, რომ რუსული ენის ხარჯზე ითელება და იზღუდება მშობლიური ენაო" (ამის

თაობაზე დაწვრილებით იხ. ს. სხირტლაძის წერილი კრებულში „იაკობ გოგებაშვილი“, 1960 წ.).

გაბრიელის კონფლიქტი იანოვსკისთან იმდენად ფართოდ გახმაურდა, რომ მას იმ პერიოდის მრავალი მოღვაწე იგონებს. მაგალითად, დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში ამის გამო წერს: „ხალხს ღრმად უყვარდა გაბრიელი, ტკბილი მოუბარი, უბრალო, თავმდაბალი, მისი კეთილისმყოფელი, მისი დამცველი და ქომაგი. ყველამ ზედმიწევნით იცოდა, რა სასტიკი პასუხი გასცა მან საოლქო განათლების მზრუნველს ცნობილ იანოვსკის, რა გაბედულად გადმოუშალა მისი ანტიპედაგოგიური მიმართულება, რომელიც მას შემოჰქონდა ჩვენს სასწავლებლებში ერის გადაგვარების წადილით“.

ასევე დიდი უთანხმოება ჰქონდა გაბრიელს ეროვნულ ნიადაგზე ეგზარხოს ევსევისთანაც, რაც შემდგომში განხეთქილებამდეც მისულა. ი. გოგებაშვილის მოგონებით, 1874 წელს გაბრიელს მისთვის დასაბეჭდად გაუგზავნია თავისი „ქადაგებანი“, ეგზარხოსს ნებართვა არ მიუცია და უთქვამს: „რა უნდა ნეტავი... სურს კიდევ უფრო გამოიჩინოს თავი და განათლდეს. მაშ თვითონვე გაატაროს ცენზურაშიო“. გაბრიელზე გაბრაზებულ ევსევის, შურისძიების მიზნით, როცა იგი ავად იყო, რევიზია გაუგზავნია, რასაც, არაობიექტური შეხედულების გამო, დიდი მითქმა-მოთქმა მოყოლია.

ზემდგომ დაწესებულებებთან და პიროვნებებთან ამგვარ დაპირისპირებას ხშირად მათი გულისწყრომაც მოჰყვებოდა ხოლმე. დროდადრო გაბრიელზე საიდუმლო მეთვალყურეობაც ყოფილა დაწესებული, რადგანაც ის მთავრობისთვის არასაიმედო კაცად იყო მიჩნეული. ამის თაობაზე საინტერესო ცნობებს ვხვდებით ს. სხირტლაძის სტატიაში „ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილისა და მისი გაქომწვევი მიზეზის გამო“ („მნათობი“, 1959 წ., № 10).

1885 წელს ოხრანკის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს გაბრიელის მდივანი, ცნობილი პუბლიცისტი ესტატე მკედლიძე (ბოსლეველი). რადგანაც გაბრიელი ბოსლეველის მფარველად და დამცველად ითვლებოდა (ბოსლეველს ამხანად პოლიცია სდევნიდა), მასაც მისვლია მუქარის წერილები... „იმის რიდმა და შიშმა, რომ მოსალოდნელი მკვლელობით ქართველ ხალხს კვლავ ახალი სამარცხვინო ჩირქი მოეცხებოდა, — წერს ს. სხირტლაძე, — გაბრიელს

საქართველოს დროებით დატოვება აფიქრებინეს". ამ მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ ყველა აღაშფოთა. გაბრიელის მტრებმა ასალაგმავად გაბედულად აღიმაღლა ხმა „ივერიამ".

ს. სხირტლაძეს მოჰყავს ფრაგმენტი გრიგოლ ყიფშიძის წერილიდან, რომელიც „ივერიის" 1885 წლის მე-6 ნომერში დაისტამბა: „ვინც იცის, რა ღვაწლი მიუძღვის გაბრიელს ჩვენი ქვეყნის წინაშე, იმას ამ ამბავმა თავზარი დასცა. როგორ? გაბრიელი, ეგ ჩვენი სასიქადულო კაცი, ეგ ჩვენი ერის გულმტკივნეული მქადაგებელი, მაღალის ზნეობისა, მაღალის განათლების მექონი, რომლის სახელითაც თავს უნდა ვიწონებდეთ ყველანი ქართველნი ქვეყნის წინაშე, ჩვენგან შიდის, ჩვენ გვცილდება, ჩვენს სიავეს, უბედურებას ვერ უძლებს, მოდი და თავზარი ნუ დაგეცემა".

„დროების" კორესპონდენტისთვის გაბრიელს უთქვამს, როცა ესტატე მჭედლიძე მოკლეს, მეც მაშინვე მომივიდა მუქარის წერილიო. „ჩემი სულის სიმდაბლე იყო, რომ შევშინდი, მაგრამ მთლად ჩემი თავისთვისაც არ შევშინებულვარ. მე ერთი ხნიერი კაცი ვარ. დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არა მაქვს, მაგრამ რომ მართლა მოვეკალით, რა ჩირქი დაედებოდა მთელ ხალხს, რომელმაც თავისი მოძღვარი ასე სასტიკად გაიმეტაო. ამან მაფიქრებინა ჩემი ქვეყნის დატოვება. მაგრამ როგორც ვხედავ, მართლა სწუხს საზოგადოება და არა ჰსურს ჩემი მოშორება. რომ კიდევაც გადაწყვეტილი მქონდეს წასვლა, მაინც აღარ წავალ და ვეცდები გადავიხადო მცირედ მაინც ეს დაუმსახურებელი პატივისცემა" („დროება", 1885 წ., № 141).

* * *

როგორც ღვთისმსახური და განმანათლებელი, გ. ქიქოძე პრინციპულად წინააღმდეგია ყოველგვარი ძალადობისა. მისი აზრით, პირველ ყოვლისა, ღვთაებრივი რწმენის განმტკიცება, ზნეობრივი თვითშეგნების ამაღლება და განათლება არის ის გზა, რომლის მეშვეობითაც უნდა დავძლიოთ ყოველგვარი სოციალური წინააღმდეგობა, რათა საზოგადოებაში დამყარდეს ჰარმონიული ურთიერთობანი. ეს არ გამორიცხავს წოდებრივ განსხვავებულობათა არსებობის აუცილებლობის აღიარებას. გაბრიელი თვლიდა, რომ ადამიანთა მატერიალური და უფლებრივი განსხვავებულობა ჩვეუ-

ლებრივი ცხოვრებისეული მოვლენაა და არ ილაშქრებს მის წინააღმდეგ.

პირიქით, იგი ხშირად მოუწოდებდა ხოლმე ყმას მორჩილებისკენ და ბატონისადმი კეთილსინდისიერი სამსახურისაკენ. ბატონისადმი გამოვლენილი ორგულობა და ურჩობა მას უფლის საწინააღმდეგო მოქმედებად მიაჩნდა, მაგრამ იქვე ბატონსაც მოაგონებდა ლმობიერებასა და ჰუმანურობას. ამ შემთხვევაში გაბრიელი გამოდის როგორც წოდებათა თავისებური შემრიგებელი, რომელიც ცდილობს სოციალური წინააღმდეგობანი შეგნებისა და ჰუმანური ურთიერთდამოკიდებულების გზით აღკვეთოს.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, თითქოს გ. ქიქოძე თავისი ქადაგებებით ამართლებდა და აკანონებდა სოციალურ ბოროტებას. რა თქმა უნდა, არა. გაბრიელის თანამედროვენი იგონებენ და მისი ქადაგებებიდანაც ნათლად ჩანს, როგორი პრინციპული და შეუვალი იყო იგი, როცა მის მიერ იდეალად დასახული სოციალურ ურთიერთობათა მოდელი იმსხვრეოდა და მშრომელი ადამიანის ბედი უნუგეშოდ ითელებოდა. ამ შემთხვევაში მღვდელმთავარს არაერთხელ აღუმაღლებია ხმა და რისხვით შეუჩვენებია უსამართლობა, რასაც ბატონების უკმაყოფილებაც ხშირად მოჰყოლია.

ამის თაობაზე მეტად საინტერესო მასალაა დასტამბული „კვალში“ (1893 წ., № 42), საიდანაც ვეცნობით გ. ქიქოძის კრიტიკულ დამოკიდებულებას ბატონყმობისადმი.

ნათქვამის დასტურად მომყავს ფრაგმენტი „კვალის“ პუბლიკაციიდან: „ეათავდა თუ არა წირვა, გაბრიელი დადგა ამბიონზე და დაიწყო ბატონყმობის მძვინვარე დამოკიდებულებაზედ ქადაგება. მისმა სიტყვამ მოხეთქა ნიაღვარსავით ძლიერად, მან დახატა ცოცხლად გლეხის უნუგეშო მდგომარეობა ბატონის ხელში. თავადაზნაურობამ დაიწყო დრტვინვა. იგი თანდათან ღელდებოდა. მოისმა საყდარში მქადაგებლის გმობა, მაგრამ გაბრიელი არ შეუშინდა, მან დაასრულა თავისი ძლიერი სიტყვა. მან მიიხედ-მოიხედა და შეამჩნია, რომ აღარც ერთი მეპატონე აღარ დარჩენილა ეკლესიაში, მხოლოდ მის წინაშე იდგნენ გლეხნი და ღვრიდნენ მდუღარე ცრემლს“.

ეს ფაქტი იმდენად გახმაურებულა მთელს საქართველოში, რომ მას ბევრი იმდროინდელი მოღვაწე იგონებს ხოლმე. გავიხსენოთ, მაგალითად, ფრაგმენტი დ. კლდიაშვილის მოგონებიდან: გაბრი-

ელის ქადაგებამ ქუთაისის მთავარანგელოზის ტაძარში ბატონყმობის წინააღმდეგ. — წერს დავითი, — „გამოიწვია განრისხება ერთი მდიდარი აზნაურისა, გვარად კანდელაკის, რომელმაც წამოიძახა:

— ამ ლეკურით გავათავებ აქვე ამ ჩვენს დამღუპველს! და გავარდა ეკლესიიდან და ხმალზე ხელწავლებული უდარაჯებდა ეპისკოპოსის გამოსვლას. გაბრიელს უთხრეს ეკლესიაში მოთმენა, არ გამოსულიყო — კანდელაკი მოკვლას გიპირებსო; ამის გაგონებაზე იგი გავიდა ეკლესიიდან და გაბედულად, უშიშრად ჩაუარა კანდელაკს. გაბრიელის მოსაკლავად გამზადებული კანდელაკი სახტად დარჩა და ხელი ხმალზე შერჩა“.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა მოსე ქიკოძის ეს მოგონებაც (იხ. კრებული „სულ-მნათ გაბრიელის საუნჯე“, 1897 წ., გვ. 22—23): „გათავდა ქადაგებაცა და წირვაც! გალავანი, ქუჩიდან ეკლესიის კარებამდე, ისე იყო გაჭედილი თავად-აზნაურობით, რომ ნემსიც არ ჩავარდებოდა; ხმა-მაღალი დრტვინვა, მუქარა მღვდელ-მთავრის მიმართ ისმოდა გარედან თვით ეკლესიაში, რომლის გამოსავალ კარებთან გარეთ აეტუზა აზნაური კ. კ. და ქარქაშიდან ამოწვდილ ხმალზე ხელი დაედო: ისმოდა მოკვლის მუქარა. მღვდელ-მთავარმა წყნარად, დამშვიდებით გაიხადა სამოსელი და წამოვიდა კარებისაკენ; ეკლესიის შუაგულ ადგილას დაუხვდა დეკანოზი გ. გ. და მოახსენა, ნუ გაბრძანდებითო, რადგან თავადაზნაურობა აღელვებულიაო. „ნუ სწუხარ, დეკანოზო“, ბრძანა მღვდელმთავარმა და თამამად გამოსწია კარებისაკენ. აი, წამი, რომელსაც კალმით აღწერა და ენით გამოთქმა შეუძლებელია, რომელიც შეიძლება მხოლოდ იგრძნოს კაცმა; წამი დასკვნისა ორთა წინააღმდეგ ძალთა შეჯახებისა! სულგანაბულნი შესცქერიან აქეთიქიდან ამ საშიშარს, მაგრამ დიდებულს წამს. მღვდელ-მთავარმა უშიშრად გამოადგა კარებში ფეხი, გადაიხედა მარჯვნივ, საცა კ. კ. ხმალზედ ხელდადებული იდგა: ხმაურობა შეწყდა, საზოგადოება გაიპო შუაზედ და მღვდელ-მთავარმა წყნარად გასწია ქუჩისაკენ, სადაც უცდიდა ეტლი, მაგრამ შიგ არ ჩაბრძანდა და წავიდა ფეხით“. მძლია მღვდელმთავარმაო, ეს ოხერი ხელი ხმლის ვადაზე შემაცივდაო, — უთქვამს შემდეგ კანდელაკს ამ ფაქტის გამო.

ასეთი რაინდული სულისა და შინაგანი სულიერი ძალის მატარებელი პიროვნება გახლდათ გაბრიელ ეპისკოპოსი. მისთვის სიტყვა და საქმე განუთიშველი იყო ერთმანეთისაგან. სწორედ ასეთმა

პრინციპულობამ, წაღვთო მცნებებისადმი უღალატო ერთგულებამ, სიმართლის გამოქომაგებისა და დაცვის იშვიათმა უნარმა და მაღალი ზნეობრივი ნორმებისადმი თაყვანისცემამ განსაზღვრა ის საყოველთაო სიყვარული, რითაც გაბრიელ ეპისკოპოსი იყო გარემოცული თანამედროვეთაგან.

ზემოთ მოხსენიებულმა ფაქტმა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან ერთი, თითქმის ანალოგიური ეპიზოდი შეიძლება გაგვახსენოს. ერთ-ერთ თავყრილობაზე, 1864 წელს, სადაც ბატონყმობასა და მის გადავარდნაზე ყოფილა მსჯელობა, ქუთაისში ახლად ჩასულ ილიას მკაცრად შეუტევია ბატონყმობისათვის და დაუგმია იგი, რასაც იმდენად განურისხებია კრებაზე დამსწრე თავად-აზნაურობა, რომ ერთი მათგანი ორატორისკენ მოსაკლავადაც გაწეულა და ძლივს მოუხურხებიათ მისი შეჩერება.

* * *

იმ საყოველთაო სახალხო სიყვარულისა და პოპულარობის დასტურად, რითაც გაბრიელ ეპისკოპოსი იყო გარემოსილი, აქ მკითხველს შევახსენებ ი. ზურაბიშვილის მოგონებას (იხ. „განთიადი", 1984 წ. № 4). რომელშიც გ. ქიქოძის საღვთისმსახურებლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან რამდენიმე მეტად შთამბეჭდავი ეპიზოდია აღწერილი. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ გაბრიელის სახელი ფართოდ ყოფილა ცნობილი და დაფასებული უცხოეთშიც. კიევის უნივერსიტეტში, — იგონებს ი. ზურაბიშვილი, — ჩემთან ერთად უცხოელებიც სწავლობდნენო. მათ შორის ბულგარელებიც ყოფილან. ერთმა მათგანმა, როცა ჩემი ქართველობა შეიტყო, მკითხა, ეს ის ქვეყანა ხომ არ არის, საიდანაც სახელგანთქმული გაბრიელ ეპისკოპოსი ბრძანდებაო. ჩემს შეკითხვაზე, — საიდან იცოდა მან გაბრიელი, უცხოელს უპასუხია: „გაბრიელ ეპისკოპოსის სახელი დიდად არის ცნობილი ბულგარეთში, როგორც შეუდარებელი მქადაგებლისა, და მისი ქადაგებანი ბულგარულ ენაზე ნათარგმნია და გამოცემული.

საქართველოსი ამ ჩემმა ბულგარელმა სხვა არა იცოდა, გარდა იმისა, რომ ის იყო ეპისკოპოს გაბრიელის სამშობლო".

გ. ქიქოძისადმი მოწიწებასა და პატივისცემას, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდად განსაზღვრავდა მისი თავდადებული მოღვაწეობა ქართველი ხალხის ეროვნულ ფასეულობათა დასაცავად. ამ თვალ-

საზრისით ძალზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ი. ზურაბიშვილი: 1888 წლის შემოდგომაზე საქართველოს სტუმრად ეწვია რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე. ქუთაისში ჩამობრძანებული ხელმწიფე ამალის თანხლებით სობოროს ესტუმრა და, ტაძარში შესული, ის-ის იყო, „ამბიონისკენ გაემართა, რომ ეპისკოპოსის ხმა მოესმა:

— შედექ, რუსეთის ხელმწიფევ...

ხელმწიფე შეყოყმანდაო, ამბობდნენ დამსწრენი, უნდოდა სვლა განეკრძო, მაგრამ უნებლიედ შედგა კარიბჭეში, სადაც ეპისკოპოსის მეშოძახებამ მოასწრო და ცხადის უკმაყოფილებით მოისმინა ეპისკოპოსის სიტყვა:

— ეს ქკეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინშიო, — უთხრა სხვათაშორის თავის მისალმებაში გაბრიელმა, — და როგორც ასეთი, სხვა ყურადღებისა და ზრუნვის ღირსია, სხვა მოპყრობას მოითხოვს, ვიდრე ის, რომელსაც ადგილი აქვსო...

ეროვნული უკმაყოფილება და ჩივილი იმდენად ნათლად იყო გამოთქმული ეპისკოპოსის სიტყვაში, რომ იმთავითვე გუნება გაფუჭებული იმპერატორი სულ მოიღრუბლა. ის ღრუბელი ვერც იმ ხალამოს თავად-აზნაურების მიერ გამართულმა ნადიმმა გადუყარა სახიდგან“.

ეს ფაქტი კარგად ახასიათებს გაბრიელ ეპისკოპოსის რაინდულ ბუნებას. ერისთვის უანგაროდ თავდადებული და მოყვასის ბედზე დღენიადაგ მზრუნველი, საზოგადო საწუხარით სულდამძიმებული და საქვეყნო საქმით მუდამჟამს დატვირთული; მოწყალე და ცოდვილთა შემწყნარებელი, ღარიბ-ღატაკთა გამკითხველი და ჩაგრულთა მოსარჩლე — ასეთი იყო იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

მას შემდეგ, რაც ღვთის გზას შეუდგა, მთლიანად თქვა უარი ყოველგვარ მიწიერ პატივსა და დიდებაზე, საბოლოოდ დაუხშო გულის კარები პიროვნულ ვნებებსა და ზრახვებს. მისთვის ყოველი ადამიანი, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, თანასწორი იყო. არქიელის გორაზე, ბაგრატის ტაძრის მახლობლად, ძალზე სადად და უბრალოდ ცხოვრობდა ერთსართულიან სახლში. „საწირველად ქალაქში რომ ჩამოვრძანდებოდა, — იგონებს ი. ზურაბიშვილი, — უბრალო ბირჟის ეტლს მიართმევდნენ და ასეთივე ეტლით ბრუნდებოდა შინ...

ძნელი წარმოსადგენია უფრო მთლიანის და ამასთან ისეთის თავისებურის ბუნების ადამიანი, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსი იყო. მადლიანი და მადლით სავსე იყოო, — რაღაც გემომოკლებული დახასიათება იქნებოდა. სათნოება და მადლი მას უთუოდ არ აკლდა, ოღონდ მისის სახის ღრმა და რთული გამომეტყველება, რომელშიაც სიყვარული და სიკეთე სიმკაცრის რაღაც მსგავსს ეუღლებოდა და ყველა ამას მწუხარე, სევდიანი იერი ახლდა, რჩეულთა შორისაც განარჩევდა.

მისი ნაღვლიანი თვალები საღღაც შორს იცქირებოდნენ, მის მსმენელთა ზემოთ, თითქოს სცდილობდნენ შორს, მიუწვდომელი და საიდუმლოებით მოცული მომავალი განეჭვრიტათ.

ბოროტება და სიავე საკმარისად არის გაბნეული სოფლად, რომ ნამდვილ და ღირსეულ მოძღვრის გული დაამწუხროს, ხოლო გაბრიელ ეპისკოპოსის ამ მწუხარებას და ნაღველს ბეჭედი დასდო არა სიავემ უფრო, რომლის მსხვერპლი ხდება ცალკე პირი, ფიზიკური არსება, მას თვალ წინ ედგა უფრო დიდი მსხვერპლი, მისი დაჩაგრული ერი, დაჩაგრული ისეთის ძალისაგან, რომელზედაც მისი სიტყვა კი არა, ვერ სჭრიდა ვერავითარი ძალა.

ამ ნაღველს ადვილად ამოიკითხავდით მის დამწუხრებულ თვალებში".

ყოველივე ამან, ერის წინაშე ამ განსაკუთრებულმა დამსახურებამ და უანგარო მოღვაწეობამ, დაბადა საზოგადოებაში ის განუზომელი სიყვარული და მოწიწება, რითაც მღვდელმთავარი იყო გარემოსილი მთელ საქართველოში. მისი გარდაცვალებით კი, ი. ზურაბიშვილისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხალხის მწუხარებას რაღაც უნუგეშობის სახე მიეცა, თითქო გაბრიელ ეპისკოპოსის ბიკვდილი ბუნების საწინააღმდეგო ყოფილიყოს, თითქო ის სამუდამოდ უნდა შერჩენოდა სააქაოს და უფრო თავის ქვეყანას".

1895 წელს გაბრიელს შეუსრულდა იმერეთის ეპისკოპოსად კურთხევის 35 წელი. ჩვენმა ინტელიგენციამ, საერთოდ, მთელმა საზოგადოებრიობამ, ფართო სამზადისი გააჩაღა ამ თარიღის ღირსეული აღნიშვნისათვის. პრესაში სისტემატურად იბეჭდება მასალები გაბრიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამ დროისათვის მღვდელმთავარი უკვე საკმაოდ ხანდაზმული და ჯანმრთელობაშერყეულია. თავდაუზოგავმა შრომამ და ღვწამ, ცხოვრების მიერ თავსდატეხილმა ტრაგედიებმა და უსიამოვნებებმა, ფიზიკურად გა-

ტეხეს იგი. თუმცა ძველებური შეძლება აღარა აქვს, მაგრამ გული მაინც არ უდგება. კვლავ ბევრს საქმიანობს, მოგზაურობს, იღვწის, ყოველდღიური ცხოვრების შუაგულში იმყოფება, ბოლომდე იზიარებს მრეველის ჭირ-ვარამს.

იუბილესა და ზარ-ხეიმის წინაალმღეკია, თავისი ღვაწლის მოკრძალებით შემფასებელი და თავმდაბალი. როცა საკუთარ დამსახურებაზე წერს, საოცრად მორიდებულია და თავშეკავებული, ხალხისა და ქვეყნის ინტერესების დაცვისას — უდრეკი და პირდაპირი.

ავადმყოფობის გამო იუბილე არ აღნიშნულა, მაგრამ დეპეშები კი საკმაოდ მიიღო. მადლიერი მამულიშვილნი ღვაწლს უქებდნენ და ამაგს უფასებდნენ. ილია წერდა: „გამსჭვალული გულწრფელი პატივისცემით თქვენი მოღვაწეობისადმი ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ეპისკოპოსის ხარისხში, ღრმა პატივისცემით მოგილოცავ დღევანდელ დღეს“.

ასეთივე სიყვარულით ესალმებოდა იაკობ გოგებაშვილიც: „მიბოძეთ ნება, მეუფეო, მოგიძღვნათ თქვენ უპატივცემულესი და უგულწრფელესი მოლოცვა თქვენი ოცდა თხუთმეტი წლის დიდებული და უნაყოფიერესი მღვდელმთავრული მსახურების იუბილისა და გისურვოთ მხურვალედ მთელი გულით განახლება თქვენი უძვირფასესი ჯანმრთელობისა, საკეთილდღეოდ ეკლესიისა და მაწყულისა, რომელიც ღრმად შეწუხებულია თქვენი უძლურებისა გამო“.

ამ დროიდან დიდხანს აღარც უცოცხლია. ავადმყოფობითა და წლებით დაუძლურებული 1896 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა. უჩვეულოდ დიდი ზამთარი ყოფილა იმ წელს ქუთაისში. გზები თოვლისაგან იყო შეკრული. არათუ მიცვალებულის ღირსეული გაპატიოსნება, გელათში წასვენება და დაკრძალვა ვერ მოხერხდებოდა უამინდობის გამო, არამედ მეზობელს მეზობელთან მისვლა უჭირდა. ამიტომაც გადაწყვიტეს გაზაფხულამდე დაეცადათ, ვიდრე თოვლი არ გადნებოდა და გზები არ გაიხსნებოდა.

მანამდე კი გაბრიელის ცხედარი ქუთაისის საკრებულო ტაძარში უნდა დაესვენებინათ. „საკრებულო ტაძარში ჩამოსვენება მიცვალებულისა, — წერს მ. კელენჯერიძე, — დაინიშნა 3 თებერვალს. მაგრამ ეს საქმეც არ იყო ადვილი თოვლის სიდიდის და უგზოობის გამო. დაბარებულ იქნა ადგილობრივი ჯარის ერთი როტა გზის

(თოვლის) გასატკეცად. ამის შემდეგ გორიდან დაიძრა პროცესია ქალაქის მცხოვრებთა. რადგან ქალაქში ქუჩები თოვლით იყო ავსილი, მაღაზიებსა და მაღაზიებშეა ცალიერი ადგილი სულ არსად იყო. ამიტომ პროცესია შენობის სასურაველებით უფრო მიდიოდა, ვიდრე ძირს ქუჩაზე. მიასვენეს მიცვალებული როგორც იქნა და დაიწყეს წირვა" (დასახ. წიგნი, გვ. 230).

მიუხედავად უამინდობისა, საკრებულო ტაძარში მიცვალებულის გადასვენებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. „კვალის" ცნობით (1896 წ., № 7, გვ. 106), „ჯაჭვის ბიდთან რომ მიცვალებულს მიასვენებდნენ, პროცესია მღვდელ-მთავრის სასახლემდე უწევდა და ეს მიხვეულ-მოხვეული, ახალი ნაკეთები გზა მთლათ გატენილი იყო ხალხით".

ორმოცდაექვსი დღე ეთხოვებოდა გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედარს მადლიერი საზოგადოება. ხალხმა უჩვეულო სიყვარული და პატივისცემა გამოხატა მისადმი. ბევრი გულწრფელი ცრემლი დაღვარა და გულითადი სიტყვა ითქვა მღვდელმთავრის უდიდეს დამსახურებაზე. გაზეთებსა და ჟურნალებში სისტემატურად იბეჭდებოდა მასალები გაბრიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მათ შორის იყო ეპისკოპოსის ანდერძიც, რომელიც მას 1890 წელს დაუწერია. ამ საკმაოდ ვრცელი დოკუმენტიდან ერთხელ კიდევ წარმოჩინდება სახე დიდსულოვანი და უანგარო პიროვნებისა, ვინც ქველმოქმედებასა და მოყვასზე ზრუნვას შესწირა მთელი თავისი ცხოვრება. შეგახსენებთ ფრაგმენტებს ამ ანდერძიდან:

„წმინდა ხატებიდან ორი, მაცხოვრის და ღვთისმშობლისა მოჭედილი ხატები ჩამოიკიდოს ჩემს სასაფლაოსთან გაუქრობელი კანდელით... ყველა სხვა ხატები და აგრეთვე რუსული და ქართული საეკლესიო ღვთისმსახურების წიგნები გაიგზავნოს გურიაში სოფელ ბახვის ეკლესიაში.

ძვირფას პანაგეას, რომელიც მიბოძა მე ხელმწიფე იმპერატორმა და აგრეთვე ძვირფას არქიმანდრიტის ჯვარს ალმასებით მორთულს, რომელსაც მე ვხმარობდი ღვთის-მსახურების დროს, ვსწირავ ქუთაისის საკრებულო ტაძრის სალაროს" („კვალი", 1896 წ., № 8, გვ. 128).

მთელი მისი პირადი ქონება, გარდაცვლილის სურვილით, უნდა გადაცემოდათ ქვრივ-ობლებსა და ღარიბებს.

„1. ქუთაისის სააზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დაცულს 12,200 მანეთს, — ეწერა ანდერძში, — გირავნობითი ფურცლებით ვუტოვებ და ვუანდერძებ სამუდამოთ ბახვის შკოლას.

2. იმერეთის ეპარქიის სასულიერო წოდების ქვრივთა და ობოლთა სამწყრუნველოს ორი ათას მან...

3. ქუთაისის სამოქალაქო საქველ-მოქმედო საზოგადოებას ქალაქის ღარიბთათვის ათას ხუთას მ...

4. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს ღარიბ მოსწავლეთათვის სამი ათას მ...

5. თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ სამი ათასი მ...

6. იმერეთის ეპარქიალურ ჩემ სახელზე დაარსებულ საქალებო სასწავლებელს ხუთი ათას მ...

7. ქუთაისის უფასო საქალებო სასწავლებელს ორი ათას მ...

8. გელათის მონასტერს ვუტოვებ ათას მანეთს, იმ პირობით, რომ ამ თანხის სარგებლით ყოველ წლობით — ჩემი სიკვდილის დღეს — ყველა ძმებმა მიწირონ მონასტრის ყველა ეკლესიებში, და ეს სარგებელი მიეცეს ყველა ძმებს.

9. ქუთაისის სასულირო სასწავლებელს ვუანდერძებ უფლებას ჩემს თხზულებათა გამოცემისას იმ პირობით, რომ გამოცემის მოგება ეძლეოდეს ამავე სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთ“.

ასე უნდა დაგვირგვინებულიყო გაბრიელ ეპისკოპოსის მიწიერი ცხოვრება. ანდერძიდან ერთხელ კიდევ ნათლად ვლინდება მისი, როგორც უდიდესი ქველმოქმედის, ადამიანური ბუნება. მთელ თავის ქონებას იგი ხალხსა და ქვეყანას უტოვებდა და არა მახლობელ ნათესავებს. უტოვებდა საზოგადოებისათვის სასარგებლო კეთილ საქმეთა განსახორციელებლად. ანდერძით გათვალისწინებულ სურვილთა აღსრულება უნდა ყოფილიყო დიდსულოვნებისა და კეთილშობილების ის უკანასკნელი მაგალითი, რომელსაც თავისი სიკვდილითაც აძლევდა ადამიანებს მღვდელმთავარი.

გაბრიელის გარდაცვალების ამბავი უმალ მოედო მთელ საქართველოს. მაშინდელი პრესა მწუხარებით წერდა მასზე, როგორც დიდ მამულიშვილსა და მღვდელმსახურზე. სტატიათა ავტორები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გარდაცვლილის ღვაწლის შეფასებაში. წერდნენ სასულიერო პირებიცა და საერონიც, ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებიცა და უბრალო ადამია-

ნებიც, ილიას დროშის ქვეშ დარაზმული მამულიშვილებიცა და სოციალ-დემოკრატებიც... წერდნენ ყველანი, განურჩევლად ეროვნული და სოციალური მრწამსისა. თავად განსაჯეთ: გაბრიელ ეპისკოპოსისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები სისტემატურად იბეჭდებოდა ისეთი რადიკალურად განსხვავებული მიზანდასახულების ჟურნალ-გაზეთებში, როგორებიც იყო: „მწყემსი“, „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“... მაგრამ თითქმის ყველა პიროვნება, ვისაც კი გაბრიელთან დაკავშირებით კალამი აეღო ხელში, ხაზგასმით აღნიშნავდა მის დიდ საზოგადოებრივ დამსახურებას და გულწრფელად წუხდა ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო.

მაგალითად, „ყველა ჭეშმარიტი და გულწრფელი ქართველი, — წერდა იმ დღეებში „ივერია“ (№ 27), — რომლის თვალთა ხედვა და ყურთა სმენა მთელს სამშობლოს სწვდება, გრძნობს კიდეც, რომ ჩვენს ქვეყანას საუკეთესო შვილი დაეკლდა, ჩვენს ცაზედ ბრწყინვალე ვარსკვლავი მოსწყდა“. წერილის ავტორის — ნ. ურბნელის აზრით, გაბრიელ ეპისკოპოსი ქართულ საეკლესიო სიტყვიერებაში ახალი ეტაპის დამწყები იყო. მის „თვითეულს სიტყვას, თვითეულს ქადაგებას საერო ჰანგი ამკობს, საერო კილო ამშვენებს... მომხიბლავი ძალა აქვს ამ ახალს ოქროპირის მჭევრ-მეტყველებას და მიზეზიც აქ არის, რომ მისი ნაწარმოები ინგლისურად სთარგმნეს“.

საგანგებო წერილით გამოეხმაურა გაბრიელის გარდაცვალებას იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც საქებარი სიტყვები არ დაიშურა ყოფილი მასწავლებლის ღვაწლის ღირსეული წარმოჩენისათვის. მისი აზრით, გაბრიელ ეპისკოპოსი იყო „ყოვლად ღირსეული, უნაყოფიერესი, უმწიკვლო, ბრწყინვალე“ პიროვნება, სამაგალითო სახელი „შავი ზღვის პირიდგან დაწყებული დაღესტნამდე ყოველს ქართველს წოდებაში: გლეხობაში, სამღვდელოებაში, თავად-აზნაურობაში, მოხელეობაში, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის, ერთის სიტყვით, მთელს საქართველოს ერში... განსვენებულის სპეტაკს გულში ღვიოდა, ენთო ძლიერი, შეუურყეველი სარწმუნოება და გონებაში — საფუძვლიანი და მრავალ-მხროვანი განათლება, მეცნიერება და ორნივე — სარწმუნოება და მეცნიერება ჰარმონიულად იყვნენ შეთვისებულნი, შეზრდილნი, შეთანხმებულნი და შეადგენდნენ ერთს ერთულს მომხიბლავს სასულიერო ძალას, ბრწყინვალე ინტელექტსა“ (ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, ტ. III, 1954, გვ. 10—11).

გარდა მკითხველისათვის კარგად ცნობილი ამ წერილისა, აქვე მინდა გავიხსენო ი. გოგებაშვილის ერთი უცნობი სტატიაც, რომელსაც მკვლევარმა იროდიონ ერემეიშვილმა მიაკვლია და რომელიც ამერელის ფსევდონიმით დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ (1896 წ., 10 მარტი, № 54). იაკობი ცრემლიანი სიტყვებით წერს გაბრიელ ეპისკოპოსსე, როგორც „ღვთით მოვლინებულ დიდ მწყემსმთავარზე“, რომელსაც მთელი ქართველი ერი დასტიროდა. მისი აზრით, მან ბრწყინვალედ აღასრულა „მცნება ღვთის, ვალი თავისი ქვეყნის წინაშე და სამარადისო, დიდებული ძეგლი აიგო თვისთა მემამულეთა გულში“ (სრულად იხ. ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1989 წ., № 11, გვ. 53).

წერილებთან, გამოსათხოვარ სიტყვებთან და მოგონებებთან ერთად, იმდროინდელ პრესაში გაბრიელისადმი მიძღვნილი მრავალი ლექსიც დაიბეჭდა. ამ ლექსებში, რომელთა დიდი ნაწილი თუმცა მოკლებულია მხატვრულ თავისთავადობას, გულწრფელადაა გამოხატული საზოგადოების საერთო გულისწყვეტა და მწუხარება დიდი მღვდელმთავრისა და მამულიშვილის გარდაცვალების გამო. მაგალითად, დომენტი თომაშვილი წერდა:

გაგვიქრა დიდი ლამპარი,
მხათობი ჩვენი მზარისა!
ბეერათ ვინმეა მსილველი
ასეთი მწყემსთა — მთავრისა!..

(„კვალი“, 1896 წ.; № 11; გვ. 178).

ასეთი ფართო რეზონანსი შეიძინა გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებით გაჩენილმა მწუხარებამ. დიდი სამზადისი გაიშალა მიცვალებულის ღირსეული დასაფლავებისათვის. ქუთაისში ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთაგან შეიქმნა დამკრძალავი კომისია, შედგა დასაფლავების გეგმა. ამის თაობაზე ინფორმაციები სისტემატურად იბეჭდებოდა პრესაში.

„კვალის“ მეათე ნომრიდან, მაგალითად, ცნობილი ხდება, როგორ და რა წესით მოხდებოდა დაკრძალვა. გაბრიელის გამოსვენება უნდა მომხდარიყო ქუთაისის საკათედრო ტაძრიდან ათ მარტს, კვირას, დილის 9 საათზე. ამის შემდეგ „პროცესია გაემართება ვაგზლისაკენ თბილისის ქუჩით, სადაც გამწკრივებულნი იქნებიან მთელი ქუთაისის სასწავლებლების მოსწავლენი თავ-თავიანთ მასწავლებლებით და აღმზრდელებით. მიცვალებულის წინ გაემართებიან

საეკლესიო და საერო ბაირაღები, ბაირაღებს შემდეგ იქნებიან მგალობელი გუნდები სხვადასხვა სასწაულებლებისა; შემდეგ სამღვდელოება; მიცვალებულის კუბოს მიჰყვებიან მახლობელი ნათესავები, ნათესავებს შემდეგ გენერლობა და უმაღლესი ოსამსახურე პირნი... შემდეგ სხვა-და-სხვა დეპუტაციები უცხო გუბერნიიდან მოსულნი... ამგვარად დაწყებული პროცესია მივა ვაგზლამდის, საიდანაც რკინიგზის მატარებლით გაემართება გელათისაკენ; გზაზე მოწამეთა მონასტრის მახლობლათ მცირე ხნით შეჩერდება, სადაც ამ მონასტრის სამღვდელოება მიეგებება და გადაიხდის პანაშვიდს. გელათის სადგურიდან ყოვლად სამღვდელო ხელით იქნება გასვენებული თვით გელათის მონასტრამდის, სადაც ტაძრის წინ მცირე ხნით იქნება დასვენებული, რომ დანარჩენ მსურველთ მიეცეს საშუალება სიტყვის წარმოთქმისა და შემდეგ მიბარებულ იქნება მიწას თვით გელათის ტაძარში".

დასაფლავებაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ამდენი ხალხი, ერთად თავშეყრილი, იშვიათად ენახა ქუთაისს. საქართველოს თითქმის ყველა ქალაქიდან ჩამოვიდა დეპუტაციები. ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია ის ცნობები, რომელთაც დაკრძალვის მონაწილენი გვაწვდიან. დავით კლდიაშვილი, ბათუმიდან საგანგებოდ ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩამოსული, იგონებს, რომ „გელათის სადგურთან სოფლებიდან ჩამოსული ზღვა ხალხი სოფელ-სოფელ ჯარებივით იდგა მინდორში. სადგურზე საგანგებო მატარებლები ერთი მეორეზე მოდიოდა ხალხით ავსილი".

ავადმყოფობის გამო, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი დასაფლავებაზე ვერ ჩავიდნენ. თბილისიდან სპეციალური დელეგაცია ჩაბრძანდა ილიას მეთაურობით. მიღებულ იქნა უამრავი დეპეშა, რომელთა ავტორები უსაზღვრო მწუხარებას გამოხატავდნენ დიდი მღვდელმთავრის გარდაცვალების გამო.

ათ მარტს, დილის ცხრა საათზე, ქუთაისის საკათედრო ტაძრიდან გამოასვენეს მიცვალებული და პროცესია, რომლის სიგრძე „ვერსტნახევარი" იქნებოდა, გელათისაკენ დაიძრა. დასაფლავებაზე საგანგებოდ მობრძანდა ებრაელთა რაბინი, რომელსაც „მოჰქონდა ხავერდის ყდაში გაკეთებული ათი მცნება" („კვალი", 1896 წ., № 12, გვ. 190). სადგურზე იდგა სპეციალური მატარებელი, რომლის „ბოლოში მიბმული იყო საშგლოვიაროთ მორთული ღია ვაგონი, ბალდახინივით გაკეთებული... აქ დასვენეს ცხედარი

და გარშემო სამღვდელოება მოთავსდა. მაგრამ ამოდენა წალხს სად დაიტევდა ვაგონები, რომლებიც ისე გაივსო, რომ საშიში იყო მათი დაძვრა... მეორე ლოკომოტივი მიაშველეს და დიდი გაჭირვებით მივიდა მატარებელი მოწამეთამდე" (ი ქ ვ ე).

პანაშვიდი გადაიხადა საქართველოს ეგზარხოსმა ვლადიმერმა. დაკრძალვაზე მოწვეულთა შორის მრავლად იყვნენ არაქართველნიც. „კვალის" ცნობით, წირვა და გალობა იმ დღეს რუსულ-ქართული იყო, პანაშვიდი კი რუსულად შეასრულეს, რადგანაც დაკრძალვის ოგანიზაციის საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსმა მღვდელმსახურებმაც. ამ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყოს ის საეწუხარო ფაქტი, რომ ქართულ ეკლესიას, ისევე როგორც მთელ საქართველოს, იმხანად დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა და საეკლესიო საქმეთა უმაღლესი განმგებელი რუსი ეგზარხოსები იყვნენ.

გამოსათხოვარ მიტინგზე ბოლო არ უჩანდა სიტყვებს. ორატორები ერთმანეთს ეცილებოდნენ გაბრიელის ღვაწლის განდიდებაში. გარდა საეკლესიო დამსახურებისა, ხაზგასმული მოწიწებით აღნიშნა გარდაცვლილის უდიდესი მამულიშვილური დამსახურებაც. მაგალითად, ეპისკოპოსმა გრიგოლმა ამ სიტყვებით მიმართა გაბრიელის ხეშტს: „გმადლობს შენ ენაცა მშობილური, ენა, რომელიცა მდიდარ ჰყავ შენ ქადაგებითა შენითა, ენა, რომლისთვისაცა ებრძოდი შენ ყედგრათ იმ განუსჯელთა პირთა, რომელთაცა ენა პეტრიწისა, გიორგი მთაწმინდელისა და ამბროსი მქადაგებლისა უარჰყვეს, ვითარცა უვარგისი და გამოუდეგარი მეცნიერებისათვის. შენ იყავ ერთად ერთი მაღალი ხარისხის მექონი ქართველი, რომელიც გამოესარჩლე ჩვენს ენას, როდესაც ერთმა დიდმა პირმა უქადაგა ამ ენას სიკვდილი. შენმა წუნმა აღუფრთოვანა სული საქართველოს და თვით მტერმოყვარეც დაგიმორჩილა შენ".

როგორც ითქვა, ავადმყოფობის გამო გაბრიელის დაკრძალვას ვერ დაესწრო აკაკი წერეთელი. მაგრამ თავისი მოწიწება მან გარდაცვლილის ღვაწლისადმი არაერთხელ გამოხატა. მაგალითად, მღვდელმთავრის დასაფლავების წლისთავზე გელათის მონასტერში გადახდილ პანაშვიდზე აკაკიმ აღნიშნა: „სიცოცხლე მისი სიხარული იყო ქვეყნისათვის და სიკვდილი სიქადულად გადაიქცა. როგორც მნათობი, რაც უფრო დიდ სიმაღლეზეა, უფრო თვალსაჩინოა ყველასათვის და უფრო შორსაც აწვდენს სხივებს, ისე ეს დაუ-

ვიწყარი მოძღვარიც, დღეს სიკვდილით ამაღლებული, ყველასთვის საერთოდ სათვალდა-თვალოა და ყოველის მხრით თანასწორად ფენს სხივებს, რომლითაც გვინათებს ბნელს აწყოში და იმავე დროს ჩვენს წარსულს მომავალთან აკავშირებს" (იხ. კრებული „სულ-მბათი გაბრიელის საუნჯე", 1897 წ., გვ. 73).

„ქადაგებანი"

გაბრიელ ეპისკოპოსის შემოქმედებითი ნიჭი, უპირველეს ყოვლისა, ქადაგებებში გამოვლინდა, იმ სიტყვებსა და მოძღვრებებში გამოიხატა, რომელთაც სისტემატურად წარმოთქვამდა ხოლმე იგი ეკლესიებში მრევლთან შეხვედრების დროს. გაბრილი წინასწარ, საგანგებოდ ემზადებოდა ამ შეხვედრებისათვის, თავად წერდა ან კარნახობდა ქადაგებათა ტექსტს, ხვეწდა და სრულყოფდა მათ. ასე გადარჩა მისი გამოსვლების დიდი ნაწილი, რომელიც ორ ტომად დაიბეჭდა ქუთაისში 1913 წელს. ეს გამოცემა უცვლელად დასტაბა განმეორებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" 1989 წელს (ციტატები გაბრიელის „ქადაგებიდან" სწორედ ამ გამოცემიდან მექნება მოყვანილი. ფრჩხილებში ჩასმულ რიცხვთაგან პირველით აღნიშნული იქნება ტომი, მეორით — წიგნის გვერდი).

„ქადაგებანი", როგორც ეს ხაზგასმითაა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, სასულიერო მწერლობის იმ ჟანრს ეკუთვნის, რომელიც ჰომილეტიკის სახელითაა ცნობილი. „დიდი ქართველი მქადაგებელი გაბრიელ ქიქოძე, — წერს ნ. კანდელაკი, — ახალი დროის მსოფლიო ჰომილეტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ისტორიული ხელოვნება ჩვენი მეევრმეტყველების საგრძნობი შემაღლება და წინმავალი საფეხურია. ის თავისი ცოცხალი სიტყვის უხვი საუნჯით ამდიდრებს მსოფლიო სამქადაგებლო ხელოვნებას და ღირსეულ ადგილს იკავებს საკაცობრიო ზეპირი მეტყველების ისტორიაში" (ნ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ქართული მეევრმეტყველება, 1968 წ., გვ. 356).

ჰომილეტიკა. ეფრემ ეცირის განმარტებით, „არს ზეპირად პირისპირ თქუმა". კორნელი კეკელიძე. სპეციალურად ახასიათებს რა ამ ლიტერატურული ჟანრის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს, მიუთითებს, რომ ჰომილეტიკა „აღნიშნავს მოძღვრება-ქადაგებებს, რომელთაც. მორწმუნეთა დასამოძღვრად, სხვადასხვა ადგილას,

უფრო კი ეკლესიაში... სამღვდელონი წარმოთქვამდნენ ხოლმე. ქადაგება-მოძღვრებას ან თვით ავტორი წერდა ხოლმე, ანდა წარმოთქმის დროს ჩასწერდნენ მას მაშინდელი სტენოგრაფები“ (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980 წ., გვ. 551.).

ქართულ სასულიერო მწერლობაში ჰომილეტიკური ჟანრის არაერთი შესანიშნავი ნიმუში შექმნილა. ეს ჟანრი ძველი დროის ჩვენს ლიტერატურაში კარგად იყო განვითარებული. შინაარსობრივი თვალსაზრისით კ. კეკელიძე ქადაგებათა რამდენიმე სახეობას გამოყოფს. ესენია: 1) საღღესასწაულო ქადაგებანი, რომელთაც საუფლო-საღვთისმშობლო და ცნობილ წმინდანთა დღესასწაულებზე წარმოთქვამდნენ ხოლმე; 2) პანეგირიკები ან ხოტბა-შესხმანი — მოწამეთა და წმიდათა სახელობისა, რომელთაც აგიოგრაფიული საფუძველი აქვთ; 3) ეპიტაფიები ან სასაფლაოზე და მიცვალებულის ცხედართან წარმოთქმული სიტყვები; 4) საკუთრივ ქადაგება ან ჰომილია, რომელშიაც განმარტებულია კვირა-უქმეებში წასაკითხი ადგილი საღვთო წერილიდან და რომელსაც ეგზეგეტიკურ-მორალისტური ხასიათი აქვს (იქვე).

გ. ქიქოძის ჰომილეტიკურ მემკვიდრეობაში მთავარ ადგილს ქადაგებათა სწორედ ეს მეოთხე სახეობა იკავებს, თუმცა, შიგადაშიგ, კ. კეკელიძის მიერ გამოყოფილი სხვა სახეობანიც გვხვდებიან ხოლმე. გაოცებულად შეიძლება ითქვას, რომ გაბრიელმა შემოქმედებითად განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა ეროვნული სასულიერო მწერლობის მდიდარი ტრადიციები. ამისი უეჭველი დადასტურებაა მკითხველისათვის კარგად ცნობილი მისი „ქადაგებანი“, ახალი დროის ქართული სასულიერო ლიტერატურის ეს ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი შენაძენი. გაბრიელ ეპისკოპოსის სახით მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობას მოევლინა შემოქმედი, რომელმაც აღადგინა და განვითარების ახალ ეტაპზე აღამაღლა უმდიდრესი ტრადიციები ეროვნული სასულიერო ლიტერატურისა. ამ თვალსაზრისით მას ბადალი არა ჰყავს ბოლო ორი საუკუნის ჩვენი მწერლობის ისტორიაში.

გაბრიელ ეპისკოპოსის „ქადაგებანი“ თუმცა, უპირველეს ყოვლისა, საღვთო რწმენის განსამტკიცებლად შექმნილი სიტყვა-მოძღვრებანია, მაგრამ, გარდა ღრმა თეოლოგიური განსწავლულობისა, მკითხველს ხიბლავს მათი ავტორის ფართო მეცნიერული ერუდი-

ციაც. იგი ჩვენს წინ წარმოდგება, როგორც დიდი მორალისტი და ფილოსოფოსი, რომელიც საფუძვლიანად იცნობს და აანალიზებს რეალური ცხოვრების პრობლემებსა და საჭირობოროტო საკითხებს. თავისი ქადაგებებით გ. ქიქოძე ჩვენს ცნობიერებაში მკვიდრდება როგორც დიდი მოაზროვნე და მორალისტი, მშვერმეტყველი და სიტყვის დახვეწილი ოსტატი, რომელიც კარგად ფლობს ადამიანის სულთან მიახლების ხელოვნებას, ადვილად იმორჩილებს და კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენს პიროვნებაზე.

გ. ქიქოძის ქადაგებათა მიკუთვნება ჰომილეტიკური ჟანრისათვის, უპირველეს ყოვლისა, მათი დანიშნულებითა და პრაქტიკული მიზანდასახულებითაა განპირობებული. როგორც ითქვა, ამ ქადაგებათა გაცნობა საზოგადოებისათვის ზეპირი გზით ხდებოდა. მრევლთან შეხვედრის დროს ორატორი მათ ზეპირად წარმოთქვამდა და ამგვარად აცნობდა ხალხს თავის გულისნადებს.

მაგრამ გაბრიელის ქადაგებათა მხატვრულ-ლიტერატურულ სპეციფიკაზე დაკვირვება იმაშიც გვარწმუნებს, რომ მათი ფორმაცა და შინაარსიც უხვად შეიცავს, აგრეთვე, სასულიერო მწერლობის სხვა ჟანრებისათვის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებსაც. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ლიტერატურულ ჟანრებსა და ფორმებზე საუბარი ხშირად პირობითია ხოლმე და ცალკეული მხატვრული სახეობანი მკვეთრად არ შეიძლება გავმიჯნოთ ერთიმეორისგან.

თუ ამ პოზიციებიდან შევხედავთ, გაბრიელის ქადაგებებში ადვილად დავინახავთ სასულიერო მწერლობის სხვა ჟანრებისთვის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებსაც. ასეთია, მაგალითად, ეგზეგეტიკისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. კ. კეკელიძის განმარტებით, ეგზეგეტიკის საგანია „ბიბლიური ტექსტის ახსნა-განმარტება". ეგზეგეტებისათვის, ჩვეულებრივ, ნიშანდობლივია ტექსტის სამგვარი განმარტება: „ერთი — ტექსტისა და მისი შინაარსის უბრალოდ და მარტივად გადმოცემა და ნოთხრობა, მეორე — მისი შეგნების გაადვილება კომენტარების საშუალებით, მესამე — ერთი ეხიდან მეორეზე გადმოღება" (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, გვ. 457). გ. ქიქოძის ქადაგებებში ხშირად გვხვდება ხოლმე ბიბლიური ტექსტების ამდაგვარი ახსნა-განმარტებანი. მაგალითად, მას ციტატების სახით მოჰყავს ფრაგმენტები ან ცალკეული ეპიზოდები სალმრთო წიგნებიდან და მსმენელისთვის ადვილად გასაგები და მისაწვდომი

ენით ახდენს მათ განმარტება-კომენტირებას, რითაც ცდილობს გაუადვილოს ადამიანს ღვთაებრივი ჭეშმარიტების არსის შეცნობა, მის სიღრმეში ჩაწვდომა.

ეს ციტატები, რომელნიც ხშირად ეპიგრაფებადაც აქვთ წამძღვარებული გაბრიელის ქადაგებებს და უშუალოდ ტექსტშიცაა დამოწმებული მრავალგზის, გამოყენებულია, როგორც საქადაგებელი მოძღვრების ანაროვრივ-მსოფლმხედველობრივი დასაყრდენი. ორატორი ცდილობს მრევლისთვის ადვილად ხელმისაწვდომი გახადოს მათში ნაგულისხმევი სიბრძნე და თავისი მსოფლმხედველობის კონცეპტუალურ ბაზისად აქციოს ისინი. ამ გზით მსმენელისათვის ნათელი ხდება ამა თუ იმ ძნელად გასაგები ბიბლიური ეპიზოდის არსი და ზნეობრივ-თეოლოგიური მნიშვნელობა. ასე იქცევა საღვთო წიგნებიდან მოხმობილი თეოლოგიური და ზნეობრივი მაქსიმები გაბრიელის ქადაგებათა აზრობრივ ლაიტმოტივად. ტექსტში მათი პერიოდული განმეორებით ორატორის მსჯელობა მეტ ემოციურ დატვირთვასა და დამაჯერებლობას იძენს.

ავიღოთ, მაგალითად, „მოკლე მოძღვრება მაზიარებელთადმი" (II, გვ. 60-61), რომელშიც მოცემულია ახსნა-განმარტება წმიდა მოციქულ იაკობის შემდეგი სიტყვებისა: „უკეთუ ვინმე მსმენელ ხოლო იყოს სიტყვისა აბის და არა მყოფელ, ესე ვითარი იგი მზგავს არს კაცისა მის, რომელმან განიცადოს პირი ქმნილებისა თვისისა სარკითა; რამეთუ განიცადა თავი თვისი და წარვიდა, და მეყვსეულად დაავიწყდა, რაბამ რა იყო".

მთელი ქადაგება იაკობის ამ სიტყვების განმარტებას წარმოადგენს. გაბრიელ ეპისკოპოსი მოაგონებს მრევლს, რომ მარტო ზიარება, თუ მზიარებელი არ ეცდება საქმითაც აღასრულოს ეკლესიაში მოძღვრისგან ნაქადაგევი სიბრძნე, თავის მოტყუებაა. ზიარების შედეგად ადამიანმა თავისი ნამდვილი სულიერი სახე უნდა დაინახოს. პირველ სარკედ, რომელმაც უცდომლად უნდა წარმოაჩინოს პიროვნების შინაგანი ადამიანური ბუნება, გაბრიელი მიიჩნევს საღმრთო წერილსა და წმინდა მამების ლოცვებს. „ვინც ყურადღებით ისმენდა მათ, უთუოდ იგი შეიტყობდა მისის სულის სახესა და მდგომარეობასა; მეორე სარკე იყო თვით თქვენი გონება და სინდისი... მესამე სარკე იყო აღსარების თქმა წინაშე მოძღვრისა თქვენისა და დარიგება მოძღვრისაგან მიღებული... სამნი ზემოხსენებულნი სამივენი უთუოდ ცხადად გვაჩვენებდა, რომ სულიერი

ჩვენი სახე არის გასვრილი და უწმინდური მრავალთა ცოდვათა-გან ჩვენთა; დავიბანოთ სულიერი პირი ცრემლითა, გავწმინდოთ ! ულიერი სახე ჩვენი კეთილთა საქმეთა მიერ, ცუდთა ჩვეულებათა მოშლითა... ხშირად შევხედოთ სამთა იმათ სულიერთა სარკეთა და, თუ რამე ცუდი გამოთქმულება შევატყვეთ ჩვენს სულს, მოვიშალოთ იგი და მივაჩვიოთ უმჯობესსა გამოთქმულებასა და ჩვეულებასა; ერთი სიტყვით, გაკისწოროთ ცხოვრება".

ასეთი განზოგადებული სახე მიიღო ციტირებული სტრიქონების გაბრიელისეულმა კომენტარმა, რომლის მთავარი მიზანი ადამიანის რწმენის განმტკიცება და ზნეობრივი სახის სრულყოფისკენ სწრაფვაა.

გ. ქიქოძის ქადაგებათა მსოფლმხედველობრივი საფუძველი და შთაგონების წყარო ძირითადად საღმრთო წიგნებია. მისი სიტყვები და მოძღვრებანი, თავიანთი დანიშნულებითა და მიზანდასახულებით, მრავალფეროვანია. ისინი ხან რწმენის განმტკიცების მიზნით დაწერილი ზოგადი ხასიათის შეგონებანია, ხან ამა თუ იმ რელიგიური დღესასწაულისადმი თუ წეს-ჩვეულებისადმი მიძღვნილი ქადაგებანი, ხანაც რაიმე კონკრეტული ცხოვრებისეული რეალობით განპირობებული სიტყვები.

ორატორი ესწრაფვის თავისი ყოველი გამოსვლა კონკრეტულ სიტუაციას შეუხამოს და მიუსადაგოს, რითაც ცდილობს თავიდან აიცდინოს ზოგადი და უსარგებლო ფუჭსიტყვაობა. მისი ყოველი გამოსვლა, ყოველი ქადაგება, ადამიანის ცოდვისაგან დახსნისა და მის სულში ღვთაებრივი რწმენის განმტკიცების კონკრეტული მიზანსწრაფვითაა შთაგონებული და განპირობებული.

ამ თვალსაზრისით იგი, როგორც ითქვა, ღირსეული გამგრძელებელია ჩვენი სასულიერო მწერლობის მდიდარი ტრადიციებისა.

საღმრთო წერილების ახსნა-განმარტებასა და კომენტირებას ქართულ ქრისიტანულ ლიტერატურაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. კ. კეკელიძის მტკიცებით, იგი „აუცილებელ და მნიშვნელოვან საქმედ ყოფილა მიჩნეული, ვინაიდან ამაზე იყო დამოკიდებული ქრისტიანული რელიგიისა და მორალის ჯეროვანი და საფუძვლიანი შეთვისება მორწმუნეთა მიერ" (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 458).

პრობლემურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით, გაბრიელის ქადაგებებს გარკვეული კავშირები შეიძლება დაეძებნოს აგრეთვე სა-

მოძღვრო-მოთხრობით ქართულ სასულიერო პოეზიასთან, რომლის მთავარი მიზანდასახულებაც, კ. კეკელიძის აზრით, იყო „სარწმუნოებრივ-ზნეობრივი აზრების“ გამოხატვა. სასულიერო ლირიკის ეს დარგი „არის ნაყოფი მორწმუნე ადამიანის სულის ზეალმაფრენისა და შინაარსის მხრივ ორ უმთავრეს შტოს გვაძლევს: აგიოგრაფიულ-ეორტალოგიურს, რომელიც სხვადასხვა წმინდანისა და ღვაწლმოსილისადმია მიმართული, და ბიბლიოგრაფიულ-ისტორიულს, რომელსაც საგნად აქვს სხვადასხვა თხზულება, უფრო კი ბიბლიური წიგნები და ისტორიული ფაქტები“ (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. წიგნი. გვ. 607).

როგორც გაბრიელის ქადაგებათა კონკრეტული ანალიზის დროს ვნახავთ ქვემოთ, მათში, შინაარსობრივად, საკმაოდ ხშირად გვხვდება ხოლმე კ. კეკელიძის მიერ სამოძღვრო-მოთხრობითი პოეზიის დახასიათების დროს ხაზგასმული ნიშან-თვისებები და ისინი ერთმანეთისაგან უფრო მეტად აზრის გამოხატვის მხატვრულ-ვერსიფიკაციული ფორმებით განირჩევიან, ვიდრე პრობლემურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით.

ასევე შეიძლება მოვიძიოთ გ. ქიქოძის ქადაგებებში პოლემიკისთვის, როგორც სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი ჟანრისთვის; დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიც. ქრისტიანული რელიგია, როგორც ცნობილია, ხშირად მართავდა ხოლმე ლიტერატურულ კამათს არაქრისტიანულ რელიგიებთან და სხვადასხვა სახის არაქრისტიანულ ცრურწმენებთან. „ამ კამათის მიზანი იყო გაბათილება მოწინააღმდეგეთა და მათი მოძღვრების სიყალბის დამტკიცება. ამნაირად წარმოიშვა ეგრეთ წოდებული პოლემიკური მწერლობა, რომელსაც მიზანში ჰყავდა ამოღებული არაქრისტიანული რელიგიებიდან უმეტესად წარმართობა, ებრაელობა, მაჰმადიანობა“ (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 474).

გაბრიელის ქადაგებებში ამ ტენდენციას ასეთი ფართო მასშტაბები არ შეუძენია, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ მღვდელმთავარი თავის სიტყვებსა და მოძღვრებებში შიგადაშიგ ამ თვალსაზრისითაც ამახვილებს ყურადღებას. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ მის დამოკიდებულებას ხალხში უძველესი დროიდან შემორჩენილი ზოგიერთი წარმართული ცრურწმენისადმი და პოლემიკას ღვთის რწმენადაკარგულ ადამიანებთან, რომლებიც მხოლოდ ყოველდღიური ყოფითი მისწრაფებების დაკმაყოფი-

ლებით შემოიფარგლებიან და ამაოების ვნებათაღელვით გონებადამდაბლებულებს ზურგი შეუქცევიათ ღმერთისადმი. მათთვის დახშულია გზა სულის ხსნისა და სრულიად მიუწვდომელია იმ ჭეშმარიტების არსი, რომელიც შთაგვაგონებს, რომ „წმიდა ეკლესია გვამზადებს ჩვენ და გვზრდის არათუ მხოლოდ ამ სოფლის ცხოვრებისათვის, არამედ უმეტესად მომავლისა საუკუნოისათვის“ (I, გვ. 86).

ამიტომაც თვლიდა გაბრიელი თავის უმთავრეს საღვთისმსახურებლო მოვალეობად იმ ადამიანთა სულიერი უბადრუკობის მხილებას, რომლებიც უარყოფდნენ „სჯულსა ჩვენსა“ და ცხოვრების ამაოების ბნელ უფსკრულში გადასაჩეხად იყვნენ განწირულნი. მათი სულის დახსნა და გადარჩენა, მათი მოქცევა და მობრუნება ღმერთისაკენ, — აი, უმთავრესი მიზანსწრაფვა გაბრიელ ეპისკოპოსისა. უფრო მეტიც, იგი თვლიდა, რომ ეს ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანის უპირველესი მოვალეობაც უნდა ყოფილიყო. მას თავისი ცხოვრებით მაგალითი უნდა მიეცა რწმენაგაბზარულ ადამიანთათვის, რათა ამით „ყოველ ურჩს ეკლესიისა“ ნათლად შეეგრძნო მადლი „წმიდა ცხოვრებისა“, ცხადად დაეხახა, „რა კეთილი და სასარგებლო საქმე არის მართლ-მადიდებლობა“.

გაბრიელი ქრისიტანული სარწმუნოების განსადიდებლად და სხვა რელიგიებთან შედარებით მისი უპირატესობის ხაზგასასმელად ზოგჯერ ისტორიულ პარალელებსაც მიმართავს ხოლმე. ამ თვალსაზრისით იგი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ქრისიტანობის უდიდეს როლს ქართველი ხალხის ეროვნული გადარჩენის თვალსაზრისით. „ჩვენი ეს მცირე მამული, სრულიად ტანჯული და აოხრებული“ მტერთაგან, სწორედ ქრისტიანობამ დაიცვა გადაშენებისაგან, აღადგინა, განამრავლა და განაძლიერა. მათი მტრები კი, უპირველეს ყოვლისა, ოსმალები „თან-დათან ფუჭდებოდენ, მცირდებოდენ, ხდებოდენ, სუსტდებოდენ. რისთვის? რა მიზეზია, რომ მაჰმადიანნი ცხადად ფუჭდებოდენ, და სადაც მაჰმადის სჯული სუფევს, იქ ყოველიფერი დაწყევლილია და წამხდარი? მიზეზი ამისა არის მათი სჯული. იგი აფუჭებს მათს ზნეობას. ნუ გონებ, რომ თვით ოსმალები უნიჭო ხალხი იყოს, ან მოშიშარი, ან ბუნებისაგან დასჯილი; არა! ვინც იცნობს მათ, პირდა-პირ იტყვის, რომ ისინი ბუნებისაგან ნიჭით, სიმამაცით, გამოჩენილნი არიან; მაგრამ იგინი გაფუჭებულნი არიან თავიანთი უგნური და გაფუჭებული სჯულის გაელენით.

სჯული მათი აბნელებს მათ ჭკუასა, რყვნის ზნეობას, ეფუძებს ხასიათს, მაშინ, როდესაც ჩვენი სჯული, ქრისტეს სარწმუნოება, აკეთებს კაცს, აუმჯობესებს, წარმატებაში შეიყვანს... აჰა, ძმაო, რა სარწმუნოება მოგცა შენ ღმერთმა. რამდენი მადლობა, დიდება, სიყვარული, მორჩილება, გმართებს შენ ღვთისადმი" (II, გვ. 72—73).

მართალია. ამ მსჯელობაში, ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის, ამ დაპირისპირებაში, აშკარად იგრძნობა ტენდენციურობა, მაგრამ ამას თავისი ნათლად გამიზნული მიზანსწრაფვა აქვს; მქადაგებელმა კარგად იცოდა იმ ადამიანთა უმეტესობის განათლებისა და ინტელექტუალური მომზადების დონე, ვისაც ამ სიტყვებს უქადაგებდა.

გ. ქიქოძის ქადაგებათა მხატვრული სპეციფიკის დახასიათების დროს ისიც შეიძლება ითქვას, რომ ისინი ესეისტური ჟანრისთვის ნიშანდობლივი სპეციფიკური ნიშან-თვისებებითაც არიან აღბეჭდილნი. ორატორი, საერთოდ, როგორც ვხედავთ, ერთი რომელიმე ჟანრის ჩარჩოებში არაა ჩაკეტილი და იგი ყველა ლიტერატურულ საშუალებას ხმარობს მიზნის მისაღწევად. მიზანი კი უაღრესად კეთილშობილური იყო — ადამიანის სულში ღვთისმოსაობის რწმენის გაღვივება, მისი განწმენდა ყოფითი ჭუჭყისაგან, სწრაფვა პიროვნების ზნეობრივი ამაღლებისაკენ.

გაბრიელის ყოველი ქადაგება, ფაქტობრივად, ეს არის გულწრფელი და ძალდაუტანებელი დიალოგი მრევლთან, დიალოგი, რომელიც ოდნავ ზეაწეული, არტისტული პათეტიზმითაა გაჟღენთილი. მათში დიდი ადგილი აქვს დათმობილი არა მარტო იდეალური ღვთაებრივი ჰარმონიის დახასიათებას, არამედ ამ ჰარმონიის საწინააღმდეგო მხარის ჩვენებასაც. თავის გამოსვლებში ორატორი ხშირად კონტრასტულად უპირისპირებდა ხოლმე ამ ორ მხარეს ერთმანეთს და მათი შედარება-შეპირისპირების შედეგად კიდევ უფრო შთამბეჭდავად და დასაბუთებულად ცდილობდა პიროვნების სულში ღვთაებრივი რწმენის განმტკიცებას.

ასე წარმოჩინდება მის ქადაგებებში, ერთის მხრივ, სახე ქრისტიანული რწმენით ამაღლებული იდეალური ადამიანისა, და, მეორეს მხრივ, სახე მიწიერი ცოდვით დამძიმებული და დამდაბლებული პიროვნებისა. გაბრიელი ცდილობს მრევლს ნათლად დაანახოს ღვთისგან განდგომის უმძიმესი შედეგები, უჩვენოს, რა ხდის კაცს ცოდვილად, აპოვნინოს სულის ხსნის ჭეშმარიტი გზა.

იგი, როგორც ორატორი, ღრმად ფლობდა ადამიანის გულის წვდომის ხელოვნებას. მისი ქადაგებანი შეიძლება მივიჩნიოთ საასულიერო მწერლობის ტრადიციათა გაღრმავებად. მათი ავტორი ლოგიკური დამაჯერებლობით მსჯელობს თეოლოგიისა და ზნეობის მრავალ ურთულეს პრობლემაზე. დიდაქტიზმითა და დამრიგებლური პათოსით აღბეჭდილი ეს სიტყვანი და მოძღვრებანი მოკლებულია რიტორიკულ სიმშრალეს და ღრმა შთამაგონებელი ემოციური ძალითაა დამუხტული. ამ შთამბეჭდაობას მათ სძენს მსჯელობის დამაჯერებლობა და სიმარტივე, ძალდაუტანებლობა და ზომიერი პათეტიზმი, აზრის გამჭვირვალობა და ვულწრფელობა.

სტილური თავისთავადობის ერთ-ერთ ძირითად საყრდენად მათში ქცეულია არქაული ლექსიკისა და სინტაქსური კონსტრუქციების ზომიერი გამოყენებაც. გაბრიელის ქადაგებებს ენობრივი თვალსაზრისით შუალედური ადგილი უჭირავთ ძველ ქართულ საეკლესიო ენასა და ყოველდღიურ სამეტყველო ენას შორის. ეს საშუალებას აძლევს ავტორს არც მთლიანად მოსწყდეს ეროვნული სასულიერო მწერლობის მდიდარ ენობრივ ტრადიციებს და არც მეტისმეტად გაამარტივოს მისი ქადაგებების ენა.

სწორედ ამისი შედეგია ის გარემოება, რომ გაბრიელის ქადაგებანი არაა დამძიმებული მსმენელისთვის ძნელად აღსაქმელი ლექსიკითა და სინტაქსური კონსტრუქციებით, აზრი გამჭვირვალეა და ნათელი, ფრაზა ლაღი და შეუზღუდავი. არქაიზმები და სასულიერო ლექსიკა, რომელსაც ორატორი, ჩვეულებრივ, იყენებს ხოლმე თავის გამოსვლებში, სტილური ინდივიდუალობისა და ემოციური შთამბეჭდაობის განმაპირობებელ ბუნებრივ ფორმად აღიქმება, რითაც უფრო მეტად იზრდება ქადაგებათა მხატვრული ოსტატობის დონე.

• • •

როგორც აღინიშნა, გაბრიელ ეპისკოპოსისადმი, როგორც მოღვაწისა და ღვთისმსახურისადმი, ფართო საზოგადოების პატივისცემა დიდად იყო განპირობებული მისი გაბაოცარი მშვევრმეტყველებით. თანამედროვენი აღფრთოვანებულნი არიან გაბრიელის ორატორული ხელოვნებით. მის ქადაგებებში მშვევრმეტყველური ოსტატობით წარმოჩინდებოდა ორატრის ნააზრევი და მსმენელებთან მყარდებოდა გულითადი, ძალდაუტანებელი კავშირ-სიახლო-

ვე. იგი გახლდათ ღირსეული შთამომავალი გრიგოლ ხანძთელისა, რომელზეც გიორგი მერჩულე ამბობს: „სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთაო“.

გაბრიელის ორატორულ ხელოვნებაზე აღტაცებით წერენ მისი თანამედროვენი. მოსე ჯანაშვილს, მაგალითად, ის „მსოფლიოში უდიდეს მქადაგებლად“ და „ნიმდვილ ცოცხალ აკადემიად“ მიაჩნია, ხოლო მოსე ქიქოძის შეფასებით, „გასაოცარი და მომხიბლავი ზედმოქმედება გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათა საგრძნობია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვესმის თვით მქადაგებლისაგან, როდესაც თვითონ ის ქადაგებს... მსმენელნი ნათლად ხედავენ, ღრმად გრძნობენ, რომ მქადაგებლის სიტყვა და მოძღვრება... ამოჩქეფს, მომდინარეობს სიყვარულის და სარწმუნოების წყაროსაგან და აფრთოვანებს სულსა მქადაგებლისასა. ამ საიდუმლო ძალას შეუმჩნეველად ითვისებს მსმენელიცა და მისი სული ექვემდებარება ამ ძალის ზედ-მოქმედებას“ (იხ. კრებული „სულ-მნათი გაბრიელის საუნჯე“, 1897 წ., გვ. 27).

ასე თანდათანობით ყალიბდებოდა ის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა, რითაც გაბრიელ ეპისკოპოსი იყო გარემოსილი მთელ საქართველოში. აზრის პროგრესულობითა და გულწრფელობით, მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრობითა და მისაწვდომობით, სიტყვიერი დახვეწილობითა და ძალდაუტანებლობით, ფრაზის სისადავითა და სინათლით, ემოციური შთამბეჭდაობითა და ეფექტურობით, მისი ქადაგებანი ქართული ორატორული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

გ. ქიქოძის ქადაგებებს ამდაგვარ შეფასებებს აძლევენ როგორც მისი თანამედროვენი, ისე მომავალი თაობებიც. მაგალითად, ქართული მწერლობის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ნ. კანდელაკი გაბრიელის ორატორულ ოსტატობას „საკაცობრიო მნიშვნელობის ხელოვნებად“ მიიჩნევს და ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიული განვითარების „უკანასკნელ მაღალ საფეხურად“ აღიარებს.

მკვლევარის აზრით, გ. ქიქოძის ქადაგებათა „სტილის კაზმულობას უმთავრესად ზოგიერთი არქაული ელემენტი ქმნის, რაც ოდნავ მოშველებული ელფერით მოსავს მეტყველებას, მაგრამ ვერ უკარგავს მას სიცხადესა და მკაფიობას. კონტრასტების შუქით განითებული არქაული ელემენტები ინარჩუნებენ სიძველის იერს, მაგ-

რამ იძენენ ახალ დანიშნულებას“ (ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, 1968 წ., გვ. 350).

გაბრიელის ქადაგებათა ძირითადი მსოფლმხედველობრივი საფუძველი ქრისიტანული რწმენა და საღმრთო წიგნებია. იგი ეკლესიას ზნეობრივი აღზრდისა და რწმნის განმტკიცების უპირველეს კერად მიიჩნევდა. გაბრიელ ეპისკოპოსის თეოლოგიურ მოღვაწეობას საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაწერილ ნაშრომებში, გასაგები მიზეზების გამო, ზოგჯერ ტენდენციური ცალმხრივობითაც უდგებოდნენ ხოლმე. ეს იყო სამწუხარო შედეგი იმ დამოკიდებულებისა, რომელსაც ეკლესიისადმი, საერთოდ, სარწმუნოებისადმი, იჩენდა ახალი ეპოქის იდეოლოგია.

სწორედ ამ იდეოლოგიურმა ცალმხრივობამ და ტენდენციურობამ განაპირობა იმისთვის ხაზგასმა, თითქოს გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი „რელიგიური ცრურწმენითა და ქრისტიანული მისტიციზმის ყალბი შინაარსით“ იყოს მხოლოდ გამსჭვალული. „მისი აზროვნების პრინციპული მხარე, — წერს ნ. კანდელაკი, — ანტიმეცნიერულია. ის ეყრდნობა მოთმინების, მოდუნებისა და გულგრილობის ქრისტიანულ მასალას. ორატორი იღვწის ბოროტებასთან შერიგებისა და კლასთა შორის მშვიდობისათვის“ (იქვე, გვ. 348).

აქ, ამ შეფასებაში, ძნელი არაა იდეოლოგიურ სტერეოტიპულ პრინციპებზე დაფუძნებული მცდარი დასკვნები დავინახოთ, რის შედეგადაც არასწორი განმარტება ეძლევა გაბრიელის ქადაგებათა ცალკეულ მხარეებს. უყურადღებოდაა მიტოვებული ის ცხოვრებისეული პრობლემები, რომლებსაც ხშირად აქცევდა ხოლმე ორატორი მსჯელობის საგნად.

აქვე უსათუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაბრიელის ქადაგებანი ხშირად მეცნიერულ საფუძველზეა დაფუძნებული. იგი, არსებითად, თითქმის ყოველთვის, უშუალოდ სინამდვილიდან ამოდის ხოლმე და არ წყდება ცხოვრებისეულ რეალობას. ამიტომაცაა, რომ მის ქადაგებებში მოვლენათა საფუძვლიანი განსჯა იკავებს ძირითად ადგილს.

ასე რომ, გაბრიელის მსოფლმხედველობის ანტიმეცნიერულობაზე საუბარი არასწორია. პირიქით, მისი თეოლოგიური მოძღვრება, როგორც ეს ადრევე აღნიშნეს მღვდელმთავრის დიდმა თანამედროვეებმა, საოცარი ნიმუშია მეცნიერებისა და სარწმუნოების

ურთიერთშერწყმისა. ილიას აზრით, გაბრიელ ეპისკოპოსი ის მოძღვარი იყო, რომელიც „სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა“. ი. გოგებაშვილი კი წერდა: „სარწმუნოება, მოკლეპული განათლებას, ხშირად იქცევა ვიწრო ფანატიკოსობად, ან ღმერთებს გარეგანს, დროებითს ფორმებს ეკლესიისას და ივიწყებს შინაგან მხარეს, ცხოველმყოფელს ზნეობრივ პრინციპებს, დედა-აზრს სახარებისას“. გაბრიელის ქადაგებათა უმთავრეს ღირსებად იაკობი იმას თვლის, რომ მათში წარმატებითაა უკუგდებული ყველა ეს საშიშროება.

გ. ქიქოძის ქადაგებათა მკითხველი ნათლად შეიგრძნობს სიკეთისა და ბოროტების სიღრმისეულ არსს. ორატორის მიზანია გაგვიღვივოს რწმენა მოყვასისადმი სიყვარულისა და დათრგუნოს ადამიანის არსებაში ფესვგადგმული უკეთურობის მაცდუნებელი გრძნობა. ამ ღვთაებრივი მიზნისაკენ გაბრიელი მიისწრაფვის დარწმუნების, შთაგონების მეშვეობით. მისთვის მთავარია მოყვასს დაეხმაროს სულის მხსნელი გზის ძიებაში. ეს არის ღმერთთან, ქრისტიანულ ზნეობასთან ზიარების ქადაგება, რომელიც ადამიანის შინაგანი ბუნებისა და ცხოვრებისული რეალობის ღრმა მეცნიერული ცოდნის საფუძველზეა აღმოცენებული.

ძნელია დავასახელოთ ადამიანის მიწიერი ყოფის რომელიმე მნიშვნელოვანი მხარე, გაბრიელის ქადაგებათა განსჯის ობიექტად რომ არ ქცეულიყო. ასე გაუმიჯნავად ერწყმის მის ქადაგებებში ერთმანეთს საერო და სასულიერო მოტივები, რითაც დიდად იყო განპირობებული ის საყოველთაო ინტერესი, რასაც თანამედროვენი იჩენდნენ მის მიმართ.

მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ გ. ქიქოძის ქადაგებათა მხატვრულ-ლიტერატურულ მნიშვნელობას კრიტიკულად შემფასებელნიც ჰყავდნენ. მაგალითად, ნიკო ნიკოლაძე 1870 წელს დაწერილი თავისი წერილებით რადიკალურად დაუპირისპირდა მაშინდელ პრესაში გაბრიელის ქადაგებებზე გამოთქმულ თვალსაზრისს. კერძოდ, ნ. ნიკოლაძეს მხედველობაში აქვს „მნათობის“ 1870 წლის პირველ ნომერში დასტამბული რეცენზია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ გ. ქიქოძის „სიტყვანი და მოძღვრებანი“ კაცის ცხოვრებას გააუკეთესებს და სისრულემდის მიიყვანსო (გვ. 116). ამის გამო გაზეთ „დროების“ 1870 წლის მე-20 და 21-ე

ნომრებში დასტამბულ წერილში ნიკო ნიკოლაძე წერდა, რომ „მნათობის“ „კრიტიკა უსაფუძვლო ქების შესხმაა“.

იგი სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ გ. ქიქოძის ქადაგებებს „მშვენიერი და უსათუო ჭეშმარიტებანი უძევს საფუძვლად. ამ ჭეშმარიტების გასავრცელებლად მქადაგებელი შესანიშნავ ბუნებით ნიჭს ხმარობს ხოლმე. ეს ყველაფერი უეჭველია; აგრეთვე უეჭველი ისიც არის, რომ ამ ქადაგებას სასულიერო ლიტერატურაში მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს“. მაგრამ, კრიტიკოსის აზრით, მღვდელმთავრის მიერ ნაქადაგები ჭეშმარიტებანი ძველისძველია და „ათი ათასჯერ გამოუთქვამთ პირველ მამამთავრებს და ზნეობის მასწავლებლებს“ (ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. II, 1960 წ., გვ. 46).

ეს შენიშვნა უთუოდ სწორია და გასათვალისწინებელი, მაგრამ არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ზნეობრივი ჭეშმარიტებანი მარადიულ ადამიანურ ღირებულებებს შეადგენენ და მათ ყავლი არასოდეს არ გაუდით. გაბრიელის მიერ ნაქადაგები ზნეობრივი და თეოლოგიური პრობლემები, უმეტესწილად, სწორედ მარადიულ სულიერ ღირებულებებს წარმოადგენენ და ისინი ყოველთვის აქტუალურნი იქნებიან, რადგანაც სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი, ზნეობრივი სრულყოფისკენ სწრაფვა, მარადიულად მიმდინარე პროცესია, რომელსაც საბოლოო არა აქვს.

სულ სხვა ამბავია, რამდენად ოსტატურად და მაღალმხატვრულად ახერხებს ავტორი ამ ჭეშმარიტებათა გამოხატვას. საზოგადოებრიობამ იმთავითვე აღიარა და დრომ ეს შეფასება სავსებით დაადასტურა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი მაღალი ლიტერატურული დონის ნაწარმოებებია, შესრულებულნი დახვეწილი ოსტატობითა და ნატიფი ხელოვნებით. ასე რომ, მათ ღირსებებს მარტო შინაარსობრივი მხარე კი არ განსაზღვრავს, არამედ ამ შინაარსის მხატვრული გამოხატვის ფორმაც. კერძოდ, გ. ქიქოძე თავისი სიტყვებითა და მოძღვრებებით ღირსეული გამგრძელებელია ქართული სასულიერო მწერლობის მრავალსაუკუნოვანი მონაპოვრისა.

აქვე არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ „ქრისიტანულ მწერლობაში საავტორო უფლებისა და ორიგინალების საკითხი სულ სხვანაირად იყო გააზრებული, ვიდრე ახალი დროის მწერლობაში. ამ ფაქტის გათვალისწინებით უნდა იქნეს გაანალიზებული ადრეული

საუკუნეების და მათ შორის ქართული ლიტერატურული ძეგლები. მართებულად შენიშნავს დიდი მედიევისტი ჟებელოვი: ძველად თითქმის არ არსებობდა საავტორო უფლებისა და ლიტერატრული საკუთრების ვაკება“ (რ ე ვ ა ზ ბ ა რ ა მ ი ძ ე, საავტორო უფლების საკითხის გაგებისათვის ლიტერატურათმცოდნეობაში. იხ. წიგნში: ლიტერატურული ძიებანი, 1 (XVI), 1987 წ. გვ. 206).

მსოფლიოს გამოჩენილ ლიტერატურათმცოდნეთა ნაზრევზე დაყრდნობით, რ. ბარამიძე დასაბუთებულად ადასტურებს ზემოოქმულ თვალსაზრისს და ნათელყოფს სასულიერო მწერლობისათვის მკაფიოდ დამახასიათებელ იმ ტენდენციას, რომ „ბიბლიური და პატრისტიკული სახეები არის არა მავანის საკუთრება, არამედ ღვთაებრივი ზეშთაგონება, რომელიც შეიძლება იქნას გამოყენებული კონკრეტული განწყობისა და სიტუაციის შესაბამისად“. მკვლევარის განმარტებით, „ბიბლია აღქმული და გააზრებული იყო, როგორც ღვთაებით შთაგონებული ქმნილება და ამდენად ის ერთდროულად ყველას საკუთრება იყო. ბიბლიური ციტატის, ბიბლიური სახისა თუ სიმბოლოს გამოყენება არავის პრეროგატივას არ წარმოადგენდა. ნებისმიერი მწერალი, მოაზროვნე და თვით რიგითი მოქალაქე, რაიმე დებულების, მოსაზრების ნათელსაყოფად ეყრდნობოდა რა ბიბლიურ სახეს, ამ უკანასკნელის ფიგურირება ამა თუ იმ ძეგლში არ აღძრავდა კითხვას, საიდან მოდის იგი: უშუალოდ ბიბლიის წაკითხვითაა აღძრული, თუ წინა დროის რომელიმე მწერლის თხზულებიდანაა ამოკითხული. ამიტომ არც იდგა საკითხი ლიტერატურული წყაროს ძიებისა“ (იქვე).

გაბრიელ ეპისკოპოსი მყარად დგას სასულიერო მწერლობის ამ ტრადიციაზე და თანმიმდევრულად იცავს მას.

ვფიქრობ, ნ. ნიკოლაძის პოლემიკურ წერილში ზემოთ ხაზგასმული თავისებურებანი ვერაა სათანადოდ ყურადღებამიქცეული, რის გამოც მსჯელობამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო. კრიტიკოსი თვლის, რომ ხალხის ზნეობრივი სახის გაჯანსაღების ის გზა, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსს აურჩევია, მცდარია და ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ სოციალური წყობილების შეცვლითაა შესაძლებელი. „ჟურნალს, — ამბობს იგი, — უნდა სცოდნოდა, რომ ხალხის ზნისა და ჩვეულების შეცვლაში ან გაუმჯობესებაში უმთავრესი გავლენა იმ ხალხის მდგომარეობას და წყობილებას აქვს. იმას არ უნდა დავიწყებოდა, რომ ხალხის ზნეობით აღზრდისათვის, ქა-

დაგებების გარდა, სხვა რამეცაა საჭირო, და ეს „სხვა რამე“ იმაში მდგომარეობს, რომ მას მიზნათ ამ ბუნების დაკმაყოფილება ჰქონდეს: „მნათობს“ ისიც უნდა გახსენებოდა, რომ ამ ბუნების დაკმაყოფილებისათვის აუცილებლად საჭიროა ზოგიერთი საზოგადო წესების შეცვლა... საზოგადოების ზნეობითი აღზრდა საზოგადოების წყობილების და მდგომარეობის გაუმჯობესებას მოსდევს, უამისოთ კი სრულიად შეუძლებელია“ (ნ. ნიკოლაძე, დასახ. ტომი, გვ. 46).

ადამიანის ზნეობრივი სახის გასაუმჯობესებლად აუცილებლად საჭირო ის ორი მომენტი, რომელთაც ნ. ნიკოლაძე ასახელებს ციტირებულ ფრაგმენტში, ვფიქრობ, ერთმანეთს არც გამორიცხავს და არც უპირისპირდება. საზოგადოების ზნეობრივი გაჯანსაღება მარტო სოციალურ-პოლიტიკური წყობილების შეცვლა-გაუმჯობესებაზე არ არის დამოკიდებული. ასე რომ, თეზისი — „საზოგადოების ზნეობითი აღზრდა საზოგადოებს წყობილების და მდგომარეობის გაუმჯობესებებს მოსდევსო“ — მხოლოდ ნაწილობრივაა სწორი, რადგანაც მატერიალურად კეთილმოწყობილ საზოგადოებაშიც არანაკლებად აქტუალურია ადამიანის ზნეობრივი სახის სრულყოფის პრობლემა.

თანაც, გ. ქიქოძის ქადაგებათა შეფასების დროს, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის არსებითი მომენტი, რომ გაბრიელი იყო არა რევოლუციონერი და სოციალური რეფორმატორი, არამედ ღვთისმოსავი, რომელსაც საზოგადოებრივი გაჯანსაღების უპირველეს საშუალებად ღმერთთან ზიარება და რწმენის განმტკიცება ეიაჩნდა.

საგანგებოდ შეეხო ნ. ნიკოლაძე გაბრიელის ქადაგებათა უცხო ენებზე თარგმნის საკითხსაც და აღნიშნა, რომ ამ ფაქტის მიჩნევა ნაწარმოების მაღალმხატვრულობის დამადასტურებელ არგუმენტად შეცდომაა. ამჯერადაც მას მხედველობაში ჰყავდა „მნათობის“ რეცენზენტი, რომელიც წერდა: „ეს შემთხვევა (იგულისხმება გ. ქიქოძის ქადაგებათა ინგლისურად თარგმნა — ა. ნ.) ამტკიცებს მოხსენებულ ქადაგებათ და მოძღვრებათ ფრიად ღირსებაებს. ჩვენ, ქართველებს, შეგვიძლიან ვიამაყოთ ამით, რადგან ქართველი ხიქის ნაწაძროები ინგლისელებსაც კი. ამისთანა გონიერ და დამჯდარ ხალხს, მოკაწონეთ და ისე მოვაწონეთ, რომ შრომა გასწიეს მის გადათარგმნაზე და იწყეს მათი ხმარება“ (ჟურნ. „მნათობი“, 1870 წ. 1, გვ. 116).

ნ. ნიკოლაძე არ ეთანხმება ამ თვალსაზრისს და მართებულად შენიშნავს, რომ „მარტო გადათარგმნა წიგნის ღირსებას ვერ ამტკიცებსო“.

მოგვიანებით ნ. ნიკოლაძემ დიამეტრალურად შეიცვალა აზრი გ. ქიქოძის ქადაგებებზე და მათ მაღალ შეფასებას აძლევდა. იგი უდიდესი პატივისცემით იყო გამსჭვალული გაბრიელ ეპისკოპოსისადმი, როგორც დიდი მამულიშვილისადმი, და მასზე ამბობდა, რომ ის „ერთი ყველაზე ღირსეული და სრულყოფილი ფიგურა არისო ჩვენი დროისა“. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ვნახეთ, სწორედ მისი აქტიური ზრუნვითა და დახმარებით შეძლო მ. კელენჯერიძემ გ. ქიქოძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დაწერილი წიგნის გამოცემა 1913 წელს.

აქვე ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათა ინგლისურ ენაზე მთარგმნელის შესახებაც. 1868 წელს გ. ქიქოძის ქადაგებანი ინგლისურად თარგმნა სოლომონ სიზარ მალანმა. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებით მოხიბლულ შვეიცარიელ ღვთისმეტყველსა და კლასიკური ფილოლოგიის პროფესორს გადაუწყვეტია საკუთარ სამწყსოში წვეოდა მღვდელმთავარს და პირადად გაეცნო იგი.

მართლაც, 1872 წლის გაზაფხულზე ის ესტუმრა ქუთაისს. გაბრიელ ეპისკოპოსმა მოსიბლა მალანი, რომელმაც ერთი კვირა დაჰყო მღვდელმთავართან, „თან ახლდა წირვასა და მღვდელმსახურებაზე, ნახა ფრესკებით შემკული და პატიოსანი თვლებით მოოქვილი მასიური ოქროს ჭურჭლეულით მდიდარი ტაძრები; დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე რიტუალის ზვიადმა იერმა და გალობის ხვატკბილობამ, ხელზე მთხვევის ცერემონიამ და სხვ. თვით მალანმა ქართულად წარმოთქვა ქადაგება საკათედრო ტაძარში“ (დევიდ მარშალ ლენგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში იხ. ჟურნ. „ცისკარი“, 1957 წ. № 4, გვ. 140).

* * *

გაბრიელის სიტყვები და მოძღვრებანი ბოროტების კირთებისაგან ადამიანის სულის დახსნისკენ სწრაფვა და სიკეთის გამოსარწლებაა. ორატორის ყოველი გამოსვლა ეს არის გულითადი დიალოგი მრევლთან, ძალდაუტანებელი ქადაგება ღვთაებრივი რწმენისადმი უღალატო ერთგულებისა, გულწრფელი ღალადისი ღვთით

შთაგონებული ზნეობრივი მცნებებისა, რომელთადმი ერთგულებაჰ უნდა დათრგუნოს ადამიანის სულში ბოროტება და გააღვივოს მოყვასისადმი უანგარო სიყვარულის უზენაესი გრძნობა.

თავისი ქადაგებებით გაბრიელი გვეცნობა როგორც დიდი თეოლოგი და მორალისტი, ვინც ფილოსოფიური დამაჯერებლობითა და ლოგიკური მჭევრმეტყველებით განუმარტავს მრევლს მარადიულ ზნეობრივ ღირებულებებს, ადამიანთა ცხოვრების არსსა და მიზანდასახულებას, შთააგონებს და განუმტკიცებს ღვთის რწმენას. გვმოძღვრავს და გვასწავლის იმ გზას, რითაც უნდა ვეზიაროთ უზენაეს სულიერ ჰარმონიას და თავი დავიხსნათ ყოფითი ამაოების ტყვეობისაგან.

არ დარჩენილა მიწიერი ცხოვრების მანკიერება, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათა მხილებისა და განსჯის საგნად არ ქცეულიყოს. ამ თვალსაზრისით იგი უშუალო გამგრძელებელია ქართული ქრისტიანული ლიტერატურის დიდი ტრადიციებისა. მსგავსად ჩვენი სასულიერო მწერლებისა, გ. ქიქოძეც თავგამოდებით გმობს ყოველგვარ ბოროტებას და ცდილობს მათი კირთებისაგან პიროვნების განთავისუფლებას.

ქართულ სასულიერო ლიტერატურასთან მისი ქადაგებების ამდაგვარი პირდაპირი მემკვიდრეობითი კავშირი შეინიშნება არა მარტო შინაარსობრივი თვალსაზრისით, არამედ მხატვრული გამოსახვის ფორმათა მსგავსებითაც. გაბრიელი-მქადაგებელი ამ შემთხვევაში პირდაპირ მიყვება იმ მაგისტრალურ გზას, რომელიც ქრისტიანულმა იდეოლოგიამ დაამკვიდრა ჩვენს ლიტერატურაში.

გ. ქიქოძის ქადაგებებში დასმული პრობლემები, მათ შორის, რასაკვირველია, მის მიერ მხილებული და დაგმობილი მანკიერებანიც, მრავალგზის ქცეულა ჩვენი სასულიერო მწერლობის ასახვის ობიექტად. ამ თვალსაზრისით ორატორი მარადიულ ზნეობრივ ღირებულებებს, საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებს, გამოხატავს ხოლმე. მაგრამ ამ ჭეშმარიტებათა ქადაგება ხშირად იძენს იმ შთამაგონებელ ემოციურ დატვირთვას, რითაც საყოველთაოდ ცნობილი აზრები ახალი ძალით იჭრებიან მსმენელის გულში და იპყრობენ მის ცნობიერებას.

მოვიშველიოთ კონკრეტული მაგალითი. როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგიის დანიშნულება იმ რწმენის განმტკიცებაა, შთააგონოს პიროვნებას ამსოფლიური ცხოვრების წარმაელო-

ბა. „ამ სოფლის სიცოცხლე, — ქადაგებს გაბრიელი, — ღმერთმა დაგვინიშნა, ძმაო, მისთვის, რათა მოვამზადოთ თავი ჩვენი მომავლისა ნეტარებისათვის. ამ სოფლის ყოველივე წარმავალი არს, ყოველივე აქვე დარჩება. და ესრეთ რომელმან კაცმან ამ სოფელში ძონახა და გაიჩინა რომელიმე ცრუ საუნჯე, იგი დაჰკარგავს ჭეშმარიტსა, ზეციერსა საუნჯესა“ (I, გვ. 67). გ. ქიქოძის საღვთისმსახურებლო მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი იყო გაეთავისუფლებინა ადამიანის სული ამ „ცრუ საუნჯის“ ტყვეობისაგან და ეჩვენებინა მისთვის „ზეციურ საუნჯესთან“ მისაახლებელი გზა.

ღმერთთან, ამ „ზეციურ საუნჯესთან“, მიახლების გზაზე კი მას ერთ-ერთ ძნელად დასაძლევ ბარიერად და სულის წამწყმედ ცოდვად ვერცხლისმოყვარეობა მიაჩნდა. ვერცხლისმოყვარეობით გოხებადაბნელებულ ადამიანს გაბრიელი განწირულად თვლის და მისი უბედურების მთავარ პირობად იმას აღიარებს, რომ მას შეგნებული არა აქვს ერთი მარტივი ჭეშმარიტება: „ყოველივე ამ სოფლის საუნჯე არის წარმავალი და მოღალატე, ხოლო სული შენი არის უკვდავი“. „რასა იქმ შენ მაშინ, — მიმართავს იგი ვერცხლის ტყვეობაში მყოფ ადამიანს, — ოდეს საუნჯე შენი დაგრჩება აქა და შენ კი გადახვალ იმ სოფელში, რას იქ შენ, ჰოი კაცო, ვერცხლის ხარბო? შენი სიყვარული და ნუგეში იყო ვერცხლი და სიმდიდრე; საწყალი შენი სული იქ სიმდიდრეს ვეღარ ნახავს. ანუ რასა იქმ, შენ, ჰოი, შენ პატივის და ჩინების მოყვარეო, კაცო, როდესაც გარდახვალ იმ საუკუნეში?.. რაც გიყვარდა, ის აქ დაგრჩა და რასაც ეჩვეული არა ხარ, იქ დაგხვდება. რას იქ შენ მაშინ განშიშვლებული და მოკლებული ყოველითა შენითა ნუგეშითა?“ (იქვე).

ცხადია, მთელ ამ მსჯელობაში ახალი და ორიგინალური არაფერია. ეს ყველაფერი არაერთგზის თქმულა და კარგადაა ცნობილი ყოველი ქრისტიანისათვის. მაგრამ ამ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ ქრისტიანული ღვთისმსახურება, პირველ ყოვლისა, სწორედ ამგვარ ჭეშმარიტებათა და მარადიულ ზნეობრივ ღირებულებათა განმტკიცებას ისახავდა მიზნად. ამ შემთხვევაში მთავარი ყურადღება იმას ექცეოდა, როგორ, რა ახალი გზებითა და საშუალებებით, მიაღწევდი ღვთაებრივი სათნოების განმტკიცებას პიროვნების სულში. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანიც, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ მხრივაა საინტერესო ისტორიულადაც და თანადროული თვალსაზრისითაც.

ცხოვრების მანკიერებათა დაგმობა და ადამიანის ზნეობრივი განწმენდისკენ სწრაფვა, როგორც წესი, ბიბლიური წიგნებიდან მოშველიებულ სიბრძნესა და სიუჟეტურ ეპიზოდებს ეფუძნება ხოლმე. მქადაგებელს ხშირად მოჰყავს ცალკეული ფრაგმენტები, პოპულარული, ადვილად მისაწვდომი ენით მოუთხრობს მრევლს მათ შესახებ, განმარტავს ტექსტს, რის შედეგადაც ნათელს ხდის ამ ეპიზოდებისა თუ ბრძხული აზრების სიმბოლურ-ალეგორიულ ქვეტექსტებს.

მაგრამ აქვე ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გაბრიელი მხოლოდ კომენტატორის როლში როდი გამოდის. საღვთო წიგნების ყოველი მისეული ახსნა-განმარტება ორგანულადაა დაკავშირებული თავისი დროის საჭირბოროტო პრობლემებთან. ასე ერწყმის მის ქადაგებებში ერთმანეთს ზოგადადამიანური პრობლემებისა და თეოლოგიური საკითხების სიღრმისეული განსჯა კონკრეტული ცხოვრებისეული მოვლენების გონივრულ ანალიზს.

გ. ქიქოძის სიტყვებსა და მოძღვრებებში მძაფრი კონტრასტულობითაა ნაჩვენები სიკეთისა და ბოროტების ურთიერთჰიდილი. ორატორი ნათლად მიგვანიშნებს ყველა იმ სირთულესა და წინააღმდეგობაზე, რომლებიც ადამიანს ეღობებიან წინ ქრისტიანული სულიერი ჰარმონიის მისაღწევ გზაზე და იმასაც არაერთგზის ამბობს, რომ ბევრს როდი შესწევს შინაგანი ძალა საიმისოდ, თავი დააღწიოს მიწიერ ამაოებათა ტყვეობას. ეს უდიდეს ნებისყოფასა და რწმენის აბსოლუტურ სიმტკიცეს გულისხმობს. მაგრამ ავტორი იქვე იმ სასიკეთო შედეგებზეც საუბრობს, რომლებიც ამ მსხვერპლშეწირვის ფასად მიიღწევა. ეს არის ადამიანის ზნეობრივი სრულყოფა და იმქვეყნიური სასუფევლის დამკვიდრება.

ორიოდე სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათა კომპოზიციურ აგებულებაზე. ორატორის სიტყვები და მოძღვრებანი, როგორც წესი, ძოცულობითი სიმცირით ხასიათდებიან. საშუალოდ, თითოეული მათგანი, უმეტესწილად, 3-4 ნაბეჭდი გვერდია და მათში ძირითადი ყურადღება ერთ ძირითად პრობელმაზეა გამახვილებული. ავტორი თავიდანვე გამოყოფს განსასჯელ საკითხს და მთელ საუბარს მის სიღრმისეულ შეფასება-ანალიზსა და ახსნა-განმარტებას უმორჩილებს. ეს საუბარი მოკლებულია განყენებულ ფრაზეოლოგიას და არაა გადატვირთული ზოგადი, არაფრისმთქმელი ბჯელობებით. ამგვარი განსჯის ობიექტად, როგორც ითქვა, ქცე-

ულია ქრისტიანული რელიგიის საკულტო დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანი, ადამიანის ზნეობასთან და ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საჭირბოროტო პრობლემები, ბიბლიის ცალკეულ ეპიზოდებისა და დეტალების განმარტებანი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გ. ქიქოძის ქადაგებათა ენობრივი მხარე, რომელიც ყურადღებას იქცევს ლიტერატურული დახვეწილობით, ლექსიკური სიმდიდრითა და მისაწვდომობით. მისი თხრობა არაა გადატვირთული მოძველებული საეკლესიო და მრევლისთვის ძნელად გასაგები არქაული სიტყვა-გამოთქმებით. მართალია, ორატორი ხელაღებით არ ამბობს უარს არქაულ საეკლესიო ლექსიკაზე, მაგრამ ყოველთვის იცავს ზომიერებასა და სიფრთხილეს. მის მიერ გამოყენებული არქაიზმი სტილური ინდივიდუალობის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია, რომელიც ბუნებრივად ერწყმის სასაუბრო ენის სისადავესა და უბრალოებას.

გაბრიელმა კარგად იცოდა, რომ მისი ქადაგებების მსმენელთა უმეტესი ნაწილი უბრალო ხალხი იყო, რომლისთვისაც ნაკლებად მისაწვდომი იქნებოდა ხელოვნურად გართულებული და გადატვირთული მსჯელობა. ამიტომაც ცდილობდა იგი შეგნებულად ეთქვა უარი მეტისმეტ მწიგნობრულობაზე, თავი შეეკავებინა ხაზგასმული პათეტიკისა და რიტორიკისგან და მრევლთან გამართული გულითადი დიალოგებითა და ქადაგებებით ესწრაფოდა ეპოვა ადამიანის გულისკენ მიმავალი გზა.

ასე იძენს ორატორის სიტყვა უშუალობას, გულწრფელობას, სისადავეს, უბრალოებას — ყველა იმ ნიშან-თვისებას, რითაც იშლება ზღვარი მქადაგებელსა და მსმენელს შორის. ზედმეტი ფერადებისა და ჩუქურთმებისაგან განტვირთული მისი თხრობა ლაღია, სადაა და გადაუტვირთავი. მის ქადაგებებში იგრძნობა ხალხური ენის ლაღი სუნთქვა.

ასე, მრევლისთვის ადვილად ხელმისაწვდომი ენით, გამოხატავს ორატორი სათქმელს. თხრობის უშუალობა და სისადავე აშკარად შეგვაგრძნობინებს იმას, რომ მქადაგებელსა და მსმენელს შორის თავიდანვე მყარდებოდა ნდობისა და გულითადი სიახლოვის განწყობილება. ამას დიდად განსაზღვრავდა არა მარტო მსჯელობის გულწრფელობა და სიმართლე, არამედ გაბრიელის პიროვნული თვისებებიც — თავმდაბლობა, უშუალობა, შემწყნარებლობა, მრევლისგან გაუმიჯნელობა და ხალხის ტკივილისა და სიხარულის სა-

ფუძვლიანი ცოდნა. ორატორი მსმენელთა წინაშე იდგა არა როგორც მხოლოდ მქადაგებელი და ჭკუის დამრიგებელი, არამედ მათი სისხლი სისხლთაგანი, მათსავით ცოდვილი არსება, ხორციელი ადამიანი, რომელიც გულწრფელად იზიარებდა მათ ჭირსა და ლხინს.

ამიტომაცაა მისი ქადაგებანი მოკლებული კატეგორიულ იმპერატიულ ტონსა და შიშველ, გამაღიზიანებელ ღიდაქტიკურობას. ღრმა მოკრძალება, გულწრფელი შემგონებლობა, გულითადობა, მოძმის გულში ღვთაებრივი რწმენის გაღვივების მძაფრი სურვილი — აი, ნაწილი იმ ნიშან-თვისებებისა, რომელნიც გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებს განსაკუთრებულ ღირსებებს სძენდნენ მსმენელებში.

მრევლის სიყვარულსა და პატივისცემას მქადაგებლისადმი დიდად განსაზღვრავდა რწმენა იმისა, რომ ორატორისათვის სხვა ცხოვრება, სხვა პრინციპები, არ არსებობდა, გარდა მის მიერ ნაქადაგეკი სიბრძნისა. იგი იმ ცხოვრებით ცხოვრობდა და იმ ზნეობრივი ნორმებით მოქმედებდა, რასაც სხვას შთააგონებდა. გაბრიელის პიროვნული ცხოვრება ამისი ნათელი დადასტურება იყო, სანიმუშო მაგალითი ადამიანის ღვაწლისმოსაობისა და კეთილშობილებისა. ამიტომაც ენდობოდა მას ხალხი, სწამდათ და სჯეროდათ მისი. საზოგადოებრივი საქმისათვის უანგარო თავდადება, მოყვასისათვის მუხლჩაუხრელი ზრუნვა და გარჯა, სძენდა მას იმ დიდ ავტორიტეტს, რითაც გაბრიელის სახელი იყო ხალხში გარემოსილი და ზნეობრივი სიწმინდის მაგალითად ქცეული.

გაბრიელ ეპისკოპოსი, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის განმკითხველი იყო, რადგანაც ღრმად სწამდა, რომ სხვათა განმკითხველ-დამმოძღვრელი უწინარესად თავისივე თავის განმკითხველი უნდა იყოს ხოლმე. ადამიანის ცოდვათაგან განწმენდისა და ზნეობრივი ამაღლების უპირველეს გზად იკი სწორედ ამას მიიჩნევდა და მაგალითად იობს ასახელებდა, იობს, რომელიც „ღრმად გაშინჯავდა და სიმართლით ასწონვიდა ყოველთა თვისთა საქმეთა... იგი ხშირად ფიქრობდა, თვისთა საქმეთა ზედა. ხშირად გაიკითხავდა თავის თავს“ (I, გვ. 77).

თუ იობი ამდაგვარად იქცეოდაო, — უმატებს შემდგომ იქვე. — იობი, რომელიც „ესოდენ იყო კეთილი და კაცთმოყვარე, რომელ თანამედროკენი მისნი იტყოდენ მას ზედა: იგი არის თვალი ბრმა-

თათვის, ფეხი დავრდომილთათვის, საზრდო და ნუგეში მშიერთათვის", მაშინ „ჩვენ უმეტესად გვმართებს გაშინჯვა და გაზომკვლევა ცხოვრებისა ჩვენისა". ამდაგვარი მსჯელობით ავტორი ცდილობდა ადამიანის სულში უფრო მეტად გაეღვივებინა ბოროტებისა და ადამიანურ მანკიერებათა საწინააღმდეგო განწყობილება, ამოეძირკვა „ფესვი ცოდვისა". მარტო მონანიებითა და ამა თუ იმ კონკრეტულ ბოროტებათა დაგმობით ადამიანის სული ვერ განიწმინდება ცოდვათაგან. საკუთარ მანკიერებათა თვითმხილებასა და მონანიებას ორი მიზანი უნდა ჰქონდეს. ერთი „წარსულისა შენისა ცხოვრებისა ცოდვანი და ბრალნი შეინანო და მიიღო ღვთისაგან შენდობა, მეორე კი უდიდესი ისა, რათა მომავლისა დროებისათვის შეიქმნა უმჯობესი, ესე იგი, აღარ სცოდავდე და არ გაამწარებდე ღმერთსა" (I, გვ. 78).

თავის პირველ სიტყვაში, რომელიც გ. ქიქოძემ იმერეთის ეპარქიაში ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ წარმოთქვა 1860 წლის 8 სექტემბერს გელათის მონასტერში, შან მრევლის ყურადღება მიაპყრო მასზე დაკისრებული მოვალეობის სიმძიმეს. „ვითარ შევსძლო მე უღირსმან და უძლურმან ტვირთვა ესოდენისა მძიმისა ტვირთისა", — განაცხადა მან. მაგრამ როგორც მთელმა მისმა ხანგრძლივმა მოღვაწეობამ დაადასტურა, გაბრიელ ეპისკოპოსმა სამაგალითოდ შეასრულა ეს სიპატიო მოვალეობა და მრავალ სასიკეთო საეკლესიო და საერო საქმეს უწინაშძღვრა წარმატებით.

ახლად ნაკურთხი ეპისკოპოსის პირველივე სიტყვაში ნათლად გამოჩნდა მისი მოკრძალებული და კაცთმოყვარე ადამიანური ბუნება. დრომ დაადასტურა, რომ მის ამ გამოსვლაში არავითარი პოზა და სიყალბე არ ყოფილა. მან საოცარი მოკრძალებითა და გულწრფელობით ჩამოაყალიბა ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის საკვალდებულო ის ძირითადი პრინციპები, რომელთაც, პირველ ყოვლისა, თავად თვითონვე ემსახურა ეთელი ცხოვრების მანძილზე უშეწყვეტლოდ და უბიწოდ. მას ღრმად სწამდა და სჯეროდა ის ჭეშმარიტება, რომ სხვისი შემფასებელი თვით უნდა იყოს ზნეობრივად სრულქმნილი პიროვნება. ამიტომაც ცდილობდა, მისი პირადი ცხოვრება უტყუარი სარკე ყოფილიყო იმისა, რასაც სხვებს უქადაგებდა. ამის მიღწევა კი უძნელესი საქმე იყო, რადგანაც ქვეყნად არავინ იპოვება, „რომელმან დაიცვა თავი თვისი უბიწოდ".

გაბრიელის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მყარად დაეფუძნა შეგნებას იმისას, რომ „ეპისკოპოსი, რომელი სხვათა ასწავებს სიწმიდესა და მოითხოვს, რათა ყოველნი უბრალოდ და უბიწოდ ატარებდენ თკისსა ცხოვრებასა, თვით პირველი უნდა აძლევდეს მათ სახესა კეთილად ცხოვრებისასა, არა თუ მხოლოდ სიტყვითა, არამედ საქმითაცა და ყოველითა ცხოვრებითა თვისითა“ (I, გვ. 2).

ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილების მისაღწევად და ცოდვათაგან განსაწმენდად გაბრიელი ცდილობს ხშირად დაგვაფიქროს ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებაზე. ამ მიზნით თავის ქადაგებებში ის მრავალგზის სვამს ხოლმე ისეთ კითხვებს, რომლებმაც უნდა გამოაფხიზლოს ცოდვის ბურუსში მთვლემარე და უფსკრულისაკენ დაქანებული პიროვნება. „როგორ განატარე წარსულ წელს ქრისტიანული შენი ცხოვრება — სიწმინდით და ჯრძალულებით, ანუ ღაფანტულად და უზრუნველად? მიუმატე შენ წარსულის წლის განმავლობაში რომელიმე მადლი და სიკეთე, ანუ უწმინდელთა ცოდვათა შენ დაუმატე ახალნი ცოდვანი? უმჯობესი შეიქმენი სულიერად, ანუ უარესი? მიუახლოვდი ღმერთსა, ანუ უმეტესად განეშორე მისგან? მოიშალე რომელიმე ცუდნი ჩვეულებანი, ბოროტნი მიდრეკილებანი, ანუ, სამწუხაროდ, იგინი უმეტესად განძლიერდენ შენს ბუნებაში?“ (I, გვ. 13), — აი, კითხვები, რომელთაც ხშირად სვამს ხოლმე გაბრიელი თავის ქადაგებებში და ამით ცდილობს ადამიანის სული დაიხსნას ცოდვის ტყვეობისაგან, აზიაროს იგი „ქრისტიანული ზნეობითი ცხოვრების“ მადლსა და სიკეთეს.

ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ პიროვნების სულში არ მოდუნდებოდა საკუთარ ცოდვათა თვითგანსჯის შინაგანი და სხვათაგან უხილავი უნარი. გაბრიელ ეპისკოპოსი დღენიადაგ შეაგონებდა მრევლს, რომ ადამიანს ორი ცხოვრება აქვს — ერთია შინაგანი, გარედან უხილავი, მეორე კი — გარეგანი, ხილული. „პირველსა შეადგენენ ყოველნი სულიერნი თვისებანი და მოქმედებანი კაცისანი, ესე იგი ჰაზრი, განზრახვა, სურვილი, მიდრეკილებანი, სიყვარული ანუ სიძულვილი, მხიარულება ანუ შწუხარება, ერთი სიტყვით, ყოველი, რასაც კაცი გრძნობს გულსა შინა თვისასა, ხოლო მეორე არის ყოველი ხილული მოქმედება კაცისა“ (I, გვ. 15—16). ადამიანი არ უნდა გაორდეს ამ ორი ცხოვ-

რებით, არ. უნდა გახდეს მსახური „ორთა უფალთა, ესე იგი სოფელსა და ღმერთს“ შორის, „რადგანაც ღმერთი არ მიიღებს ნახევარსა გულსა შენისასა“.

გაორებული ადამიანები კი, გაბრიელის აზრით, მრავალნი არიან ჩვენს შორის. იგი ცდილობს ნათლად დაანახოს მრევლს, რა იწვევს ამდაგვარ გაორებას, რაა მიზეზი ჩვენი ბიწიერებისა და ღმერთთან გაორგულებისა. ერთ-ერთ ასეთ ცოდვად მას ორპირობა და ფარისევლობა მიაჩნია. მისი აზრით, „ფარისევლობა არის ერთი უსაშინელესი და უმძიმესთა ცოდვათაგანი, რომელნი პბუდობენ გულსა შინა კაცისასა. იგი მით უმეტესად არის მძიმე და მავნებელ, რომელ თითქმის ძვირად მოიპოვება ქვეყანაზედ კაცი... არა მოზიარე ამ ცოდვისა“ (I, გვ. 29). მართალია, ბევრი ადამიანის ფარისევლობა გარეშე თვალისთვის დაფარულია, მაგრამ ღმერთს არაფერი დაემალება. იგი ყველაფერს ხედავს და წვდება. ამიტომაცო, — შეაგონებს მრევლს გაბრიელი, — ნუ ვითვალთმაქცებთ. ვიყოთ წრფელნი და გულახდილნი.

ფარისევლობის დიდ ცოდვას ორატორი იმაშიც ხედავს, რომ პირმოთნეობით, მლიქვნელობითა და ორპირობით ადამიანს ჭეშმარიტების გზას ვუხშობთ და მას გონების თვალს ვუბნელებთ. მოყვასისათვის ნათქვამი სიმართლე კი, თუგინდ იგი მწარეც იყოს, დაეხმარება მას ზნეობრივ გაკეთილშობილებასა და ცოდვათაგან განწმენდაში. ამიტომაც მიიჩნევს ორატორი ფარისევლობას ეზაკვრულ და სულის წამწყმედ ბიწიერებად.

გაბრიელ ეპისკოპოსი რეალისტური თვალთახედვით სჯიდა ცხოვრებისეულ მოვლენებს. ის, როგორც თეოლოგი და მოაზროვნე, კარგად იცნობდა ადამიანის ბუნებას, იცოდა, რომ ჩვენ, ყოველნი, „ნამეტნავად ვართ მიდრეკილნი მტრობისა და შურისძიებისადმი“ და რომ „მიზეზნი ჩვენის განხეთქილებისა და ურთიერთ-შორის უკმაყოფილებისა თითქმის ყოველთვის არიან ფრიად წვრილნი და მცირე-ფასიანი“.

ამ საყოველთაო ადამიანურ სისუსტეებს, მისი აზრით, ემატება ჩვენი ეროვნული ხასიათისთვის ბუნებრივად თანამდევი ისეთი თვისებებიც. როგორებიცაა გულფიცხობა და ურთიერთ შორის ჭიდილი. „საუბედურო, — წერს იგი, — თვით ხასიათითა ვართ ჩვენ გულ-ფიცხნი, ადვილად დავემდურებით და ხშირად უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ გადავემტერებით ერთი მეორესა“ (I, გვ.

63). განა სხვა ქვეყნებში კი არ არის ურთიერთ შორის ცილობა და განხეთქილებაო? — სვავს კითხვას ორატორი და თავადვე უპასუხებს: „სხვათა ქვეყანასა შინა მხოლოდ მას ცდილობენ, რომ სამართალმა უსამართლობას აჯობოს, ხოლო აქ ცდილობენ, რომ კაცმა კაცს აჯობოს; იქ ჰაზრი ჰაზრთან ჰბრძვის და საქმე საქმესთან, აქ კაცი — კაცთან, გვარი გვართან"...

ცხადია, ამ მსჯელობაში უთუოდ არის ერთგვარი გადაჭარბება და ცალმხრივობაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორი მართებულად გამოყოფს ჩვენი ეროვნული ხასიათის ზოგიერთ მანკიერ თავისებურებას და ვაჭაფრებით ცდილობს მათი უარყოფითი შედეგების წარმოჩენას, რათა ამით მრევლი გამოაფხიზლოს და უფრო მეტად განაწყოს ამ მანკიერებათა დასათრგუნად. — ბ. ქიქოძის თეოლოგიური მოძღვრება შორს დგას ასკეტობისკენ მოწოდებისგან. მას არასოდეს უქადაგებია მრევლისათვის ამქვეყნიური ცხოვრებისგან განდგომა, გაბრიელის მთელი მოღვაწეობა იქეთკენ იყო მიმართული, დახმარებოდა მოყვასს იმ გზის პოვნაში, რომელიც მას ერთმანეთთან შეათანხმებინებდა უზენაეს ღვთაებრივ რწმენასა და მიწიერ ცხოვრებას. ღმერთი, უფალი, მის ქადაგებებში გააზრებულია როგორც უმაღლესი ბედნიერება და მიზანსწრაფვა, რომელმაც „ერდა შთაბეჭდილნოს. ცხოველური და ეშმაკისეული ვნებების მონად არ ვიქცეთ. ცხოვრებისეულ ბიწიერებათა მორევში არ ჩავეფლოთ და ზნეობრივი სიწმინდე შევინარჩუნოთ.

ეს არ ნიშნავს ცხოვრებაზე უარის თქმას. პირიქით, გაბრიელს არაერთხელ ულიარებია ის ჭეშმარიტება, რომ ღმერთმა ქვეყანა ჩვენთვის, ადამიანებისთვის, შექმნა. „როგორ ვიცხოვრო ქვეყანაზე, მეტყვის ვინმე, თუ კი არაფერი ქვეყნიური არ მიყვარს და არაფერზე ვზრუნავ? — კითხულობს იგი და იქვე უპასუხებს: — არა, ძმაო, ღმერთმა არ აგვიკრძალა ზრუნვა და შეძენა ყოვლისა, რაიცა არს შენთვის სახმარი. ქვეყანა ღმერთმა შენთვის შექმნა" (I, გვ. 66). მაგრამ მთავარი ის არის, ქვეყნის ამაოებამ მეტისმეტად არ გაგიტაცოს და „გული არ დაუჭონო ვერცხლსა, ანუ პატივსა" და ამით სული არ წაიწყმიდო, რადგანაც „ყოველივე ამ სოფლის საუნჯე არის წარმავალი და მოღალატე". ამ „ცრუ საუნჯისადმი" თაყვანისცემა კი ადამიანს დააკარგვინებს ჭეშმარიტ ზეციურ საუნჯეს.

ცოდვათაგან განწმენდის გზად, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, გაბრიელი მორწმუნეს ლოცვასა და მონანიებას უსახავს. არ არსებობს ცოდვა, რომელიც უფალმა არ მოგიტევოს გულწრფელი მონანიების შედეგად. ლოცვა ეს არის ღმერთთან ზიარების გზა, სწრაფვა საკუთარი სულის თვითშეცნობისაკენ. გ. ქიქოძის სიტყვებსა და მოძღვრებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ლოცვის არსის განმარტება-დახასიათებას. თავისი ქადაგებებით ორატორი ცდილობდა მორწმუნეთათვის ნათელი გაეხადა ის მაგიური ძალა, რომელიც გულწრფელ ლოცვას ახლავს თან. ამ თვალსაზრისით იგი გამოყოფს რამდენიმე არსებით ნიშან-თვისებას, რითაც ჭეშმარიტი ლოცვა ხასიათდება ხოლმე.

პირველი ეს არის ადამიანის მიერ „თავის ცნობა, თავის სულიერის მდგომარეობის შეტყობა, როდესაც კაცი თვისითა ჰაზრითა და გონებითა მიბრუნდება თავის თავისკენ, გამოიკვლევს თავისის საკუთარს სულიერის ცხოვრების სახესა, შეიტყობს თავისსა შემცოდაობასა“ (I, გვ. 50). მეორე ნიშანი, რითაც ჭეშმარიტი ლოცვა ხასიათდება, ესაა „ღვთის ძებნა; იგი არის მოძრაობა და მისწრაფება კაცის სულისა ზეციურისა მიმართ მამისა. ჭეშმარიტს ლოცვაში კაცის სული თითქმის გამოვა ხორცთაგან და შევა ცათა შინა. მაშინ იგი ცხადათ ჰგრძნობს ღვთის სიახლოვეს და არათუ სიახლოვეს, არამედ მასთან ერთობასა“.

ჭეშმარიტმა ლოცვამ ადამიანი უნდა განაწყოს კეთილ საქმეთა საკეთებლად. მან უნდა გააღვიძოს კაცის გულში ყოველი კეთილი აზრი და განზრახვა. „ის ლოცვა არ არის ჭეშმარიტი ლოცვა, რომელიც არ გადაიქცევა კეთილ საქმედ“ — ესაა ლოცვისთვის დამახასიათებელი მესამე ნიშანი.

ორატორი ერთმანეთისაგან განარჩევს ჭეშმარიტ ლოცვასა და შოჩვენებითს. ადამიანი, რომელიც ეკლესიაში მიდის „დაფანტულითა ჰაზრითა“ და გული დამძიმებული აქვს „სოფლის ურვით“, მიზანს ვერ მიაღწევს და ღვთაებრივ საუნჯეს ვერ ეზიარება. იგი ლოცულობს არა სულით და გულით, არამედ „ენითა და ხელითა“. ამიტომაცაა, რომ ამდაგვარი ლოცვა ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს მის ადამიანურ ბუნებაზე, ვერ განწმენდს და ვერ აღამაღლებს მას.

ზნეობრივი ჰარმონიის მიღწევა და ღმერთთან მიახლება გულწრფელი ლოცვისა და მონანიების გარეშე შეუძლებელია. ამ ჭეშ-

მარიტებათა ქადაგებას გაბრიელ ეპისკოპოსის, როგორც ღვთის-მსახურის, სიტყვებსა და მოძღვრებებში ცენტრალური ადგილი აქვს დათმობილი.

გ. ქიქოძე არაერთგზის მიაქცევს ყურადღებას სიტყვისა და საქმის ერთიანობას და მოაგონებს მრევლს, რომ მარტო სიტყვიერი აღიარება ქრისტეს სჯულისა ვერავითარ სიკეთეს ვერ მოგვიტანს. ადამიანმა, რომელსაც სურს „სათნო-ეყოს უფალსა", ერთმანეთთან უნდა „შეაერთოს სიტყვა და საქმე". თუ კაცი მხოლოდ ენით აღიარებს უფალს, საქმით კი ეწინააღმდეგება მის მცნებებს, „არა თუ ქრისტიანე არ არის, არამედ არის მოღალატე ქრისტესი" (I, გვ. 80).

ამ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტების ხაზგასმას გაბრიელი იმიტომაც თვლიდა აუცილებლად, რომ, მისი აზრით, „საოცრად გამრავლდნენ კაცნი წინააღმდეგნი საღმრთოისა სჯულისანი". მათი მხილებით იგი ცდილობდა გამოეფხიზლებინა ცოდვამადლს შორის მოყოყმანე და გაორებული ადამიანი, დაეხსნა მისი სული ეშმაკის ტყვეობისაგან.

საზოგადოდ, გაბრიელის მშვიდ, დამრიგებლურ და შემწყნარებლურ თხრობის ტონს შიგადაშიგ სიმკაცრეც შეერევა ხოლმე, როცა საუბარი სჯულის მოღალატე ადამიანებს შეეხება. ორატორი მკაცრად ამხელს ღვთისაგან განდგომილებს და კატეგორიულად აცხადებს: „ესრეთსა გარემოებასა შინა ფრიად საჭირო და სასარგებლო არის, რომ წმიდამან ეკლესიამან აღიმაღლოს ხმა თვისი და ნათლად აღიაროს სწავლა ქრისტეს სჯულისა სანუგეშოდ ყოველთა ქრისტეს მოყვარეთა, ხოლო ყოველნი წინააღმდეგნი და განდრეკილნი ზარ-განხადოს საშინელთა ანათემითა" (I, გვ. 81).

ასე იქცევა, ჩვეულებრივ, ეს შემწყნარებელი, მოყვასის მოყვარული, შენდობისა და ცოდვათა მიმტევებლობის მქადაგებელი ღვთისმსახური ულმობელ კაცად, როცა საქმე ურწმუნოებასა და ღვთისგან „განდრეკილ" ადამიანთა მხილებაზე მიდგება. და ეს ხდება იმიტომ, რომ გაბრიელს ურწმუნო კაცთა „განმრავლება" ქვეყნისთვის თავსდატეხილ უდიდეს უბედურებად მიაჩნია. ამ თვალსაზრისით იგი ბრალს დებს თავის თავსაც და სხვა მოძღვართაც, რომელთაც ბოლომდე ვერ შეასრულეს უფლის ნება — „უმეტესითა ბეჯითობითა" ვერ განამტკიცეს საღმთო სჯული.

გ. ქიქოძის ეთიკური მოძღვრება დაფუძნებულია იმის რწმენაზე, რომ „ვისაც არა აქვს სარწმუნოება ცხოველი, მას არცა წმიდა ზნეობა ექნება“ (I, გვ. 82). გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, მთელი მისი საღვთისმსახურებლო მოღვაწეობა, ამ დებულების დასაბუთებაა. მას ღრმად სწამს, რომ წარმოუდგენელია „სარწმუნოება ანუ ღვთის სჯული არ ჰქონდეს კაცსა და ზნეობით, ანუ ყოფა-ქცევით კი იყოს წმიდა და სათნო“.

ამის დამადასტურებელ მაგალითებს ორატორი, პირველ ყოვლისა, ბიბლიურ წიგნებში პოულობს. სარწმუნოება არის ის ძალა, რომელიც ადამიანს ზნეობრივად სრულყოფს და ცოდვათაგან განწმენდს. მან თანმიმდევრული და შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ უკეთურობას. გაბრიელი კარგად იცნობდა ადამიანის შინაგან სამყაროს, იცოდა, რომ „ბუნება მისი არის ფრიად მიდრეკილი ცოდვისადმი“. ამიტომაცაა, რომ „ცოდვა ყოვლისა კაცისათვის უფრო ადვილია, ვიდრე სათნოება“, რომლის მიღწევა დიდ სულიერ ძალისხმევასთან და მსხვერპლშეწირვასთანაა დაკავშირებული.

გაბრიელი მრევლს განუმტკიცებდა რწმენას იმისას, რომ ღმერთი, სარწმუნოება, არის ამ ძალისხმევის მომნიჭებელი ძალა. იგია ის უხილავი საუნჯე, რომელიც მარადიულად თან ახლავს მორწმუნე ადამიანს და უხშობს მას ბოროტებისაკენ სავალ გზას. ის ერთმანეთს უპირისპირებს ღვთისმოსავი და ურწმუნო ადამიანების შეხედულებებს და ნათლად შეგვაგრძნობინებს ღვთაებრივი რწმენის მადლსა და სიკეთეს. „თუ მორწმუნე ვარ, — ქადაგებს ორატორი, — ჭკუა მეტყვის: ყოველი მოითმინე, სათნოება შეიძინე, აქაური ცხოვრება მოკლე არის, იქ ღმერთი მაგიერს მოგაგებს; თუ ურწმუნო ვარ, ჭკუა ასე მეტყვის: ამ წუთ სოფელში ვიდრემდის ხარ, ინუგეშე, სჭამე, სვი, მოკვდები და ყოველივე განქრება“ (I, გვ. 83—84).

ცხადია, ამ და მსგავს მსჯელობებში ორატორი საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებს ქადაგებდა ხოლმე, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში სხვა რამ იყო: თავისი შთამბეჭდავი ქადაგებებით გაბრიელი ცდილობდა, თავის მხრივ, ერთხელ კიდევ შეეხსენებინა ეს ჭეშმარიტებანი ხალხისთვის და სწორ გზაზე დაეყენებინა გაორებული და კვალარეული ადამიანი.

გაბრიელ ეპისკოპოსის თეოლოგიური მოძღვრება ხშირად მორჩილებასა და სოციალურ შემწყნარებლობას ქადაგებს. იგი, როგორც სასულიერო პირი, გმობს ყოველგვარ კლასობრივ პროტესტსა და წინააღმდეგობას, მოითხოვს, ადამიანი მორჩილად შეეკუოს ღვთისგან კუთვნილ უღელს და ამ მორჩილებით დაიმკვიდროს სასუფეველი.

მაგალითად, ერთ თავის სიტყვაში, უქადაგებს რა მორჩილებასა და ერთგულ სამსახურს შინამოსამსახურეებს და ყმებს, ეპისკოპოსი არწმუნებს მათ იმაში, რომ ბატონისადმი მსახურება იგივე ღვთისადმი სამსახურია. „უკეთუ იგი არის მართალი და ერთგული მებატონისა, უკეთუ მას უყვარს თავისი ბატონი, ცდილობს მისთვის, ითმენს მისგან სულ-გრძელად ყოველსა სიტყვასა და გაჭირვებასა, ემსახურება მას ღვთის წინაშე და თავის დავიწყებამდე, — სწორედ მან უარჰყო თავი თვისი, აიღო ჯვარი თვისი და შეუდგა უფალსა; გარნა, უკეთუ იგი არის ორგული და ურწმუნო, უკეთუ იგი, ვითარცა საუბედუროდ მრავალ-გზის ვხედავთ, მხოლოდ იმას ფიქრობს, რომ ბატონს გამორჩეს რამე და მხოლოდ თავისი თავი ახსოვს, მაშინ მსახურება მისი არ მიეთვლება მას ღვთისგან კეთილად, არამედ დაისჯება იგი“ (I, გვ. 96).

სოციალური მორჩილებისკენ ამდაგვარი მოწოდება კიდევ უფრო ღრმავდება გაბრიელის სხვა გამოსვლებში. იგი არაორაზროვნად ქადაგებდა იმას, რომ „შინაურმა მოსამსახურემ სრულიად უნდა მოჰკვეთოს საკუთარი თვისი ნება და სურვილი და აღასრულოს მხოლოდ ის, რასაც უბრძანებს მას ბატონი მისი; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოსძულდება მალე უფალსა მისსა“ (I, 98). მაგრამ გ. ქიქოძის ქადაგებებში გამოთქმული ამდაგვარი შეხედულებანი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ის ამართლებდა თავისი დროის საზოგადოებაში გაბატონებულ სოციალურ უსამართლობას და მისი განმტკიცებისათვის იბრძოდა. რა თქმა უნდა, არა. მის სიტყვებსა და მოძღვრებებში დიდი ადგილი ეთმობა მებატონეთა უზნეობისა და უსამართლო მოქმედების მკაცრ კრიტიკასაც.

საზოგადოდ, იგი დემოკრატიული იდეების მქადაგებელი მოძღვარია, რომელიც ყოველნაირად ცდილობს წოდებათა შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებას კეთილმოსურნეობისა და განმანათლებლობის გზით. გაბრიელს მიაჩნია, რომ „არცა ერთი წოდება, ანუ მდგომარეობა კაცისა ქვეყანასა ზედა არ არის შე-

ურაცხებელი ანუ დამამდაბლებელი კაცისა", „ღმერთი მიხედავს შინაგანსა ღირსებასა კაცისასა და არა გარეგანსა მდგომარეობასა მისსა" და ყოველი წოდების კაცს „შეუძლია დაიცვას კაცობრივი თვისი ღირსება".

ამ თვალსაზრისით, იგი თავისებური გამგრძელებელია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ჩვენი პროგრესული ინტელიგენციის დემოკრატიული იდეებისა. თუმცა, სავსებით ბუნებრივად, მისი, როგორც სასულიერო მოღვაწის, მოძღვრებაში სოციალური შეხედულებების გამოხატვას არ შეუძენია ის სიმძაფრე და ფართო მასშტაბები, რითაც ქართველ „საშოციანელთა" მოღვაწეობა ხასიათდება.

როგორც ითქვა, გაბრიელისთვის ყოველგვარი ცხოვრებისეული წინააღმდეგობის დაძლევა მხოლოდ და მხოლოდ უფლის მცნებათა აღსრულებითა და განმანათლებლობითაა შესაძლებელი. იგი ცდილობს წოდებათა შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებას ურთიერთგაგებისა და სიყვარულის გზით.

საზოგადოების წოდებებად დიფერენცირება, მისი აზრით, არავითარ საფუძველს არ უნდა იძლეოდეს ადამიანის პიროვნული ღირსებების დასამცირებლად. გაბრიელს ღრმად სწამდა, რომ „ხშირად ძონძით მოსილს, მშიერს, გასვრილს და ყოვლითავე სახითა მოკლებულს კაცსა უმეტესი შინაგანი ღირსება და სათნოება აქვს ღვთის წინაშე, ვიდრე იმ კაცს, რომელიცა არის მოსილი ოქრომკედით, შემკული თვალმარგალიტითა. მაშასადამე, ნუ გაზომავ შენცა კაცის ღირსებასა შესამოსელითა, არამედ შინაგანითა მისითა თვისებითა" (I, გვ. 307).

ბატონსა და ყმას შორის კეთილგანწყობითი დამოკიდებულების ტრადიცია, ეპისკოპოსის აზრით, საქართველოში საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, წინაპართაგან გადმოცემული ეს კარგი „ჩვეულება" არ მოისპოსო, — ამბობდა იგი. „ყმები და ბატონები არასოდეს არ იყვნენ დაშორებული ურთიერთს, არამედ იყვნენ დაახლოვებულნი, მეზობლურად განწყობილნი. ჭირში და ლხინში მათ მარადის ქონდათ ერთმანეთის მონაწილეობა და ხელის მიცემა. ეს კარგი ჩვეულება არ უნდა მოისპოს, ძმანო, არამედ დარჩეს მარადის ჩვენში" (I, გვ. 507). ეს „ჩვეულება", გაბრიელის აზრით, არ უნდა მოშალოს იმ დიდმა სოციალურმა ცვლილებამ (იგულისხმება

ბატონყმობის რეფორმა), რომელიც ხელმწიფის ბრძანებით განხორციელდა. იგი შეაგონებს ყმებს, რომ ეს რეფორმა, პირველ ყოვლისა, სწორედ მებატონეთა თანხმობით მოხდაო. მაგრამ იქვე ბატონებსაც მოაგონებდა, ყმები „მამაპაპაობით რომ არიან ნამსახურნი“ მათზე და კეთილი განწყობა არ მოეკლოთ მათთვის.

სოციალურ წინააღმდეგობათა დაძლევის გზად, როგორც ითქვა, გ. ქიქოძე ქრისტიანულ მორჩილებასა და შეწყნარებლობას სახავს. იგი კატეგორიულად გმობს ყოველგვარ კლასობრივ წინააღმდეგობასა და ძალადობას. გაბრიელის სოციალურ შეხედულებათა დასახასიათებლად მეტად საინტერესოა ერთი სიტყვა, რომელშიც სახარებიდან მოხმობილია იგავი მდიდარ კაცსა და ღარიბ ლაზარეზე.

განცხრომასა და მხიარულებაში ატარებდა მდიდარი წუთისოფელს, გლახაკი ლაზარე კი მარადღე მშიერი, მწყურვალი და დაწყლულებული იყო. მაგრამ სიკვდილის შემდეგ სწორედ ის ცხონდა და ნეტარ იქმნა, ხოლო მდიდარი „შთავარდა ჯოჯოხეთსა შინა“. „რისთვის თქვა, ძმანო, მაცხოვარმან იგავი ესე?“ — სვამს იქვე კითხვას გაბრიელი და თავადვე ხსნის ამ იგავის არსს. მისი განმარტებით, ლაზარეს ცხოვრების მაგალითი წარმოადგენს ნუგეშს „ყოველთა ღარიბთა, საწყალთა და უბედურთა კაცთათვის“, ასწავლის მათ მხნეობასა და სულგრძელობას. ამით ისინი, ლაზარეს მსგავსად, შეიძენენ საუკუნო ნეტარებას. „მეორე მხრით. — აგრძელებს ორატორი, — ყოველთა მდიდართა და ნუგეშინისცემულთა ქვეყანასა ზედა უფალი იგავითა ამით წინადვე გვაფრთხილებს, რათა სიმდიდრე თვისი არ მოიხმაროს, ვითარცა მდიდარმან კაცმან, ერთისა მხოლოდ ხორციელისა ფუფუნებისათვის და ესრედ არ წარწყმიდონ საუკუნოდ სული თვისი“ (I, გვ. 352).

ამ მსჯელობიდან ნათლად ვლინდება ავტორის პოზიცია. ერთის მხრივ, იგი ღარიბსა და უპოვარს მოუწოდებს მორჩილად ატაროს ცხოვრების უღელი, აიტანოს ყოველგვარი ამქვეყნიური ჩაგვრა-შევიწროება სასუფევლის მოპოვების იმედით. სწორედ ეს მიზანსწრაფვა უნდა განაპირობებდეს მის მოთმინებასა და მორჩილებას. მეორეს მხრივ კი გაბრიელი წამდაუწუმ შეახსენებს მდიდარს, სიმდიდრემ არ გააფუქსავატოს, ხორციელ ფუფუნებას არ გადაყვეს და ამით სული არ წაიწყმიდოს. ეს, სამწუხაროდ,

ბევრჯერ ხდება ხოლმე, რადგანაც „მდიდართა კაცთა სიმდიდრე თვისი ხშირად გარდაექცევათ საფრთხედ და განსაცდელად“.

გაბრიელს ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდა ამქვეყნად, „სოფლიურ ცხოვრებაში“, ორი ხარისხის არსებობა — მდიდრისა და ღარიბისა. ეს „ადამის ძეთა“ ცხოვრებისთვის საზოგადოდ დამახასიათებელი ჩვეულებრივი ამბავია. ამიტომაც იგი არ ებრძვის საზოგადოების ამგვარ დაყოფას, არ ქადაგებს კლასობრივ და სოციალურ თანასწორობას. მთავარი მისთვის იმაზე ზრუნვაა, რომ საზოგადოების ამ ორ „ხარისხს“ შორის კეთილგანწყობითი და ჰარმონიული დამოკიდებულება სუფევდეს.

ეს კი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ, ერთის მხრივ, ღარიბი და უმა ერთგული იქნებიან თავიანთ ბატონისა, ხოლო მდიდარი მებატონე, მეორეს მხრივ, გულმოწყალებას არ მოაკლებს თავის ხელქვეითებს. ცხოვრებით გალაღებულმა მდიდარმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ „ოდეს იგი ყელამდე არის მაძღარი და შთაფლული ფუფუნებასა შინა, იქნება იმავე ჟამს მრავალი კვდება სიმშილითა და წყურვილითა“.

თავის მხრივ, გ. ქიქოძე წამდაუწუმ აერწმუნებს ღარიბსა და გლახაკს, რომ მისი ჭირი და უბედურება დროებითი, ამქვეყნიური ამბავია, რომელიც „მალე გამოიცვლება“. ეს მალე საიქიოა, მოთმინების წილ მოპოვებული და დამკვიდრებული სასუფეველია. ამის გამო გლახაკმა არათუ უნდა მხოლოდ მოითმინოს გასაჭირი, არამედ უფრო მეტიც, მას არ უნდა ქონდეს „შური და სიძულვილი მდიდრისა და ბედნიერის კაცისა“. გაბრიელს დიდ მკრეხელობად და ღვთის წინაშე ჩადენილ მძიმე ცოდვად მიაჩნია ქვეყნად დაწესებული სოციალური უსამართლობის გამო უფლის სამართლიანობის გმობა და განსჯა, რადგანაც ადამიანმა ყოველი კითხვის პასუხი, პირველ ყოვლისა, სახარებაში უნდა ჰპოვოს, სახარებაში, რომელიც „კარგად ახსნის შენსა ცხოვრებასა“ და დავარწმუნებს იმაში, რომ „იქნება ნაცვლად ტირილისა შენ მადლობაც შესწიროს ღმერთსა, რომ ცხოვრება შენი არს ესრეთი და არა ჰსგავს მდიდრისა მის; თვით ამ სიგლახაკითა და უბედურებითა შენითა შენ უადვილესად შეგიძლია მიაღწიო დიდსა მას ბოლოსა, რომელი დაუნაშნა ღმერთმა ყოველსა ადამიანსა“ (I, გვ. 354).

მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გაბრიელი ქვეყნად გამეფებული სოციალური ბოროტების დაკანონებას ქადაგებდეს.

რა თქმა უნდა, არა. მთელი მისი მოღვაწეობა ამ ბოროტების დაგმობითა და მისი დაძლევის სულისკვეთებითაა შთაგონებული. ოღონდ, როგორც ითქვა, მისი ამოძირკვის გზად იგი ძალადობასა და ბრძოლას კი არ სახავს, არამედ ქრისტიანულ სიყვარულს, შემწყნარებლობასა და განმანათლებლობას.

ეს კარგად ჩანს იმ ქადაგებებში, რომლებშიც ორატორი ბატონებს მოუწოდებდა ყმებისადმი სიყვარულსა და სიბრალულს. „უკეთუ მებატონესა მას არ ებრალება ყმანი თვისნი, — ამბობდა იგი ერთგან, — არ უვლის კარგად, არ აჭმევს და არ აცმევს საკმაოდ; ერთი სიტყვით არ მიაჩნია იგინი, ვითარცა უმცროსნი ძმანი, ბრძანებისა-მებრ სახარებისა, არამედ უყურებს მათ, ვითარცა რომელსამე საქონელსა ანუ ნივთსა, უსამართლოდ ეპყრობა მათ, ცდილობს, რომ მხოლოდ მიიღოს მათგან რაც შეუძლიან უმეტესი სარგებლობა,... სარწმუნოება მისი არ არის ცხოველი, არამედ მკვდარი, თუმცაღა იგი არა-ოდეს არ მოაკლდებოდეს წირვა-ლოცვასა, მტკიცედ იმარხვიდეს ყოველსა წესსა ეკკლესიისასა“ (I, გვ. 422).

ასეთია გ. ქიქოძის სოციალური მსოფლმხედველობის რელიგიურ-ჰუმანისტური არსი, რომელიც მის მრავალ ქადაგებაშია ჩამოყალიბებული. ცხოვრებისეულ უსამართლობებზე დაფიქრებული მღვდელმთავარი წამდაუწუმ შეაგონებდა ადამიანებს, რომ თუ კაცი „ჭამისა, სმისა და ლხინის მეტს ეარაფერს აკეთებს ქვეყანასა ზედა, იგი ცხადად დაემსგავსება პირუტყუთა. ადამიანს კი მისთვის მისცა ღმერთმა უმაღლესი ბუნება, რათა იგი ეძიებდეს უმაღლესსაცა სახესა ცხოვრებისასა“ (I, გვ. 353).

ამ მსჯელობაში ნათლად ირეკლება მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დემოკრატიული სოციალური იდეების ზეკავლენის კვალი.

ხაზგასმით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გ. ქიქოძის სოციალური იდეების პროგრესულობასა და მნიშვნელობას დიდად ზრდიდა მღვდელმთავრის პრაქტიკული მოღვაწეობაც. იგი არა მარტო სიტყვიერად ქადაგებდა ღარიბთა და შეჭირვებულთა შეწყალებას, არამედ თავად იყო მათი უპირველესი შემწე და მწყალობელი. მისი ცხოვრებიდან ამის დამადასტურებელი მრავალი კონკრეტული მაგალითის მოტანა შეიძლება. გაბრიელის შემწეო-

ბითა და აქტიური მატერიალური მზრუნველობით მრავალ გაჭირვებულსა და დავრდომილს გასჩენია ცხოვრების სახსარი.

იგი ყოველთვის ხელგაშლილი მწყალობელი იყო უპოვართა და სნეულთა. მისი ზრუნვით ბევრმა გაჭირვებულმა მიიღო გასათლება. ერთი სიტყვით, არ დარჩენილა უანგარო ქველმოქმედების რაიმე ფორმა, რომელიც ფართოდ არ გამოეყენებინოს გ. ქიქოძეს თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს და ამით კეთილშობილების სანიმუშო მაგალითი არ მიეცა თანამედროვეთათვის. ასეთი იყო იგი, მოსარჩლე და ქომაგი ყოველთა შეჭირვებულთა და მდაბიოთა, რომელსაც სჯეროდა, რომ „ქვეყანაზედ არ არის ისეთი მუშაობა, რომელი კაცს აძლევდეს სარგებლობას, გარნა შემაგინებელი კი იყოს მისის ღირსებისა“ (I, გვ. 181). გაბრიელს თავადაც ღრმად სწამდა და მრევლსაც განუმტკიცებდა იმ აზრს, რომ არანაირი სამუშაო, თვით ყველაზე „მდაბიო მუშაობაც“ კი, სირცხვილი არაა. შრომა პიროვნების ამამაღლებელი და გამაკეთილშობილებელი ძალაა, უშრომელობა კი ადამიანს ამცონარებს და პირუტყვად აქცევს.

შრომის კეთილშობილების დასამტკიცებლად მას თავის ქადაგებებში მრავალი ეპიზოდი მოიქვს საღმრთო წერილიდან. მაგალითად: ყოველი ღირსებით შემკობილი პავლე მოციქული, — გვაუწყებს ორატორი ერთ თავის სიტყვაში, — როგორც კი თავისუფალ დროს იშოვიდა, მაშინვე დაჯდებოდა და დაიწყებდა მუშაობას. „იგი თავისი ხელით ჰკერვიდა კარვებს, ჰყიდდა და ამით იზრდებოდა, რათა არავინ დაეშძიმებინა“. ასე მსჯელობს იგი შრომის აუცილებლობაზე და მრევლს ერთხელ კიდევ შეაგონებს იმ ჭეშმარიტებას, რომ — „უქმად დროების განტარება არს დედა ყოვლისა ცოდვისა“ (I, გვ. 182).

გაბრიელ ეპისკოპოსს ბედნიერად მიაჩნია ის ქვეყანა, სადაც ყოველი მცხოვრები, „დიდნი და მცირენი, არიან შრომის მოყვარენი“, ხოლო „საწყალი და საბრალოა ის ქვეყანა, სადაც უმრავლესნი პირნი შეჩერებიან და უმზერენ მთავრობასა და ყოველი იმედი ბედნიერებისა და წარმატებისა დაუდვიათ ჩინებზე, ჯამაგირზე, ჯილდოზე, ხოლო შრომასა და მუშაობასა შეურაცხ-ჰყოფენ და უკადრისობენ“ (I, გვ. 186).

მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე გაბიელ ეპისკოპოსი ცდილობდა მრევლისათვის ღრმად შთაენერგა და განემტკიცები-

ნა რწმენა იმისა, რომ მხოლოდ სარწმუნოება არის ის ძალა, რომელიც საზოგადოებიდან ამოძირკვავს ყოველგვარ ბოროტებას და მის ნაცვლად სიყვარულსა და ერთობას დაამკვიდრებს. „პირველი და ნამდვილი ნაყოფი ცხოველისა სარწმუნოებისა არს სიყვარული და ერთობა“, — ქადაგებდა იგი და ამ გზით ცდილობდა ადამიანებს შორის თანასწორობისა და სამართლიანობის განმტკიცებას.

დასაგმობი და უარსაყოფი კი ბევრი რამ იყო. მღვდელმთავარი ნათლად ხედავდა, რომ მის ირგვლივ მყოფთა შორის მრავალნი იყვნენ „საწყალნი და ღარიბნი, მოკლებულნი... საჴმლითა და სასმლითა“ (I, 434). თავის ქადაგებებში გაბრიელი არ კმაყოფილდებოდა სოციალური უსამართლობის მხოლოდ ზოგადი დაგმობით და კონკრეტული მაგალითების მოტანით ცდილობდა ხალხისთვის ეჩვენებინა ამ ბოროტების მძიმე შედეგები. ასე უხატავდა იგი მრევლს დავრდომილთა და შეჭირვებულთა ცხოვრების მძიმე სურათებს და დასძენდა: „მეტს არაფერს გეტყვი, ძმაო! ვსაჴსოებ, რომ შენ გიყვარს ქრისტე ღმერთი: ახლა შეიტყობს ქრისტე, რა ზომად გიყვარს შენ იგი“.

გ. ქიქოძის ქადაგებებში იშვიათად ვლინდება ხელისუფლების კრიტიკა. მართალია, მას ბევრი რამ არ მოსწონდა მმართველობის ამაშინდელი სისტემისა, მაგრამ, როგორც ღვთისმოსავი, თავის მოვალეობად თვლიდა არა ამ უვარგისი მმართველობითი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ ქრისტიანული ქადაგებისა და გაბნათლების გზით აღდგომოდა წინ ყოველგვარ უსამართლობას და ამგვარად ეზრუნა სიკეთის თესლის გაღვივებისთვის. იგი ენერგიულად უპერდა მხარს ყოველ წამოწყებას, რომელიც, მისი აზრით, სასიკეთო შედეგებს მოუტანდა საზოგადოებას.

ავიღოთ, მაგალითად, სასამართლო. ერთ თავის სიტყვაში ორატორი იწონებს მთავრობის მიერ გატარებულ სასამართლოს რეფორმას (იგულისხმება 1864 წლის რეფორმა), რომელსაც, მისი აზრით, სასიკეთო შედეგები უნდა მოჰყოლოდა ქვეყანაში სამართლიანობის განსამტკიცებლად. „კეთილმან და დიდსულოვანმან ხელმწიფემან ჩვენმან“, — ამბობს გაბრიელი, — ამ რეფორმის მეშვეობით „შეავსო“ და „გააუმჯობესა“ ნაკლულოვნებანი მართლმსაჯულებისა. იგი ერთმანეთს უდარებს ძველ და ახალ სასამართლოს და ძველის ნაკლად იმას მიიჩნევს, რომ იგი „სრულდებო-

და ფარულად ანუ საიდუმლოდ, ოთხ კედელშუა... ახალი წესი, წინააღმდეგ ამისა, პირველად უნდა აღსრულდეს განცხადებულად, ანუ სახალხოდ" (I, გვ. 445).

დღესდღეობით ყოველი ჩვენთაგანისათვის ნათელია, რამდენად სასარგებლო გამოდგა ხალხისთვის ხელმწიფის მიერ გატარებული ეს და მსგავსი სასამართლო რეფორმები; გაბრიელის მოლოდინს, თითქოს განახლებულ სასამართლოში სიკეთე იზეიმებდა და საბოლოოდ დაითრგუნებოდა უსამართლობა, საერთოდ არ ეწერა აღსრულება. მით უფრო უტოპიური ჩანდა ეს ოცნება საქართველოში, სადაც ხელისუფლების ყოველი მმართველობითი ორგანოდან მთლიანად იყო გაძევებული მშობლიური ენა და ნებაზე მიშვებული ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური აპარატის მოხელეები ათასგვარ უმსგავსობას ჩადიოდნენ. ამის დამადასტურებელი მაგალითები ძრავლად შეიძლება მოვიტანოთ იმდროინდელი ჩვენი პრესიდანაც და მხატვრულ-მეცნიერული ლიტერატურიდანაც.

ეს ფაქტი დასტურდება გ. ქიქოძის ქადაგებებიდანაც. გაბრიელი მალე დარწმუნდა იმაში, რომ ხელისუფლების მიერ გატარებულ რეფორმას არავითარი სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია. საუბედუროდ, უნდა ვსთქვათ. — აღნიშნავდა იგი ამასთან დაკავშირებით ერთ თავის სიტყვაში, — რომ „მართლ-მსაჯულება ეხლაც არ სრულდება ისე კარგად, როგორც ჩვენ ველოდითო" (II, გვ. 244). ორატორი ცდილობს ამისი მიზეზების დადგენას. ერთ-ერთი მათგანი, მისი აზრით, ისაა, რომ ქვეყანაში მრავალნი გაჩნდნენ ისეთი მოხელენი, რომლებმაც „გააძნელეს და დააბრკოლეს მართლმსაჯულების აღსრულება". ესენი არიან ადვოკატები, რომელნიც, „ოღონდ ფული იშოვნონ" და სხვაზე არაფერზე სწუხან. გაბრიელი მათ „ცრუ ადვოკატებს" უწოდებს. ამას ემატება ისიც, რომ სიმართლის დადგენას ხელს უშლიან „ცრუ მოწმეებიც". ყოველივე ამით შეწუხებული და გულნატკენი მღვდელმთავარი სასოწარკვეთილი ხმით დაასკვნის: „დაეცა ზნეობა! წახდა ქვეყანა! გამრავლდა ცრუ მოწმობა, ფიცის ტეხა! გათამამდნენ ქურდნი და ავაზაკნი!"

ქვეყნად გამეფებული უწესრიგობისა და უსამართლობის აღკვეთის საქმეში, სარწმუნოებასთან და განათლებასთან ერთად, გაბრიელ ეპისკოპოსი დიდ როლს აკისრებს ხელმწიფისადმი ერ-

ბგულებას. საერთოდ, მის ქადაგებებში იკვეთება ხოლმე რწმენა ე. წ. კეთილი ხელმწიფისა, როგორც ხალხის ბედზე მზრუნველი მამისა და პატრონისა. ამიტომაც, ყოველგვარი წინააღმდეგობა და დაპირისპირება მეფესთან მას მკრეხელობად მიაჩნდა და იგი მრევლს მისდამი მორჩილებასა და ერთგულებას უქადაგებდა.

ამ საკითხებზე განსაკუთრებით ამახვილებდა ხოლმე ის ყურადღებას მოსწავლეებთან შეხვედრებზე. მაგალითად, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებთან შეხვედრის დროს, 1874 წელს, წარმოთქმულ სიტყვაში მღვდელმთავარმა მთავრობისა და ხელმწიფის მოღალატე კაცებს ღვთის სჯულის მგმობელნი უწოდა. იგი წუხს იმის გამო, რომ ასეთი ბოროტი და ეშმაკეული კაცები ბოლო დროს მომრავლდნენ ქვეყანაში. ისინი გონებას ურევენ ადამიანებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, შთააგონებენ უკეთურ აზრებს. გაბრიელი გმობს მათ და მოუწოდებს მოსწავლეებს ხელმწიფისადმი ერთგულებას. „თვით ჩვენი საღმრთო სჯული გვასწავლის ხელმწიფის ერთგულებას და მორჩილებასო“, — ხაზგასმით აღნიშნა მღვდელმთავარმა თავის სიტყვაში და ერთხელ კიდევ შეახსენა სემინარიელებს, რომ მათი უმთავრესი საქმე სასწავლებელში ყოფნის პერიოდში მხოლოდ და მხოლოდ სწავლა უნდა ყოფილიყო.

საგანგებოდ გამოეხმაურა გ. ქიქოძე იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობის ფაქტს 1881 წლის 25 მარტს ქუთაისის მონასტერში წარმოთქმული სიტყვით. მან, როგორც მღვდელმთავარმა, აღშფოთებულმა დაგმო ხელმწიფის მკვლელობა.

ამ ტერორისტული მკვლელობის ფაქტს ბევრმა იმდროინდელმა მამულიშვილმა ქვეყნის უკეთესი მომავლის მოლოდინი დაუკავშირა. ეს საოცნებო მოლოდინი შესანიშნავად გამოხატა აკაკი წერეთელმა თავის შემოქმედებაში. გავიხსენოთ მისი საქვეყნოდ ცნობილი ლექსები „გაზაფხული“ და „ხანჯალს“ რომლებიც სწორედ იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობის ფაქტმა შთააგონა პოეტს.. როგორ დიამეტრალურად განსხვავდებიან ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან აკაკისა და გაბრიელის შეხედულებანი!

თუ აკაკისათვის იმპერატორის სიკვდილი, ალეგორიულად, გაზაფხულის მოახლოების მაჩვენებელი მოვლენა იყო, გაბრიელი

თვლიდა, რომ ხელმწიფის მკვლელები რუსეთის მტრები და დამღუპველნი იყვნენ, „გამხეცებულნი კაცნი“. მან არამარტო რელიგიური თვალსაზრისით შეაჩვენა ეს მკვლელობა, არამედ პოლიტიკურადაც დაგმო იგი. იმპერატორის ბარბაროსული მკვლელობის ორგანიზატორად გაბრიელი იმ „ახირებულ და გარდარეულ“ პარტიას მიიჩნევს, რომელიც დიდი ხანია გაჩნდა ევროპაში. „ამ პარტიამ, — ამბობს ის, — მცირე რამ საქმე არ მოინდომა, მან მოინდომა მთელი ქვეყნის მოწყობილობის, ჩვეულების, სჯულის, ყოფა-ქცევის გამოცვლა, გადაბრუნება“ (II, გვ. 317).

ზემოთაც ითქვა და კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ამდაგვარი პოლიტიკური შეფასებანი, მღვდელმთავრის ასეთი მკვეთრი დაპირისპირებულობა ყოველგვარი ძალადობისადმი და კლასობრივი წინააღმდეგობებისადმი, მისი რეაქციული სოციალური შეხედულებების შედეგი კი არ იყო, არამედ იმისა, რომ იგი, როგორც სასულიერო პირი, სარწმუნოებისა და სიყვარულის გზით ცდილობდა ცხოვრებისეულ უსამართლობათა დაძლევასა და მოწესრიგებას. მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო ამ წინააღმდეგობათა დათრგუნვა ბრძოლებითა და ძალადობით.

იგი ქადაგებს, რომ ყოველგვარი უსამართლობა სარწმუნოების, ურთიერთსიყვარულის, განმანათლებლობის, მეშვეობით უნდა იქნეს დაძლეული. ამიტომაც მისთვის პრინციპულადაა მიუღებელი ქრისტიანული ზნეობის ამ ფუძემდებლური დებულებიდან ყოველნაირი გადახვევა.

ამითაცაა განპირობებული გ. ქიქოძის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება იმ რევოლუციური მოძრაობისადმი, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან რომ იწყებდა ჩვენში აღზევებას. ეს პოზიცია სათლად ვლინდება იმ შეფასებებში, რომელთაც გაბრიელი აძლევს ამ მოძრაობის მიმდევართა მოთხოვნებს.

და რას მოითხოვდნენ ამ „გარდარეული პარტიის“ წარმომადგენელნი? „თავდაპირველად მათ დაიწყეს სწავლა და შეგონება ყოველთა, რომ ქვეყანა ცუდად არის დაწყობილი, ზოგი მდიდარია, ზოგი ღარიბი, ზოგს ბევრი ქონება აქვს, ფული, მიწა-წყალი, ზოგს არაფერი, ასე არ ვარგაო, თავის საკუთრება არავის არაფერი უნდა ჰქონდესო, ყოველიფერი საზოგადო უნდა იყოსო“.

ასე მოინდომა ამ პარტიამ „ყოველიფერი ახლანდელი მოწყობილობის მოსპობა“ და მისი წევრები მალე სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. ასე მიიღო „ამ უკანასკნელს წლებში იმ პარტიამ ავაზაკური მიმართულება, გარდაიქცა კაცის მკვლელად, ავაზაკად და ისეთ ავაზაკად, რომელთა მსგავსი არ ყოფილა ჯერედ ქვეყანაზედ“ (იქვე).

საერთოდ, გაბრიელი, როგორც ითქვა, ყოველთვის განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს ყოველგვარი პოლიტიკური რადიკალიზმისადმი. როგორც მღვდელმსახური, იგი სასტიკი წინააღმდეგია ყოველნაირი ძალადობისა და წინააღმდეგობათა შემთანხმებლური, განმანათლებური, ქრისტიანული სიყვარულით გადაწყვეტის გზებს უპერს მხოლოდ მხარს.

ამიტომაც არაა მოულოდნელი ის შკვეთრად უარყოფითი პოზიცია, რომელსაც იგი ამჟღავნებს მისი მღვდელმთავრობის პერიოდში გამოვლენილი პოლიტიკური მოძრაობისადმი. ამ მოძრაობის მიმდევართ ის ცრუ წინასწარმეტყველებს უწოდებს, რომლებიც „მოდიან სამოსლითა ცხოვართა, ხოლო შინაგან ეგენი შეაგონებენ, რომ ეთ ჰსურსთ თქვენი წარმატება. სიკეთე და ბედნიერება; ტყბილად გელაპარაკებიან. მაგრამ შინაგან არიან მგელ-მტაცებელი. იმათ ჰსურსთ, რომ მოგტაცონ შენ ის, რაც არის უძვირფასესი კაცისათვის: მოგტაცონ და წაგართვან შენ ღმერთი და სჯული და ჩააბარონ ეშმაკსა და ჯოჯოხეთსა“ (II, გვ. 359). ბრძოლისა და ქვეყნის გარდაქმნის მათეული პროგრამა გ. ქიქოძეს დამღუპველად მიაჩნია: „ის ზომა და საშუალება, რომელსაც იგინი აცხადებენ, შეიქმნება დაღუპვა ქვეყნისაო“, — ხაზგასმით აცხადებდა იგი.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ასეთ საკითხებზე მღვდელმთავარი უფრო ხშირად მოსწავლე-ახალგაზრდობასთან საუბრობდა, რადგანაც, პირველ ყოვლისა, სწორედ მასში ხედავდა ამ საფრთხეს. ეს ის წლებია, როცა ახალი თაობა ძველი თაობის ბევრი წარმომადგენლის მიერ მეტისმეტად ურჩ, სარწმუნოებისადმი გაორგულებულ, კადნიერ თაობად იყო მიჩნეული.

გაბრიელი, როგორც განმანათლებელი, ერთგვარი შიშითა და სკეპტიციზმითაც უცქეროდა იმ მოძრაობას, რომელიც ძველის დანგრევას მოითხოვდა. ამ მოძრაობაში იგი ხედავდა ღვთის გმობას. „ღმერთი, ეკლესია და სალმთო სჯული მათ არ სწამ-

თო“, — შეშფოთებული ამბობდა და საჯაროდ გმობდა მათ მოთხოვნებს. „უმცროს-უფროსობა არ უნდა იყოს ქვეყანაზე, არამედ სუყველანი უნდა გასწორდნენ პატივითაც, ქონებითაცო“ (II, გვ. 360). თანასწორობისაკენ ასეთი მოწოდება გაბრიელ ეპისკოპოსს ღვთის საწინააღმდეგო მოთხოვნად მიაჩნია, რადგანაც უთანასწორობა ბუნებაშიც და საზოგადოებაშიც თავად ღმერთის მიერაა დაწესებული. და რომც მოხდეს ასე, მდიდარმა და მშრომელმა კაცმა თავისი ნაოფლარი სხვას რომ თანაბრად გაუყოს, „გამოვა ის, რომ პირველი წახდება და გაღარიბდება და მეორეც არ გამდიდრდება“.

განსაკუთრებით აშფოთებს მას ის ამბავი, რომ ამგვარი თანასწორობის დამყარებას ახალი მოძრაობის შიმდევარნი სისხლითა და მახვილით აპირებენ. „ვინც თანახმა არ გახდება ამ ჩვენი პლანისა და წყობილობისაო, იმათ უნდა სისხლი გამოუშვათ, ამოვწყვიტოთო და მასუკან კაცობრივი ნათესავი გაბედნიერდებაო, — შეწუხებული ამცნობს მრევლს „ცრუ წინასწარმეტყველთა“ განზრახვას ორატორი. ასეთია გაბრიელის დამოკიდებულება „ცოფიანი და გარდარეული აზრების“ მატარებელი პიროვნებებისადმი, რომლებიც „მოვიდნენ სამოსელითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან არიან მგელმტაცებელ“ (II, გვ. 361).

ვინც გასული საუკუნის 80—90-იანი წლების ჩვენს ისტორიას იცნობს, მისთვის ძნელი არაა იმის გარკვევა, თუ ვის გულისხმობდა გ. ქიქოძე ამ ცრუ წინასწარმეტყველებაში. მან თავიდანვე, ამ მოძრაობის ჩასახვისთანავე, მიაქცია ყურადღება მათ. დრომ და ისტორიამ საკვლევით დაადასტურა, რომ მისი შიში და სიფრთხილე არ იყო საფუძველს მოკლებული.

გაბრიელმა სწორად გამოიცნო ის უარყოფითი ტენდენცია, რომელიც ამ მოძრაობაში დღითი დღე ძლიერდებოდა და მძლავრდებოდა. ამ მოძრაობის რიგებში თანდათანობით ბევრმა ავანტიურისტმა და ავაზაკმაც მოიყარა თავი. ავანტიურიზმისა და კოსმოპოლიტიზმის მასშტაბები სულ მალე იმდენად გაიზარდა, რომ ამ მოძრაობის ბევრი ლიდერისათვის ქვეყნად, მის წარსულშიც და თანამედროვეობაშიც, აღარაფერი დარჩა წმინდა და წაუბილწავი.

ეს ის ძალა გამოდგა, რომელმაც ბარბაროსულად დაამსხვრია ჩვენში, საქართველოში, ეროვნული თვითმყოფადობის ფანმსაზღ-

ვრელი საფუძვლები და ილია ჭავჭავაძის სისხლით მორწყო ქართული მიწა. „ძალად ღმერთიც კი ვერ აცხონებს კაცსა, — ამბობს გაბრიელი, — და ამ პარტიას უნდა ძალად გააბედნიეროს მთელი ქვეყანა. კიდეც რომ მათი აზრი და მიზანი ქვეყნის გაბედნიერება იყოს, ნუ თუ შეიძლება სიკვდილით, მოწამლვით, ავაზაკობით გაბედნიერება ქვეყნისა? ხსენებული მხეცური პარტია, ვინც მათ სიტყვას და სწავლას არ დაიჯერებს, მოჰკვლენ, მოსწამლვენ, დასწვენ და ამბობენ — ქვეყანა უნდა გავაბედნიეროთო!“

როგორ წინასწარმეტყველური გამოდგა გაბრიელ ეპისკოპოსის ეს სიტყვები იმ პოლიტიკური მოძრაობის დასახასიათებლად, რომელიც სულ მალე მოეცლინა ქვეყანას და ყველაფერი მართლაც თავდაყირა დააყენა.

* *

საგანგებო ყურადღება უნდა მივაქციოთ გ. ქიქოძეს, როგორც საღმრთო წიგნების კომენტატორს. მის ქადაგებებში ხშირად გვხვდება ხოლმე ბიბლიური სიუჟეტები და ამონაწერები, რომელთაც ორი ძირითადი მიზნით იყენებს ორატორი: ერთი მხრივ, ესნის და განმარტავს მათ სიმბოლურ-ალეგორიულ შინაარსს და ხელმისაწვდომს ხდის მრევლისათვის და, მეორე მხრივ, მათზე დაყრდნობით, აყალიბებს თავის თეოლოგიურ და ზნეობრივ მოძღვრებას.

გაბრიელ ეპისკოპოსის ყოველი ქადაგება, ძირითადად, ერთი რომელიმე საკითხისადმია მიძღვნილი — რაიმე რელიგიური დღესასწაულისადმი ან საკულტო წეს-ჩვეულებისადმი, ამა თუ იმ ცხოვრებისეული ან ზნეობრივი პრობლემისადმი და ა. შ. ორატორი თავის სიტყვას ხშირად წარუმძღვარებდა ხოლმე წმინდა წიგნებიდან მოტანილ შესაბამის ფრაგმენტს, განმარტავდა მის არსს და მასზე დაყრდნობით მსჯელობდა განსახილველ საკითხზე. ასევე ხშირად იყენებდა ბიბლიურ სიუჟეტებს. ქადაგებათა შესავალში მსმენელებს მოუთხრობდა რომელიმე ეპიზოდს ან იგავს სახარებიდან და საფუძვლიანად აცნობდა მათ მის სიმბოლურ-ალეგორიულ შინაარსს. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ აკეთებდა ამას გაბრიელი, მოვიშველიებ კონკრეტულ მაგალითს.

ამაღლების დღეს წარმოთქმულ ერთ თავის სიტყვაში ორატორს მოჰყავს შემდეგი სიუჟეტური ფრაგმენტი ლუკას სახარებიდან: იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომიდან მეორმოცე დღეს გამოიყვანა თავისი მოციქულები იერუსალიმიდან ბეთანიამდე, მისცა უკანასკნელი დარიგება, აღუთქვა მოვლინება ნუგეშისმცემლისა, აკურთხა ისინი და ამაღლდა მათ წინაშე ზეცად. მოციქულებმა თაყვანი სცეს უფალს, გახარებულები მოიქცნენ იერუსალიმს და აკებდნენ, აკურთხებდნენ და ადიდებდნენ ღმერთს (I, გვ. 195).

„რას ნიშნავდა, ძმანო ქრისტიანენო, ესრეთი სიხარული მოციქულთა?" — კითხულობს ამ ეპიზოდის მოთხრობისთანავე ორატორი და თავადვე იძლევა იქვე ვრცელ და დასაბუთებულ კომენტარს. „მოციქულთა ცხოვლად იგრძნეს, რომელ უფალი არა თუ განეშორა მათგან, არამედ უმეტესად მიეახლა მათ. თვალნი მათი აღარა ხედოდენ მაცხოვარსა, გარნა გული მათი გრძნობდა, რომელ იგი არს მუნ, მათ შორის. ეჰა, სასწაული ღვთაებრივისა სიყვარულისა და მადლისა! მაცხოვარი, უფალი ამაღლდა ზეცად, გარნა არ განეშორა მოწაფეთა თვისთა; იგი მიეფერა თვალთა მათთაგან, გარნა მიეახლა გულთა მათთა."

ასეთი კომენტარი გრძელდება ქვემოთაც. და ეს ყველაფერი ორატორს სჭირდება იმისათვის, რომ მრევლი დაარწმუნოს ერთ დიდ ჭეშმარიტებაში: „იგივე უფალი ახლაცა არის ჩვენთანა. ჩვენი მადლი, მისი სიტყვა, მისი ქადაგება, მისი სიყვარული ახლაც არის და მოქმედებს ჩვენ ქრისტიანეთა შორის". მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანმა იგრძნოს უზენაესი ძალა ამ მადლისა, მისი გული ღმერთს უნდა იყოს მინდობილი. ასეთები კი, გაბრიელის თქმით, ცოტანი არიან. ამიტომაც მიმართავდა იგი მის ირგვლივ მყოფ ურწმუნო და ცხოვრების ამაოებით გატაცებულ ადამიანებს: „რა სახით უნდა შევიდეს უფალი იესო ქრისტე შენს გულში, როდესაც იგი არის აღვსებული ყოვლითა ამაოებითა და ადგილი აღარ არის თავისუფალი, რომ განისვენოს უფალმან."

ანდა ავიღოთ სხვა ქადაგება, რომელშიც განმარტებულია ალეგორიული ქვეტექსტი სახარებიდან მოტანილი შემდეგი იგავისა: გამოვიდა თესვად მთესველი, — დაიწყო მაცხოვარმა იგავი, — და დაიწყო თესვა. ზოგი თესლი დავარდა გზაზე, მოფრინდნენ ფრინველები და შეჭამეს. ზოგი ქლდოვან ადგილზე დაეცა,

ფესვი ვერ გაიდგა და სიცხისაგან გახმა, ზოგი ეკალში ჩავარდა და იქ გამოიღრჩო. მხოლოდ ის თესლი გაღვივდა, აღმოცენდა და გამოიღო ნაყოფი, რომელიც ნაყოფიერ ნიადაგზე დაეცა. ასეთია ის ამბავი, რომელსაც გაბრიელი ყვება (I, გვ. 328—329). ორატორი ღრმად და დასაბუთებულად განუმარტავს მსმენელებს იგავის ალეგორიულ შინაარსს. მთესველი, — ამბობს იგი, — არის თვით ქრისტე ღმერთი, აგრეთვე ყოველი მოძღვარი, რომელიც უფლის მცნებებს ასწავლის მრევლს. „თესლი არის სიტყვა ღვთისა და ეგრეთვე ყოველი სწავლა და აზრი; ხოლო სხვა და სხვა მიწა, რომელსა ზედა დავარდენ თესლნი, მოასწავებს მრავალ ფერთა გულთა კაცთასა, რომელნი ისმენენ სიტყვასა ღვთისასა“.

ამის შემდეგ ორატორი აკონკრეტებს ნათქვამის არსს და ცალ-ცალკე ახასიათებს იმ ადამიანთა სახეებს, რომლებიც განსხვავებული რწმენითა და გულისყურით უდგებიან ღვთისგან შთაგონებულ მცნებებს. ასეთი კონკრეტული დახასიათება მას იმისთვის ჭირდება, რომ დაეხმაროს ადამიანებს ჭეშმარიტი გზის პოვნაში, დაანახოს ის საბედისწერო შეცდომები, რომელნიც სამუდამო წაწყმედით ემუქრებიან მათ სულს. „ახლა, საყვარელო ძმაო, — მიმართავს გაბრიელი მრევლს, — მიაქციე ყურადღება შენდამი და განიცადე თავი შენი, რომელსა მიწასა ემსგავსება გული შენი? ჰგავსა იგი კეთილსა მიწასა და პირველსა, რომელი თესლისაგან, მისდამი მინდობილისა, გამოიღებს ნაყოფსა ჭრავალს?“

გაბრიელი თავის უპირველეს მოვალეობად თვლიდა გაეღვივებინა მოძმის გულში ღვთაებრივი რწმენა და მთელი ცხოვრება ერთგულად ეზიდებოდა იმ მძიმე უღელს, რომელიც მას, როგორც ერთ-ერთ მთესველთაგანს, ღმერთისგან ჰქონდა დაკისრებული. „დასასრულ, — დაასკვნის ქადაგების ბოლოს მღვდელმთავარი, — ძმანო ჩემნო საყვარელნო, მეცა, ცოდვილი და უღირსი, ვარ ერთი მთესველთაგანი, რომელი, შეძლებისა და ვალისამებრ ჩემისა, ვთესავ თქვენს შორის სიტყვასა ღვთისასა. ხოლო ვინ ან რომელი კაცი სთესავს საყანესა ზედა თვისსა და არა მოელის ნაყოფსა? მეცა, ძმანო ჩემნო საყვარელნო, თუმცა სუსტი მთესველი ვარ, გარნა ვესავ ღმერთსა ნაყოფისა ხილვად, ვინაითგან არა ჩემსა და ჩემგნით ვთესავ, არამედ ბრძანებითა ღვთისათა და სიტყვასა ღვთისასა“ (იქვე, გვ. 332).

როგორც ზემოთაც აღინიშნა, გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი ყურადღებას იქცევენ მხატვრული დახვეწილობით. ორატორი ხშირად იყენებს ასრის ემოციური და ეფექტური გამოხატვის ორიგინალურ ფორმებს, სასულიერო მწერლობის უძველესი საგანძურიდან სესხულობს ფართოდ გავრცელებულ ლიტერატურულ ხერხებსა და გამოსახვის საშუალებებს. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ყოველგვარი მხატვრული სიახლე თუ ხერხი მის ქადაგებებში ვლინდება ძალდატანების გარეშე, სადად და ბუნებრივად. ორიგინალურ ლიტერატურულ გამომსახველობით საშუალებათა ძიება მისთვის არასოდეს იქცევა თვითმიზნად.

ამიტომაცაა გ. ქიქოძის სიტყვები და მოძღვრებანი სისადავითა და უშუალობით აღბეჭდილნი, თავისუფალნი ხელოვნური ჩუქურთმებისაგან, გადაუტვირთავნი მწიგნობრული ფრაზეოლოგიით და ყალბი პათეტიკისაგან გამიჯნულნი. ეს ნიშან-თვისებები, უპირველეს ყოვლისა, თავად ორატორის შინაგანი ადამიანური ბუნებიდან მომდინარეობდა. თავისი ცხოვრებისეული უბრალოებითა და თავმდაბლობით გაბრიელი გულწრფელად უყვარდა მრევლს, სწამდა და სჯეროდა მისი.

ამ რწმენას კიდევ უფრო განამტკიცებდა ის გულითადი სიახლოვე, რითაც მღვდელმთავარი იყო დაკავშირებული თავისი სამწყსოს ყოველ წევრთან. ეპისკოპოსობა მისთვის რაიმე უპირატესობის მიმნიჭებელი წოდება არ ყოფილა, რომელიც გამიჯნავდა მას ადამიანებისაგან და პატივმოყვარეობის გრძნობას გაუღვივებდა გულში.

გაბრიელმა შესანიშნავად იცოდა და სხვასაც მუდამ განუმტკიცებდა იმის შეგნებას, რომ ყოველი ადამიანი ცოდვილია ქვეყნად და ამ ცოდვათა გამოსყიდვა მხოლოდ მორჩილებით, თავმდაბლობითა და მონანიებითაა შესაძლებელი. „მეცა, აღმსრულებელი ამ მშვენიერისა ჩვეულებისა და წესისა, — მიმართავდა იგი ერთ-ერთ ქადაგებაში მრევლს, — მორჩილად გთხოვთ მომიტევოთ, ვისაც რა ვსცოდე, და რაც ვაწყენინე წარსული წლის განმავლობაში სიტყვით, გინა საქმით, ნებით, გინა უნებლიედ. ჩემის მხრითგანაც ვაძლევ შენდობასა ყოველთა, ვინც რა შემცოდა და მაწყენინა“ (II, გვ. 32). საკუთარი მრევლისაგან შენდობისა და პატიების ამ გამოთხოვნაში არაფერი იყო გადა-

ჭარბებული. ეს კარგად იცოდნენ ეპისკოპოსის სამწყსოს შვილებმა. ამიტომაც ენდობოდნენ მის ყოველ სიტყვას, გულწრფელად სწამდათ და ჯეროდათ მისი დამოძღვრისა.

გაბრიელის ქადაგებებიდან ციტირებულ ფრაგმენტებზე დაკვირვებითაც ნათლად შეიცნობს მკითხველი იმ მხატვრულ სპეციფიკას, რითაც ნააზრევის გადმოცემის მისეული სტილი ხასიათდება. ამ სპეციფიკის საჩვენებლად ქვემოთ კიდევ შოვიშველიებ რამდენიმე საინტერესო ნაწყვეტს. მაგალითად, ავტორის დახასიათებით, მარხვა არის „აღვირი ჩვენი ხორცისა“ და მას მხოლოდ ის ვერ დაიცავს, ვინც მოკლებულია სულიერ ძალას და „ხორცს მონაა“ (II, გვ. 39). ანდა: „ცოდვა ერთნაირად ეესგავსება ეკალს, რომელი შეერჭო კაცს ხორცში: სანამ ეკალს ხორციდან არ გამოიღებს, მისი წყლული არ მორჩება“ (II, გვ. 53).

ადამიანის ზნეობრივი გაკეთილშობილების შესახებ საუბარს გაბრიელი უკავშირებს ე. წ. სამი სარკის თვალსაზრისს. პირველ სარკეს იგი უწოდებს საღმრთო წერილსა და წმინდა მამების ლოცვებს, მეორეს — ადამიანის გონებასა და სინდისს, მესამეს კი მოძღვრის წინაშე წარმოთქმულ აღსარებას. „სამნი ზემოხსენებულნი სარკენი, — განაგრძობს შემდგომ საუბარს, — უთუოდ ცხადად გვაჩვენებდა, რომ სულიერნი ჩვენი სახე არის გასვრილი და უწმინდური ძრავალთა ცოდვათაგან ჩვენთა: დავბანოთ სულიერი პირი ცრემლითა, გავწმინდოთ სულიერი სახე ჩვენი კეთილთა საქმეთა მიერ, ცუდთა ჩვეულებათა მოშლითა... ხშირად შევხედოთ სამთა იმათ სულიერთა სარკეთა და, თუ რამე ცუდი გამოთქმულება შევატყვეთ ჩვენს სულს, მოვიშალოთ იგი და მივაჩვიოთ გამოთქმულებასა და ჩვეულებასა; ერთი სიტყვით, გავისწოროთ ცხოვრება“ (II, გვ. 61).

მსგავსი მაგალითები, რომლებიც ტიპურია გ. ქიქოძის ქადაგებებისათვის, ნათლად წარმოაჩენენ მისი სტილის სპეციფიკას. ამ სპეციფიკის შინაგანი ბუნება, მისი სტრუქტურა და მხატვრული თავისებურებანი, როგორც ამას ადვილად შეამჩნევს დაკვირვებული მკითხველი, ბევრი რამითაა დავალებული საღმრთო წიგნებითა და ჩვენი მდიდარი საერო მწერლობით.

გ. ქიქოძის ქადაგებები, როგორც არაერთხელ ითქვა, ყურადღებას იქცევენ აზრის გამოხატვის ფილოსოფიურობით. ორატორი ყოველთვის ცდილობს დარწმუნების, სათანადო ახსნა-განმარ-

ტებისა და განსჯის გზით მიიყვანოს მორწმუნე სასურველ მცნებათა თვითშეცნობამდე და აღიარებამდე, პასუხი გასცეს ყოველ დაძაბეებელ კითხვას.

ამ თვალსაზრისით, გ. ქიქოძის სიტყვებსა და მოძღვრებებში ენციკლოპედიური ყოვლისმომცველობითაა გააზრებული და დახასიათებული ადამიანის რწმენისა და ზნეობრივი საშყაროს თითქმის ყოველი მნიშვნელოვანი საკითხი. ამთზე მის ქადაგებებში დაინტერესებული მკითხველი სათანადოდ დასაბუთებულ პასუხს იპოვის ხოლმე. და, როგორც ითქვა, ეს მსჯელობა მუდამ ხასიათდება მაღალი აკადემიზმით, ფილოსოფიური სიღრმით, ლოგიკური განსჯის დახვეწილობით.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი სიღრმითა და დამაჯერებლობით წვდება ორატორი პრობლემის ბირსს და რა ლოგიკური დასაბუთებულობით აყალიბებს თავის თვალსაზრისს, მოვიყვან ფრაგმენტს მისი ერთ-ერთი მოძღვრებიდან: „თუ არ გწამს სახარება, ძმაო, ან თუ სარწმუნოება შენი ცივია, ან მკვდარია, არც კი იფიქრებ, არც მოინდომებ სინანულსა. წმინდა, ჯეროვანი სინანული იპყრობს თვის შორის კიდევ სასოებასა. ღმერთზედ, თუ არ ესავ ღმერთსა, რომ იგი მოწყალეა, შეგირიგდება, ცოდვებს მოგიტევებს და კვალადვე აღგადგენს პირველსავე ხარისხსა ზედა, რაღა მოგანდომებს სინანულსა? ბოლოს და უმეტესად ნამდვილს სინანულში არის და უნდა გამოიხატოს სიყვარული ღვთისა. სიყვარული არის შემყვანებელი კაცის სინანულში. ის აღძრავს და აიძულებს კაცს შეინანოს, შეურიგდეს ზეციერსა მამასა, იგი შეაწუხებს კაცს, რომ გაეშორა ზეციერსა მამასა ულირსებითა თვისითა და აიძულებს მოიქცეს კვალად მისდამი. თუ სამნი ესენი: სარწმუნოება, ცხოველი სასოება, ანთებული სიყვარული არ გააჩენენ კაცის გულში სინანულსა, მაშინ სინანული იქნება ყალბი, ცრუ, უნაყოფო“ (II, გვ. 44—45).

ასე გრძელდება ეს საინტერესო მსჯელობა ქვემოთაც, გრძელდება სიღრმისეულად, ადამიანის შინაგანი ბუნების საფუძვლიანი ცოდნით, გრძელდება და ლოგიკური დამაჯერებლობით აღძრავს პიროვნების გულში ცოდვათა მონანიებისა და ღვთაებრივ ჰარმონიასთან ზიარების უკეთილშობილეს გრძნობას, რომელიც შთაგაგონებს ალაგმო შენს არსებაში ჩაბუდებული ბიწიერება და ეძებო სათნოების წმინდა გზა,

, გ. ქიქოძის ქადაგებათა დიდი ნაწილი, როგორც აღინიშნა, ეძღვნება სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებს. ორატორი განუმარტავს მრევლს მათ ხასიათს, სპეციფიკას, შიზანდასახულებას. არ დარჩენილა ქრისტიანული სარწმუნოების რაიმე მნიშვნელოვანი საკულტო დღესასწაული, რომელსაც გაბრიელ ეპისკოპოსი თავისი ქადაგებებით არ შეხებოდეს. იგი ცდილობს უფრო ნათელი და გასაგები გახადოს მსმენელთათვის არსი ისეთი საუფლო დღესასწაულებისა, როგორებიცაა: აღდგომა, ბზობა, შობა და ა. შ.

ამ განმარტებებში, ცხადია, გაბრიელი ორიგინალური ვერ იქნებოდა, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში საყოველთაოდ ცნობილ რელიგიურ ჭეშმარიტებათა შთამბეჭდავი ფორმით გადმოცემაა. ეს ჭეშმარიტებანი და მცნებანი, როგორც ღმერთისგან ადამიანთათვის ნაბოძები „დიდი იდეალები", მღვდელმთავრის სიტყვებსა და მოძღვრებებში ახსნილია და განმარტებული პოპულარული, მრევლისთვის ადვილად მისაწვდომი ენით, ეფექტურად და ლაკონურად.

გაბრიელ ეპისკოპოსი ერთმანეთს უდარებს სარწმუნოების მიღებისა და შეთვისების ორ გზას. ერთია ჭკუით ან გონებით შეთვისებული რწმენა, მეორე კი გულით შეცნობილი სარწმუნოება. მათ შორის. ორატორის მტკიცებით, დიდი განსხვავებაა, რადგანაც „სხვა არს მიღება, დათანხმება ჭკუით რომელიმე ჰაზრის, ანუ წინადადებისა, და სხვა არის დარწმუნება, შეტკბობა, დაჯერება. ჭკუა მიიღებს, იცნობს. დაეთანხმება. გული დაიჯერებს, შეიტკბობს, შეიყვარებს" (II, გვ. 66). გაბრიელი ამათგან ჭეშმარიტ გზად სარწმუნოების გულით შეთვისებას მიიჩნევს. რადგანაც „ვინც გულით მიითვისებს და შეიტკბობს სარწმუნოებას, ამით იგი ამტკიცებს. ცხად ჰყოფს, რომ მას კეთილი და წმინდა გული აქვს". სარწმუნოების შეთვისება და მისადმი ერთგულება კი ადამიანის სულის დახსნის ერთადერთი გზაა, რადგანაც „სარწმუნოება არის ზნეობრივი მოღვაწეობა, თავისუფალი და სასურველი სულისა და გულისა".

გ. ქიქოძის ქადაგებებში ახსნილია და განმარტებული არა მარტო ქრისტიანული საკულტო წეს-ჩვეულებანი და ბიბლიური ეპიზოდები, არამედ ლოცვებიც. ლოცვათა განმარტება-კომენტირებას იგი უფრო ხშირად მიმართავდა იმათთან შეხვედრების დროს,

რომელნიც ისტორიული ვითარების გამო გამდგარნი ან გაორგულებულნი იყვნენ სარწმუნოებისადმი. ეს განსაკუთრებით ითქმის აფხაზებსა და ოსებზე. გაბრიელი არაერთხელ სწვევია აფხაზეთსა და ოსეთს და ბევრი რამ გაუკეთებია ამ კუთხეებში ქრისტიანული რწმენის დასამკვიდრებლად და განსამტკიცებლად.

საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ თავისი აქტიური მოღვაწეობის შედეგად მან ქრისტეს სჯულზე მოაქცია 18 000 აფხაზი. „აფხაზეთში გაბრიელ ეპისკოპოსის დროს, — წერს მოსე ქიქოძე, — მისი ღვაწლით, სწავლით ბევრმა მიიღეს ქრისტეს სჯული; იქ წარმოთქმულ ქადაგებებს აქვს სამისიონერო და არა მამხილებელი ხასიათი“ (იხ. კრებული „სულ-მნათ გაბრიელის საუნჯე“, 1897 წ., გვ. 32).

ქრისტეს რჯულზე ახლად მოქცეული მრევლისთვის კი ბევრი რამ, ბუნებრივია, უცხო და გაუგებარი იქნებოდა სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებათაგანაც და საკულტო წესთაგანაც. ამიტომაც გაბრიელი თავის უწმინდეს საღმრთო მოვალეობად თვლიდა, ხშირად სტუმრებოდა ამ კუთხეებს და დახმარებოდა იქაურ მორწმუნეებს ქრისტიანული რელიგიის არსის ღრმად შეცნობასა და შეთვისებაში. ამითაა განპირობებული, პირველ ყოვლისა, ქრისტიანული ლოცვების მისეული ახსნა-განმარტებანი, რომელთაც მღვდელმთავარი აფხაზეთსა და ოსეთში სტუმრობის დროს მიმართავდა ხოლმე. გავიხსენოთ, მაგალითად, „განმარტება, ანუ აღხსნა უფლისა იესო ქრისტეს ლოცვისა, ესე იგი, მამაო ჩვენოისა, სამთა მოძღვრებათა შინა, თქმული აფხაზეთში ახლად მონათლულთა წინაშე“, „განმარტება ანუ აღხსნა ცხრათა ნეტარებათა, თქმული ოსეთში კუდრის ხეობაში“, „განმარტება ანუ აღხსნა ეფრემ ასურის ლოცვისა, ოთხთა მოძღვრებათა შინა, რომელნიც თქმულან ოსეთში და სვანეთში“...

ასე ცდილობდა მღვდელმთავარი ქრისტიანული რწმენის აღდგენას და განმტკიცებას იმ ადგილებში, სადაც ისტორიული ავბედობის შედეგად ხალხი განუდგა სარწმუნოებას. „ძმანო ჩემნო, — მიმართავდა ის ერთ თავის მოძღვრებაში ოსეთში, კუდაროს ხეობაში, მის მიერ განათლულ ოსებს, — ვინაითგან თქვენ ახლა მოინათლენით, გაქრისტიანდით, მაშ, ეცადეთ, რომ შეიტ-

ყოთ, თუ რაი არს ქრისტიანობა, როგორი უნდა იყოს ქრისტიანე ცხოვრებითა თვისითა“ (I, გვ. 491).

ისტორიიდან მოშველიებული მაგალითებითა და ფაქტებით გაბრიელი განუმარტავდა ოსებსა და აფხაზებს, რომ მათი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ „ცუდი დროებისა“, საქართველოში გავრცელებული „აღრეულობისა“ და მტერთა გამუდმებული შემოსევებისაგან „ყოველი სწავლა და სჯული დამცირდა და შემდგომ დაიკარგა მათ შორის“. მღვდელმთავარი აღუდგენდა ხალხს მამა-პაპათა რწმენას, ასწორებდა ისტორიის საბედისწერო შეცდომებს. და ეს ყველაფერი კეთდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული ინტერესების სრული დაცვითა და პატივისცემით. მაგალითად, მან საგენგებო დავალება გასცა და ოსეთში ჩასულმა იქაურ მოსახლეობას ოსი მღვდლები დაუნიშნა, რათა მათ მშობლიურ ენაზე მოესმინათ მღვდელმსახურება. ლოცვები, — მიმართა მან ერთ ასეთ შეკრებაზე მრევლს, — „მე უბრძანებ მღვდელსა, თქვენს ოსურს ენაზედ წაიკითხონ ყოველს წირვაზედო“ (I, გვ. 491).

არ დარჩენილა დასავლეთ საქართველოში რომელიმე სოფელი, ყველაზე მიუვალიც კი, რომელსაც გ. ქიქოძე არ სტუმრებოდა ეპისკოპოსად ყოფნის პერიოდში და იქ ლოცვა-კურთხევა არ აღევლინა. ეს იყო არა მარტო ქრისტიანული რწმენის განმამტკიცებელი მოგზაურობა, არამედ განმანათლებლურიც. გაბრიელის სტუმრობა, როგორც წესი, დიდ დღესასწაულად, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად იქცეოდა ხოლმე ადგილობრივი მოსახლეობისათვის. იმ პირობებში ეს მოგზაურობა ძალზე ძნელი საქმე იყო, მომქანცავი და სახიფათო. მაგრამ ეპისკოპოსი არ ერიდებოდა არავითარ სირთულეს. სადაც ეტლითა და ცხენით ვერ მოხერხდებოდა მისვლა, იქ ფეხით მიდიოდა და ადგილზე ლოცავდა, მოძღვრავდა და არიგებდა საეწყესოს. მისი ქადაგებების დიდი ნაწილი სწორედ ამ მოგზაურობის დროსაა წარმოთქმული.

გაბრიელის ამგვარ თავდადებულ მოღვაწეობას საფუძვლად ედო სურვილი იმისა, კიდევ უფრო განმტკიცებინა თავის საეწყესოში ქრისტიანული სარწმუნოებისადმი სიყვარული. იგი დღენიადაგ შთააგონებდა მრევლს იმ ჭეშმარიტებას, რომ მხოლოდ

„სოფლურ საქმეებზე“ ზრუნვა „კაცს კაცისაგან განყოფს, განაშორებს, ხშირადაც ერთმანეთს გადაამტერებს“. ამიტომაც საჭიროა ადამიანმა არ დაივიწყოს ღმერთი, ზურგი არ აქციოს ეკლესიას, რადგანაც უფალი „არა თუ განყოფს, არამედ შეაერთებს, დააახლოვებს, შეაყვარებს კაცს კაცთან“... „ეკკლესიაში ყველანი ერთი ხართო, — მიმართავდა იგი მრევლს, — ეკკლესია ყოველთათვის ერთს წირვას, ერთს ლოცვას და ერთს მოქმედებას აღასრულებს. ერთი ემბაზისაგან გაცემს ყოველთა ნათელს, ერთი ბარძიმისაგან გაჭმევს ხორცსა და გასმევს სისხლსა ქრისტესსა. წარმოიდგინე, როგორ დაშორებული არის სოფელში მდიდარი ღარიბისაგან, შემძლებელი უღონოსაგან, და დიდი მცირისაგან. გარნა აქ, ეკკლესიაში, ყოველნი ერთ-ხართ და ერთად-ერთი ლოცვა გესმისთ, ერთ წესს და საიდუმლოს მიიღებს ყველანი“ (I, გვ. 489).

ქრისტიანული სარწმუნოების სიკეთის დახასიათებას გ. ქიქოძე ორი უმთავრესი კუთხით უდგება: ერთი მხრივ, იგი ქრისტეს სჯულს ადამიანის სულიერი ხსნისა და ამაღლების უპირველეს საშუალებად აღიარებს, მეორე მ̆ხრივ კი ხაზს უსვამს ქრისტიანობის უდიდეს როლს ჩვენი ეროვნული გადარჩენის საქმეში. „უკეთუ წინაპართა ჩვენთა მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა შორის არ შეენახათ მართლ-მადიდებელი სჯული, ახლა აღარ იქნებოდა ქვეყანაზედ არცა სახელი ჩვენი, არცა ენა“, — შეახსენებს იგი სამწყსოს ქრისტიანობის განსაკუთრებულ ეროვნულ დამსახურებას და იქვე უმატებს: „სხვა მიზეზი რომ არ გვქონდეს, მარტო ამ მიზეზმან უნდა შეგვაყვაროს ჩვენ სარწმუნოებაო“ (I, გვ 366).

ყოველივე ამისი ხაზგასმა იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ გაბრიელი ხედავდა საზოგადოების ერთი ნაწილის გაორგულებას სარწმუნოებისადმი. ამ გარემოებას ორი ძირითადი საფუძველი ჰქონდა. ერთი ეს იყო ადამიანთა მეტისმეტი გატაცება ამქვეყნიური ამაოებით, ურთიერთ შური, მოყვასისადმი გულგრილობა, მიწიერი ცოდვების ტყვეობაში მოქცევა და მისთანანი. და მეორე, იმ ადამიანთა მომრავლება, რომელთაც არც ღმერთი სწამდათ და არც ეკლესია და რომელნიც ქვეყნის ბატონ-პატრონად, მის მბსნელად აცხადებდნენ თავიანთ თავს.

რაც დრო გადიოდა, ეს მოძრაობა უფრო და უფრო ძლიერდებოდა და დიდ მასშტაბებს მოიცავდა. მეოცე საუკუნის დასაწყისსა და ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ ხანაში ამ უღმერთობამ ზენიტს მიაღწია, ყველაფერი თავდაყირა დააყენა და საზოგადოება ზნეობრივი გადაგვარების უფსკრულამდე მიიყვანა. მართალია, გ. ქიქოძე ვერ მოესწრო ამ დროის დადგომას, მაგრამ მან, როგორც ეს მისი ქადაგებებიდან ჩანს, ინტუიციით იგრძნო ამ საბედისწერო საფრთხის მოახლოება. „განსაცვიფრებლად ჩვენდა, — აღნიშნავდა იგი ერთ თავის სიტყვაში, — ამ მოკლე დროებაში გამოსჩნდნენ აქაც, ამ ჩვენს ქალაქშიც, რომელნიმე პირნი, არა-რად მრაცხველნი სარწმუნოებისა, თითქმის ცხადად უარ-მყოფელნი ყოვლისა სჯულისა, გამომცხადებელნი, რომელ კაცს არაფერი არ უნდა სწამდეს, არცა ეკლესია, არცა სახარება და არცა სხვა რაიმე“ (I, 366).

ამით შეშფოთებული ეპისკოპოსი თავის მოვალეობად თვლიდა, ხმა აღემაღლებინა და წინ აღდგომოდა უსჯულოების ამ ბარბაროსულ შემოტევას. მას განსაკუთრებით აწუხებდა ის ფაქტი, რომ ასეთი მკრეხელური აზრები უფრო მეტად მოსწავლე ახალგაზრდობაში ვრცელდებოდა. „უმეტესი ნაწილი მათგანი, განსაკვირველად ჩვენდა, არიან თითქმის ჭაბუკნი, გამოუცდელნიო“, — წუხდა მღვდელმთავარი. მათ „ჯერეთ ანბანის მეტი თითქმის არაფერი იციან ზედ-მიწევნილად“. მათი „დაუმწიფარი, მკვახე, ნედლი ჭკუა და უსაფუძვლო ამღვრეული სწავლა განაშორებს გულსა კაცისასა სახარებისასაგან“. ამ ვითარებით შეწუხებული გაბრიელი ხშირად სტუმრობდა თავის ეპარქიაში არსებულ სასწავლებლებს, მოძღვრავდა მოსწავლეებს და ცდილობდა აეხილა მათთვის გონების თვალი, დაეხსნა ისინი ურწმუნოებისაგან.

გ. ქიქოძის ქადაგებათა უპირველესი ყურადღების საგანი, ბუნებრივია, ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება და ადამიანის ზნეობრივი გაკეთილშობილებისაკენ სწრაფვაა. მაგრამ მღვდელმთავარი გვერდს არ უვლის ეროვნულ პრობლემათა განსჯასაც. ქადაგებების ერთი ნაწილი მან სწორედ ჩვენი ხალხის წარსულისა და თანამედროვეობის მწვავე საკითხების ანალიზს დაუკავშირა და ნათლად გამოკვეთა თავისი ეროვნული თვალსაზრისი.

გაბრიელის ყურადღების საგნად ამ შემთხვევაში ძირითადად ის მანკიერებანია ქცეული, რომელნიც სხვადასხვა მიზეზთა შედეგად დამკვიდრდნენ ჩვენს ეროვნულ ყოფაში. ორატორი წუხილით საუბრობს იმაზე, რომ „ჩვენს შორის არ არის ერთობა, სიყვარული და ერთგულება ქრისტიანული... ყოველნი მცხოვრებნი ამა ქვეყნისანი ას-წილად იქნებოდნენ უბედნიერესნი ხორციელად და უმჯობესნი სულიერადაც, უკეთუ ჰქონდესთ მათ სიყვარული ურთიერთობრივი, უკეთუ არ იყოს მათ შორის განყოფა მოყვრობისა და მტერობისა“ (I, 375).

ჩვენი ეროვნული უბედურების განმაპირობებელ ამ ნიშანს — ურთიერთშუღლსა და გაუტანლობას, რომელიც ისტორიულად ქსაქსავდა და ასუსტებდა საქართველოს, გაბრიელი არაერთგზის მიაპყრობს ყურადღებას თავის ქადაგებებში. იგი წუხს იმის გამო, რომ ეს სენი თავისი დროის საქართველოსაც აუძლურებს და ართმევს ენერგიას. „ძველად აღძრულნი შურითა მცხოვრებნი ამ მცირე ქვეყნისანი, — ამბობს ორატორი, — განიკერძოებოდენ მრავალ-ნაწილად, ებრძოდენ და აოხრებდენ ერთი მეორესა... იყო ერთი დიდი ჩხუბი, განხეთქილება, მეფის ღალატობა, მტერთადმი მიდრეკილება და ესე ყოველი ურთიერთობრივისა შურისაგან. აწ. ამ ჩვენ დროში, მადლითა ღვთისათა და მოწყალებითა შემძლებელისა მთავრობისათა, არ შეიძლება იყოს ჩვენს შორის ის ცხადი ომი და მომხრება, გარნა შურმან სხვა გზა და ბილიკი გამოიჩინა“ (I, გვ 403).

ეს თვალსაზრისი ხშირად ვლინდება გაბრიელის ქადაგებებში. ქრისტიანულ სიყვარულსა და ადამიანთა ზნეობრივ სრულყოფაზე მეოცნებე მღვდელმთავარს არ შეიძლებოდა გული განსაკუთრებით არ ტკენოდა იმის გამო, რომ მის სამშობლოში, ისტორიულადაც და იმჟამადაც, არნახულად იყო აღზევებული „საზოგადო განხეთქილება, მტრობა, შური, შურის-ძიება და სიძულვილი“. „არა-თუ მეზობელთა შორის აღარ არის სიყვარული და მოყვარეობა, არამედ ნათესავნი და მახლობელნი უმეტეს განხეთქილებაში არიან: ძმა ძმას ემტერება, მამა და შვილნი ვეღარ სდგებიან ერთად; დედანი ხშირად სწყევლიან შობილთა თვისთა, ძენი აღარ ეპორჩილებიან მშობელთა. საშინელ არს და საზარელ წარმოდგენა ამის ყოვლისა. ამოდენა ჩივილი, დავა და

ბტრობა, რაც ამ პატარა ქვეყანაში არის, არსად არ გამოგონილა ქვეყნაზედ“ (I, გვ. 467).

მეორე დიდი ვნება და ჭირი, რომელიც ჩვენ ერონულ მანკიერებათაგან გამოყო გ. ქიქოძემ, ეს არის უსაქმობა. „ახლა, ძმანო, ისრედი დროება და ჟამი მოიწია, — ამბობს იგი ამასთან დაკავშირებით სოფელ ჩხარში წარმოთქმულ მოძღვრებაში, — ყოველი კეთილშობილი კაცი უნდა დაადგეს რომელსამე საქმესა და იყოს შრომაში და გამოზარდოს თავი თვისი შრომითა თვისითა“ (I, გვ. 468). მაგრამ ამას ცოტა აკეთებს და „უქმად დროების გატარებას“ არჩევს.

გ. ქიქოძის ეროვნული თვალსაზრისი განუყოფლადაა შესისხლხორცებული ქრისტიანული სარწმუნოების სასიცოცხლო როლის აღიარებასთან ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის საქმეში. საყოველთაოდ ცნობილი ეს შეხედულება გაბრიელის ქადაგებებში ხაზგასმითაა წინა პლანზე წამოწეული. ქრისტიანულ რწმენას ამ შემთხვევაში იგი მიიჩნევს ერის მხსნელ და გადამრჩენ ძალად.

ეს თვალსაზრისი განმტკიცებულია ქართველი ხალხის ისტორიული ყოფის განზოგადებული შეფასებებით. მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქრისტიანული სარწმუნოება არის ის უზენაესი ძალა, რომელმაც ერთი მუჭა ერი ამდენი ჭირისა და უბედურებისაგან დაიხსნა და გადაარჩინა მაშინ, როცა „დაეცნენ და განქარდნენ უმძლავრესი მეფობანი და ერნი... რამ დაიცვა ქართველები, როგორ მოხდა, რომ ჩვენი ერი არ მოისპო, არ განქარდა და ჩვენი სახსენებელი დარჩა ქვეყანასა ზედა? მიზეზი ამისა არის ის, რომ ჩვენი ერი იყო ყოველთვის ერთგული სიმართლისა სჯულისა და ღმერთიც იფარვიდა მას მეოხებითა და ვედრებითა დედისა მისისათა, რომელსა წილად ერგო ივერია და ერი ივერიისა. ეს მცირე. ერთი მუჭა ერი გადარჩა, აღორძინდა, განათლდა, ხოლო ურიცხვნი მათნი მტერნი განქარდნენ“ (II, გვ. 137).

ქრისტიანობის უდიდეს ისტორიულ ეროვნულ დამსახურებას გაბრიელი განსაკუთრებით ხშირად ეხებოდა ხოლმე მოსწავლეახალგაზრდობასთან შეხვედრების დროს. ამით მას სურდა სარწმუნოებისადმი პატრიოტული ინტერესიც გაეღვივებინა. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მისი სიტყვა, წარმოთქმული ქუთაისის საკათედრო ეკლესიაში სასულიერო და „სახორციელო“ სასწავლებლების მოსწავლეებთან შეხვედრაზე 1876 წელს. ის-

ტორიიდან მოშველიებული მაგალითებით ეპისკოპოსი შთააგონებდა მოსწავლეებს, რომ ქრისტიანობა ქართველი ხალხისათვის „გარდაიქცა სისხლად და ხორცად". სწორედ ქრისტეს რჯულმა დაიცვა ქართველობა უთვალავი მტრისგან, რომლებიც საუკუნეების მანძილზე „ჰგლეჯდენ, ჰმუსვრიდენ, აოხრებდენ" ჩვენს სამშობლოს.

გაბრიელი მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს ქრისტიანობის უდიდეს მწიგნობრულ-განმანათლებლურ როლსაც ჩვენი ერის ისტორიაში. „სარწმუნოებათა თვისთა გამხნევებულთა, მათ, არა თუ დაიცვეს თვისი ქვეყანა და ეკკლესიები უცხოთა მტერთაგან, არამედ გააჩინეს მწიგნობრობა და მწერლობა, გადმოსთარგმნეს საღმრთო წერილი დაწერილნი წმიდათა მამათა, დააწესეს საკუთარ ენაზედ წირვა, ლოცვა და მწერლობა" (II, გვ. 356).

იმისათვის, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ეროვნული დამსახურება ქართველი ხალხის კულტურული აღმავლობის საქმეში უფრო ეფექტურად და დასაბუთებულად წარმოაჩინოს, გაბრიელი ერთმანეთს უდარებს კავკასიის სხვა არაქრისტიანი ხალხებისა და ქართველების კულტურას და ამბობს: „ახლა ის გაიხსოვნეთ და იფიქრეთ, რა მოუვიდა, რა დაემართა სხვა მრავალთა კავკასიის ერთა და ტომთა, ლეკთა, ჩერქეზთა, აფხაზთა და სხვას? იგინი ყოველნი, რადგანაც არ შეიწყნარეს ქრისტიანობა, დარჩნენ ველურს, დაცემულს შდგომარეობაში. არა თუ განათლება ვითარიმე არ გაჩნდა მათ შორის, არამედ სახელებიცა მათი ძლივს იხსენიება" (II, გვ. 355-57).

გაბრიელი ქვეყნის აწინდელ მდგომარეობას „მყუდროს, მშვიდობიანს, წარმატებულს" უწოდებს, რადგანაც იგი დაცულია „ყოველთა მტერთაგან". თავის ქადაგებებში მღვდელმთავარი თითქმის არაფერს ამბობს მოყვრის, რჯულისმიერი მფარველის სახელით მოსულ მტერზე, რომელიც ათასგვარი ცბიერებითა და მზაკვრობით ცდილობდა გაეკეთებინა ის, რისი გაკეთებაც ხმლითა და მახვილით მოსულმა მტერმა ვერ შეძლო.

პირიქით, იგი დიდ მადლიერებას იჩენს რუსეთისადმი და სხვებსაც იმას უქადაგებს, ერთგულება და პატივისცემა არ დაიშურონ ხელმწიფისადმი საქართველოს ხსნისთვის. რუსეთის მეფისაგან მიღებული მოწყალება და მფარველობა, გაბრიელის აზრით, ქრისტიანული რწმენის ერთობით მოგვრილი ბედნიერებაა. „რუსეთის

ხელმწიფემ რისთვის მიიღო ჩვენი ქვეყანა? — კითხულობს ეპისკოპოსი და თავადვე უპასუხებს: — რათა დაცული ქნას ამ ქვეყანაში მართლმადიდებელი სჯული" (II, 357).

დღევანდელი მკითხველისთვის ძნელი არაა ამ მსჯელობაში დაინახოს რუსეთის, როგორც ჩვენი „ეროვნული მხსნელის", ტენდენციური შეფასება. ამ შემთხვევაში გ. ქიქოძე პირდაპირი გამგრძელებელია იმ ხაზისა, რომლის მიმდევარნიც რუსეთთან საქართველოს შეერთებას ეროვნული გადარჩენის ერთადერთ სწორ გზად მიიჩნევდნენ.

ამ რწმენით აიხსნება ის გარემოება, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს, მიუხედავად იმ გაცხარებული ბრძოლებისა, რომელთაც იგი აწარმოებდა ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებულ შავრაზმელ რუს მოხელეებთან, არასოდეს უქადაგებია ქართველებისათვის რუსეთთან კავშირ-ურთიერთობის გაწყვეტა. პირიქით, მუდამ ცდილობდა ამ კავშირის განმტკიცებას და ხშირად გამოხატავდა ეროვნულ მადლიერებას რუსეთისადმი სახელმწიფოებრივი მფარველობის გამო. ამიტომაც კიცხავს მეფისა და რუსეთის ყოველ მოწინააღმდეგეს, რომელთაც სჯულის მგმობელებად მიიჩნევს. „ახლა ჩვენ რომ დაფარულნი ვართ, დიდი ხელმწიფის მოწყალებითაო", — ამბობდა ერთგან მღვდელმთავარი.

გაბრიელი წუხს იმის გამო, რომ მრევლში შენელდა სარწმუნოებისადმი კრძალვა და სიყვარული. ამ თვალსაზრისით ის ერთმანეთს უდარებს ძველ და ახალ დროებას. მართალიაო, — ამბობს იგი 1861 წლის 8 სექტემბერს გელათში წარმოთქმულ სიტყვაში — ჩვენი მამული წარსულში დაუძლურებული და დამცირებული იყო, მაგრამ „მაშინ უმეტესად ვიყავით განკრძალულ ღვთის-მსახურებას შინა". ახალ დროში კი ხალხი იმდენად გაუორგულდა ღმერთს, რომ თვით მღვდელმსახურთა შორისაც მომრავლდნენ ბიწიერი ვნებებით შეპყრობილნი. „გული გაგვიგრილდა ღვთის-მსახურებაზედ, სოფლებში განეფინა ბიწიერება და უსამართლობა, დაგვეკარგა ერთგულება, განქარდა სიყვარული, შეირყა ზნეობა," — ასეთია, გაბრიელის აზრით, შეულამაზებელი სახე მისი დროის საზოგადოებისა.

ხალხის ზნეობის გადაგვარებად მიაჩნია მღვდელმთავარს, მაგალითად, ის „საშინელი საქმე", რომლის მსგავსი „უწინ არა-ოდეს არ მომხდარა". ასეთი რამ არ მომხდარა იმ დროშიც, როცა

ურიცხვი მტერი აოხრებდა და აწიოკებდა ირგვლივ ყველაფერს. და ეს ხდებოდა იმის გამო, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იფარავდა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ თავის წილხვედრ ქვეყანას. „ხოლო აწ, ჟამსა მშვიდობისასა“ მოხდა საშინელი დანაშაული: ავაზაკებმა გაძარცვეს გელათის მონასტერში დასვენებული ღვთისმშობლის ხატი, მფარველი ძალა საქართველოისა. ამას ეპისკოპოსი ღვთისგან მოვლენილ სასჯელად მიიჩნევს, სამაგიეროდ იმ უზნეობისა, რომელიც ღმერთთან გაორგულებულ საზოგადოებაში აღზევებულა. „ვიდრემდის იყო ჩვენს შორის ერთგულება და კეთილზნეობა, ღვთისმშობელიცა მიიღებდა და იცავდა, მსხვერპლსა ჩვენსა, — ამბობს იგი, — ხოლო ოდეს განქარდა ერთგულება ჩვენი, განმრავლდა ორგულება ჩვენს შორის და დაიკარგა კეთილზნეობა, მაშინ უარ-ჰყო ყოვლადწმინდამან მსხვერპლი ჩვენი“ (I, გვ. 260).

ამდაგვარი თვალსაზრისი ახალი არ არის და, როგორც ცნობილია, იგი სხვებსაც გამოუთქვამთ ხოლმე. ამის დასტურად მკითხველს შევახსენებ დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირს“, სადაც დიდი პოეტი ქვეყნისთვის თავსდატეხილ უბედურებას იმ სასჯელად მიიჩნევს, რომელიც ღმერთმა მოუვლინა ქართველებს სარწმუნოებისადმი ორგულობისა და განდგომის გამო.

ქრისტიანული მსახურება მარტო პირჯვრის წერა როდია. „ყოველი მსხვერპლი და შესაწირავი ჩვენი, ყოველი სამკაული ხატთა და სიმდიდრე ტაძრისა მხოლოდ მაშინ არის სათნო და საყვარელ ღვთისათვის, ოდესცა გული ჩვენი მიქცეულ-არს მისდამი“ (I, გვ. 261). ცხოვრებაში პრაქტიკული გატარება ქრისტიანული პრინციპებისა, საქმით ერთგულება ღვთისადმი — აი, რა უნდა იყოს მთავარი. „შენს სახლში, შენს ოჯახში, შენს მისვლა-მოსვლაში — იქ მაჩვენე ქრისტიანობა შენი“, — მიმართავს მორწმუნეს გაბრიელი, თორემ მარტო ეკლესიაში მისვლა და ვითომცდა პირჯვრის გამოსახვა ეს არაფერს არ ნიშნავს. ორად გაყოფილ კაცის გულს ღმერთი არ მიიღებს. იგი მთლიანად მას უნდა შევწიროთ, რადგანაც „ვინც ერთსა მხოლოდ წამსა არის ღვთისა, მერმედ კვალად მისცემს თვისსა გულსა სოფელსა და ამაოებასა“, ვერც სოფელს შეეძინება და ვერც ღმერთს. ასეთია რწმენა გაბრიელ ეპისკოპოსისა.

გ. ქიქოძის ქადაგებათა დიდი ნაწილი ქრისტიანული საკულტო დღესასწაულებისა და წმინდანებისადმია მიძღვნილი. ამას თავისი კონკრეტული მიზანდასახულება ჰქონდა. ჯერ ერთი, ამ გზით, მღვდელმთავარი ხელს უწყობდა თავისი საეკლესიოს ვაცნობიერებას, უფრო საფუძვლიანად აცნობდა მრევლს ქრისტიანობის არსსა და ზნეობრივ პრინციპებს და, მეორე, ხალხს რწმენისადმი თაყვანისცემისა და თავგანწირვის იდეალურ მაგალითებს უსახავდა. „რისთვის დააწესა, ძმანო ქრისტიანენო, წმიდამან ეკლესიამან ესრეთი დღესასწაულობითი ხსენება წმიდათა მთავართა მოციქულთა, პეტრესი და პავლესი?“ — კითხულობს პეტრე-პავლობის დღეს წარმოთქმულ ერთ-ერთ ქადაგებაში ორატორი და თავადვე უპასუხებს: „მისთვის, რათა ჩვენ, ქრისტიანენი, გავიხსოვნებდეთ მათსა ცხოვრებასა და მათთა საქმეთა და იქითგან მივიღებდეთ სულიერსა სწავლასა და აღშენებასა... სწავლისა და ნუგეშისა მიღება მათითა მაგალითითა ახლა უნდა აღვასრულოთ ჩვენ სიტყვითა ამითა“ (I, გვ. 40).

ასეთი დიდი აღმზრდელობითი და დიდაქტიკური მნიშვნელობა აქვს ქრისტიანულ დღესასწაულებსა და წმინდანებისადმი თაყვანისცემას.

გაბრიელ ეპისკოპოსი ქადაგებათა ორ ძირითად სახეობას განარჩევს. პირველი ესაა იმგვარი ქადაგება, სადაც ორატორი გამოთქვამს მხოლოდ ისეთ აზრებს, „რომელნიცა არიან საზოგადონი, განყენებულნი ანუ განშორებულნი ცხოვრებისაგან და არავის პირდაპირ არ შეეხებიან“. ასეთი ქადაგებანი ნაკლებსასარგებლოდ მიაჩნია მას, რადგანაც ისინი „არავის არ გააჯავრებს“, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება დაწერილი იყოს „მჭევრმეტყველად, მაღალთა ლექსებთა შინა“.

ქადაგების მეორე სახეობად მღვდელმთავარი გამოყოფს ისეთ მოძღვრებას, სადაც ორატორი ცდილობს, რომ „სიტყვა მისი იყოს დაახლოვებული მსმენელთა მისთათანა... იყოს არა უქმი და განყენებული, მავალი ღრუბელთა ზედა, არამედ მახლობელ კაცთა, ცხოველ და გამოყვანილ თვით კაცის ცხოვრებისაგან, მისთვის, რათა ყოველმან კაცმან დაინახოს სიტყვათა შინა მისთა, ვითარცა სარკესა, მისი სულიერი მდგომარეობა“ (I, გვ. 202).

ვინც გ. ქიქოძის სიტყვებსა და მოძღვრებებს გაეცნობა, ნათლად დარწმუნდება იმაში, რომ იგი, პირველ ყოვლისა, სწორედ ასეთ

პრაქტიკულ მნიშვნელობას სძენდა თავის ქადაგებებს. მას არასოდეს უძებნია ფუჭი „მჭევრ-მეტყველება“ და ყოველთვის ცდილობდა „მარტივი სიტყვით შესულიყო მსმენელთა გულსა შინა“, დაეტოვებინა „მუნ რომელიმე კვალი“. ამიტომაცაა, რომ მის ქადაგებებში, როგორც ზნეობის სარკეში, შეულამაზებლად ირეკლება ადამიანური ცხოვრების ნაკლიცა და ღირსებაც. განსაკუთრებულ ყურადღებას გაბრიელი მაინც პიროვნების მანკიერებათა მხილებას აქცევდა, რადგანაც ამ მხილებით იგი ცდილობდა ადამიანის სულის გაჯანსაღებას და ღვთაებრივი რწმენის განმტკიცებას.

ამაზე ნათლად მეტყველებს მისი ქადაგებების ორი ტომი. თანამედროვეთა ცნობით, ეს მხოლოდ მცირე ნაწილი ყოფილა გაბრიელის მიერ წარმოთქმული სიტყვებისა და მოძღვრებებისა. მოსე ჭიქოძე ამბობს, ,,ხოლოდ მეათედიაო. ბევრ ქადაგებას თურმე ზეპირად წარმოთქვამდა, რაიმე ჩანაწერის გარეშე, რის გამოც ისინი სამუდამოდ დაეკარგა შთამომავლობას.

თავად ეპისკოპოსი ასე განსაზღვრავს თავისი ქადაგებების მიზანდასახულებას: „ჩვენ შევიტყვეთ, რა ნაკლულევანება და საჭიროება აქვსთ მცხოვრებთა ჩვენის ქვეყნისათა და გვსურს, რათა დავნერგოთ გულთა შინა მათთა რომელიმე ზრუნვა გამოცვლად მათის ზნეობისა და ყოფა-ქცევისა. მარად-ჟამს ყოველთა ადგილთა და სოფლებთა შინა ვამხილებდით ჩვენ ორთა საშინელთა და დამღუპველთა ჩვენთა ცოდვათა, ესე იგი უქმად დროების დაკარგვასა და ურთიერთშორის მტერობასა და განხეთქილებასა. თითქმის ყოველსა კაცსა ვაჩვენებდით მისსა საკუთარსა ნაკლულევანებასა“ (I, გვ. 203).

ამდაგვარი მხილების გამო გაბრიელს ბევრი უსიამოვნებაც შეხვედრია. „ჩვენმან სიტყვამან განამწარა რომელიმე პირიო“, — გულისტკივილით შენიშნავს იგი. ბევრს გამოუხატავს ეს უკმაყოფილება საჯაროდ. ცილიც მრავალჯერ დაუწამებიათ მღვდელმთავრისთვის. მაგრამ მას კარგად ახსოვდა ის ჭეშმარიტება, რომ პირში ნათქვამი შეულამაზებელი სიმართლე „ხშირად აღძრავს უკმაყოფილებასა და შფოთსა“ და მზად იყო ამ უსიამოვნების მისაღებად. ამას ავალებდა მას მოყვასისადმი უანგარო ქრისტიანული სიყვარული, სიყვარული, რომლის იდეალურ მაგალითს ადამიანებს თვით უფალი აძლევდა.

გაბრიელი ამ უსიამოვნების გამო კი არა, იმაზე წუხდა, რომ „სიტყვა ჩემი არის ერთობ სუსტი და უძლური... ნეტავი ვინმე მომცეს მე ისეთი სიტყვა, რომელი შევიდოდეს შინაგან მსმენელისა და გამოსცვლიდეს მის გულსა". ასე უპრეტენზიოდ და მოკრძალებულად აფასებდა იგი თავის საღვთისმსახურებლო ღვაწლს. მაგრამ, ამ თავმდაბლობის მიუხედავად, მას ურყევად და დაბეჯითებით სწამდა, რომ სიტყვა მისი იყო „ვულ-წრფელი და მომდინარე სიყვარულის და ერთგულების წყაროისაგან: თვით სულიერი მტერი ჩვენი, ეშმაკი რომ წარმოსდგეს აქა, — ამბობდა ორატორი, — იგიცა ვერ დაამტკიცებს, რომელ სხვა რაიმე მიზეზი აღძრავდეს ენასა ჩვენსა, ანუ იყოს ვითარიმე ორგულობა ჩვენ გულში" (I, გვ. 204).

ამდაგვარი განცხადების გაკეთება იმიტომაც გამხდარა აუცილებელი, რომ, ეტყობა, მისი ქადაგებებით გაღიზიანებულ და შეურაცხყოფილ პიროვნებებს თვით ეკლესიაში აუტეხიათ შფოთი და შეუტევიათ მქადაგებლისათვის. გაბრიელი კიცხავს მათ და გულნატკენი ეკითხება: „მაშასადამე, რისთვის მოახდინე შფოთი, ჰოი შენ ბოროტო კაცო! რისთვის აჩვენე შეურაცხება წმიდასა ამას ადგილსა? რათ აჩვენე სირცხვილი ეკლესიის კრებასა და სჯულსა ჩვენსა? რას იტყვიან ახლა ურწმუნონი? არ იტყვიან იგინი, რომელ მართლ-მადიდებელთა ესრეთ მცირედი აქვსთ სასოება და მორჩილება თვისის საკუთარის საყდრისა, რომელ არ ერიდებიან თვით ეკკლესიაში შფოთსა და უწესოებას? ეს სწვავს გულსა ჩემსა; სხვა არაფერი გვაწუხებს ჩვენ".

გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათა უმთავრესი მიზანი ღვთაებრივი ჰარმონისაა და ზნეობრივი სრულყოფის მიღწევაა. მქადაგებელს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ მიზნის მიღწევის გზაზე უნდა გაითვალისწინოს ადამიანმა. პიროვნებისთვის თავსდატეხილ ყოველგვარ უბედურებას იგი ღვთის გამოცანად თვლიდა. „ღვთისგან არის ისიც, — ამბობდა მღვდელმთავარი, — როდესაც შეგემთხვევა რომელიმე უბედურება, როდესაც შენ ხარ შეწუხებული ანუ სიკვდილითა, ანუ სიღარიბითა, ანუ სნეულებითა, ყოველთა ესრეთთა შემთხვევათა კაცნი ღვთის-მოშიშნი და ღვთის-მოსავნი მიიღებენ, ვითარცა ღვთისაგან მოვლინებულსა წოდებასა, შეიმუსვრიან გულთა თვისთა, დაემორჩილებიან სიმართლით დამსჯელსა

მარჯვენესა ღვთისასა და ცდილობენ, რომ სინანულითა, მოთმინებითა და მორჩილებითა გაისწორონ ცხოვრება თვისი და შეიქმნენ ღირსნი ღვთის მოწყალებისა“ (I, გვ. 218).

გაბრიელის ამ სიტყვებს განსაკუთრებული ძალა და შთამბეჭდაობა ჰქონდა იმიტომაც, რომ მათ ავტორს თვითონ მოუწყო ღმერთმა ასეთი უმკაცრესი გამოცდა, როცა ერთიანად დაუხოცა ცოლ-შვილი და ეულად დატოვა ამქვეყნად. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მას ცხოვრებაზე ხელი არ ჩაუქნევია, ყველაფერი ღვთის ნებად ჩათვალა და კიდევ უფრო მეტი ერთგულებით შეუდგა სარწმუნოებისა და საზოგადოებისადმი სამსახურს.

გ. ქიქოძის რწმენით, ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა, თავის თავში უნდა ეძებოს ყოველი განსაცდელის განშაპირობებელი მიზეზები. ამ შემთხვევაში იგი ერთი შეხედვით პარადოქსულ აზრსაც კი გამოთქვამს, როცა ამბობს, რომ „თითქმის გარეშე განსაცდელისა არც კი შეიძლება სულიერი წარმატება. განსაცდელი აღამაღლებს აზრსა და განწმენდს ცნობასა, გაგვისწორებს ზნეობასა“ (II, გვ. 241). ასე რომ, ადამიანი „მაშაცად“ უნდა შეხვდეს განსაცდელს, სულით არ დაეცეს და მისგან ზნეობრივი სარგებლობა მიიღოს. ასეთია რწმენა ათას ჭირში გამოვლილი ეპისკოპოსისა.

გ. ქიქოძის ქადაგებათა დიდი ნაწილი ადამიანურ მანკიერებათა მხილების მძაფრი სულისკვეთებითაა გამსჭვალული. ცხოვრებისეულ ბიწიერებათა ამ მხილებას ორატორი განზოგადებულ ხასიათსა სძენს და კონკრეტული შინაარსითაც აღბეჭდავს ხოლმე. ბიბლიიდან მოტანილი მაგალითებით იგი სამწყსოს განუმარტავდა ბოროტების სულისწამწყმედ არსს, ხოლო კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტებით ამ ზოგად საუბარს მეტ შთამბეჭდაობასა და დასაბუთებულობას სძენდა.

მანკიერებათა დაგმობის დროს მღვდელმთავარი ემყარებოდა იმის ღრმა რწმენას, რომ ადამიანში შინაგანად ყოველთვის გაცილებით უფრო ძლიერია სიკეთისა და პატიოსნების გრძნობა, ვიდრე ბოროტების საწყისი. ამიტომაც ცდილობდა იგი, მორწმუნეთა გულში განემტკიცებინა შეგნება იმისა, რომ „ქვეყანაზედ არ იპოვება ისრეთი კაცი, რომელმანც არ იცოდეს განრჩევა შორის ცოდვისა და მადლისა, სიცრუისა და სიმართლის. ყოველი კაცი ხშირად სცოდავს, გარნა, ვგონებ, ისრეთი ადამიანი არ იპოვება ქვე-

ყანაზედ, რომელსაცა თავის ჰაზრში და გრძნობაში მაინც სიმართლე და მადლი არ ერჩიოს სიცრუესა და ცოდვასა. თვით უკანასკნელი და ყოვლადვე გარყვნილი, ყოველ ბოროტებაში გამოსული კაცი რომ მოვიყვანოთ მაგალითად, ისიც კი ზოგჯერ გრძნობს მწუხარებასა თავის თავზედ: მაშასადამე კაცს ბუნებაში ახლაც არის თესლი ღვთის სასუფეველისა" (I, გვ. 225).

აი, სწორედ ადამიანის ეს შინაგანი სიწრფელე და მოწოდება — იდგეს სიმართლის მხარეზე — მიაჩნია გაბრიელს იმ საფუძვლად, რომელსაც უნდა დავემყაროთ უკეთურების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ორატორის აზრით, თვით ყველაზე დაცემულ და გარყვნილ ადამიანშიც კი ბუდობს სიკეთისა და სიმართლის ეს გრძნობა, ძევს თესლი „ღვთის სასუფევლისა". რომელიც უნდა გავაღვივოთ და მისგან სიკეთის მადლი აღმოვაცენოთ. გაბრიელის ქადაგებანი, მთელი მისი საღვთისმსახურებლო მოღვაწეობა, უანგარო და თავდადებული ღვწაა სწორედ ამ ღვთაებრივი თესლის გასაღვივებლად და მისგან სიკეთის ნერგის აღმოსაცენებლად.

ამასთან, ორატორი არასოდეს, თავის არც ერთ გამოსვლაში, არ წყდება ცხოვრებისეულ რეალობას, არ არბილებს წინააღმდეგობებს, რადგანაც კარგად იცის, რომ წუთისოფელში ცოდვა და მადლი, სიმართლე და სიცრუე, ერთმანეთშია არეული. „ცხოვრება ადამიანისა, — აღნიშნავდა იგი, — ბრუნავს, ვითარცა ურმის თვალი, და ამასთანვე ბრუნავენ და იძვრიან ქვეყანაზედ ცოდვა და მადლი" (I გვ. 226). ადამიანზეა დამოკიდებული, ვის ემსახურება და ვის გაიხდის ცხოვრების იდეალად — მადლს თუ ცოდვას.

საზოგადოებას გაბრიელი სამ ძირითად ნაწილად ყოფდა. პირველ ნაწილს, რომელიც, სამწუხაროდ, „ფრიად მცირეა", იგი იმათ მიაკუთვნებდა, ვისი გულიც „სრულებით განუყოფელად ეკუთვნის ღმერთსა, მარად ჟამს ჰფიქრობს ღვთის-მსახურებასა ზედა, ერთგულად და შეურყეველად ასრულებს საღმრთოსა მოვალეობასა თვისსა" (I, გვ. 230). საღმრთო წერილში ამათ ეწოდებათ მარილი სოფლისა, ნათელი ქვეყნისა, თესლი წმიდა, რჩეული ღვთისა.

საზოგადოების მეორე ნაწილს, რომელთაც გ. ქიქოძე გამოჰყოფს ქრისტიანთა შორის, მხოლოდ სახელად უწოდებენ ქრისტიანებს და მარტო ამქვეყნიური, მიწიერი ვნებებით არიან შეპყრობილნი, ისინი „პატივს-ჰსცემენ და ემსახურებიან მხოლოდ მა-

მონასა“ და მათი გული სრულიად „გრილ-არს ღვთის-მსახურებაზედ“, მესამე ნაწილს კი შეადგენენ ის ადამიანები, „რომელნი ირყევიან შორის ორთა უფალთა, ღვთისა და მამონისა, რომელთა, თუმცა არ ჰსურთ მონება ღვთისა, გარნა ვერ გადუგდიათ უღელი მამონისა“.

გაბრიელ ეპისკოპოსი თავის ღვთაებრივ მოვალეობად მიიჩნევდა დახმარებოდა ამ ადამიანებს, განთავისუფლებულიყვნენ ისინი „ორთა უფალთა“ მონობისაგან და ეპოვათ სულის ხსნის ჭეშმარიტი გზა.

მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ორატორი ადამიანს მოუწოდებდა ზურგი ექცია ყოველივე ამქვეყნიურისა და მიწიერისადმი და მხოლოდ სარწმუნოებრივი დოგმებით შებოჭილიყო. გაბრიელი, როგორც ითქვა, რეალისტური თვალთახედვით უდგება მოვლენებს და ასეთ უკიდურესობამდე არასოდეს არ მიდის. იგი მიწიერი ცხოვრების შუაგულში დგომასაც უფლის ნებად თვლიდა და არაორაზროვნად უქადაგებდა ადამიანებს: „უფალი არ მოითხოვს შენგან, რომ დაუტევო ყოველი ზრუნვა და ფიქრი სოფლიური; სხვა არის ზრუნვა და ფიქრი ხორციელისა ცხოვრებისათვის და სხვა არის მონება სოფლისა. უფალი მოითხოვს შენგან — არ დაემონო სოფელსა ანუ მამონასა ისრეთ, ვითარცა ღმერთსა; უფალი და ბატონი შენი იყოს მხოლოდ ღმერთი“ (I, გვ. 232). ასეთი იყო მისი, როგორც ღვთისმსახურის, თვალსაზრისი, რომელიც, როგორც ვხედავთ, სრულებით არ ქადაგებს ცხოვრებისგან განდგომას.

გ. ქიქოძეს არაერთხელ გამოუხატავს წუხილი იმის გამო, რომ ადამიანებს გაუნელდათ ქრისტიანული სიყვარული ერთმანეთისადმი. მათ დაივიწყეს უფლის მიერ შთაგონებული ჭეშმარიტება, მოყვასისადმი სიყვარული იგივე ღვთის სიყვარული რომაა. ამის დასტურად მას მოჰყავს ერთი ასეთი კონკრეტული მაგალითი: „მახლობლათ ჩვენი ქალაქისა, ერთი შორი სოფლითგან მოსული კაცი მოდიოდა გზაზედ“. დაუძლურებულს ვერსად ეშოვნა თავშესაფარი, გზის პირას დაცემულა და უპატრონოდ გდებულა ათი დღის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე რამდენმა ჩაუარა მას გვერდით, მაგრამ ერთმაც კი არ აღმოუჩინა შემწეობა, ერთმაც კი არ იფიქრა, რომ „ის არის ადამიანი, ძმა მისი და ღმერთი გვიბრძანებს ჩვენ: „შეიყვარო მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი“ (I, გვ.

295). აქედან განსაჯეთ, გვაქვს თუ არა ჩვენ კაცთმოყვარეობაო, — დაასკვნის ამ ფაქტით გულნატკენი ეპისკოპოსი. მის წუხილს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ მსგავსი მაგალითები საძებარი არაა და „თითქმის საზოგადო ჩვეულებაა ჩვენში". ასეთ საზოგადოებაში დეგრადირებულია და ჩამკვდარი ადამიანური სინდისი — ეს „უხილავი მსაჯული, მჯდომარე გულსა შინა ყოველსა კაცისასა". კაცობრიობის ხსნა ადამიანის სულში მთვლემარე ამ უხილავი მსაჯულის გამოფხიზლებაა. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, ღვთაებრივი სიყვარული მხოლოდ მაშინ იზეიმებს ჩვენს გულებში, როდესაც კაცი პირმოთნეობითა და ანგარიშით კი არ ჩაიდენს სიკეთეს, არამედ სულის კარნახითა და რწმენის მოწოდებით.

გ. ქიქოძის თეოლოგიური მოძღვრება ხშირად კონტრასტულ მცნებათა დაპირისპირების შედეგად ვლინდება ხოლმე. მკადაკვეული ერთმანეთს უდარებს საწინააღმდეგო მსოფლმხედველობრივ პოლუსებზე მოთავსებულ ზნეობრივ პრინციპებს. უმადურობას სულგრძელობა უპირისპირდება, ღალატს — ერთგულება, ცოდვას — მადლი, შურისგებას — მიმტევებლობა, ანგარებას — უანგარობა... ეს მარადიული ზნეობრივი ღირებულებანი, რომლებიც ყოველ დროსა და ეპოქაში აღელვებდა კაცობრიობას, ცენტრალურ ადგილს იჭერენ გაბრიელის თეოლოგიურ მოძღვრებაშიც.

ორატორი ცდილობდა ამ ცნებებთან დაკავშირებული ცნობილი ჭეშმარიტებანი ემოციური შთამბეჭდაობითა და მკვერმეტყველებით მიეტანა მსმენელამდე. იგი ენციკლოპედიური ყოვლისმომცველობით, მოკლედ და ამომწურავად, განმარტავდა და ახასიათებდა ყველა იმ ძირითად ნიშან-თვისებას, რაც ამა თუ იმ ზნეობრივი კატეგორიისათვის არის დამახასიათებელი. ამის გაკეთება იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ ორატორს თავისი განმანათლებლური ქადაგებებით გაეოსელა უწევდა ფართო აუდიტორიის წინაშე.

ამდაგვარი საუბრებით იგი ცდილობდა აემაღლებინა საზოგადოების თვითშეგნებისა და განათლების დონე. ამ მიზნით, საღმრთო წიგნებიდან მოტანილი მაგალითების გვერდით, მას თავის სიტყვებსა და მოძღვრებებში მეცნიერული განსჯის ელემენტებიც შემოჰქონდა ხოლმე, რითაც ესწრაფვოდა გამოეყვანა ხალხი ცრუმორწმუნეობისა და უმეცრების ტყვეობიდან. ქრისტიანული საკულტო

წეს-ჩვეულებების დახასიათებასთან ერთად, ორატორი მრევლის უურადღებას ხშირად ისეთ მავნე მოვლენებსაც მიაპყრობდა, როგორებიცაა: მკითხაობა ანუ მარჩიელობა, ჭორაობა, ენატანიაობა, კერპთმსახურება და ა. შ.

ამდაგვარი უმეცრებიდან ხალხის დახსნის ერთადერთ გზად გაბრიელი განათლებას მიიჩნევდა. ამიტომაც მოუწოდებდა ის ხალხს მეტი დაინტერესება გამოეჩინათ სწავლისადმი. უსწავლელ ადამიანსო, — ხშირად მოძღვრავდა ორატორი მრევლს, — აწუხებენ „ათასნი ცრუნი აზრნი, უსაფუძვლონი შიშნი". იგი ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რაც შეიძლება აემაღლებინა სწავლისადმი ინტერესი და პატივისცემა მოსახლეობაში.

გ. ქიქოძის ქადაგებებში მოყვასისადმი გამოხატული ქრისტიანული სიყვარული უაღრესად ფართო მასშტაბების მომცველია და არაა შემოფარგლული ადამიანთა ეროვნული და სარწმუნოებრივი განსხვავებულობით. მოყვასის ცნებაში იგი, საზოგადად, ადამიანს, მთელ კაცობრიობას გულისხმობდა და ღრმად სწამდა, რომ „ყოველნი ტომნი და თესლი კაცთანი შთამომავლობენ ერთისა წინაპრისა ადამ და ევასაგან, მაშასადამე, არიან ძმანი და მოყვასნი". ამის დასტურად მოს მრავალი მაგალითი მოაქვს ბიბლიიდანაც და უშუალოდ ცხოვრებისეული სინამდვილიდანაც, რითაც ცდილობს გაღვივოს ადამიანებში მოძმისადმი სიყვარული.

ერთ-ერთი ასეთი მაგალითია შემდეგი ეპიზოდი სახარებიდან: ერთი ებრაელი კაცი იერიქონიდან იერუსალიმში მიდიოდა. მას თავს დაესხნენ ავაზაკები. გაძარცვეს, დაჭრეს და ცოცხალ-მკვდარი მიატოვეს გზაზე. ჩამოიარა ერთმა მღვდელმა, ნახა დაჭრილი, მაგრამ უურადღება არ მიაქცია. შემდეგ ებრაელთა ტაძრის მსახურმა, ლევიტელმა, გამოიარა, არც მან მიხედა გაჭირვებულს. ბოლოს გამოჩნდა ვინმე სამარიტელი, კაცი უცხოელი და „ებრაელთაგან ფრიად შეძულებული", შეებრალა დაჭრილი, მოუარა, წყლულები დაუამა და „შთააბარა იგი სახლისა უფალსა". გაბრიელი ასე განუმარტავს მრევლს ამ იგავის ქვეტექსტს. ამ დაჭრილ და გზაზე უპატრონოდ მიგდებულ კაცში მთელი „კაცობრივი ნათესავი" იგულისხმება, ხოლო სამარიტელი უფალს ნიშნავსო.

სამარიტელმა, მიუხედავად იმისა, რომ დავრდომილი ებრაელი იყო, „მაშასადამე. მტერი და მოშურნე მისისა ტომისა", მოწყალება უყო გაუბედურებულ ადამიანს, რითაც მან აღასრულა

მცნება უფლისა; თუმცა იმ დაჭრილისგან ვერავითარ სამაგიერო სიკეთეს ვერ მიიღებდა. გაბრიელის აზრით, სწორედ ეს არის „საქმით აღსრულება მოყვასობის მცნებისა". მართალია, მღვდელი და ლევიტელი სიტყვით შესანიშნავად განმარტავდნენ ხოლმე მოყვასისადმი სიყვარულის რაობას, მაგრამ საქმით, როცა ამ სიყვარულის პრაქტიკული ხორცშესხმა იყო საჭირო, არაფერი გააკეთეს.

ეს ერთი მაგალითიც მკაფიოდ გამოხატავს მღვდელმთავრის თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ სიკეთის ქმნა და მოყვასისადმი სიყვარული არ უნდა შემოიფარგლებოდეს სარწმუნოებრივი და ეროვნული განსხვავებულობით. ამის შესახებ გაბრიელის ქადაგებში ხშირადაა ყურადღება გამახვილებული. ამ შემთხვევაში იგი მრევლს განუმტკიცებდა რწმენას იმისას, რომ „ქრისტიანული მოწყალება არის ბუნებითი გრძნობა კეთილი კაცის გულისა, უმეტესად განღვიძებული და გაღონიერებული სარწმუნოებითა" (II, გვ. 221). ამიტომაც, ქრისტიანი კაცი მოვალეა თვით მოსისხლე მტერსაც კი უყოს სიკეთე, „ვინც გინდა იყოს იგი, თუ გინდ მახლობელი და მონათესავე კაცი, თუ გინდ უცხო, უცნობელი და სხვა სჯულის კაცი, ურია, გინდა თათარი". ასეთი რჯულშემწყნარებლობა ხაზგასმითაა წინა პლანზე წამოწეული გ. ქიქოძის თეოლოგიურ მოძღვრებაში.

შემდეგი ფაქტორი, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ორატორი მოყვასისადმი სიკეთის გამოვლენის დროს, ესაა მოწყალების უანგაროდ აღსრულება. იგი გმობს იმ ადამიანთა მოქმედებას, რომლებიც მათ მიერ „მდიდრად და უხვად" გაღებულ მოწყალებას ქვეყანას მოსდებენ, ბუკსა და ნაღარას დასცემენ, გაზეთებში გამოაცხადებენ. გაბრიელის რწმენით, ამით მოწყალება ჰკარგავს ქრისტიანულ ხასიათს და უფრო ვაჭრობას ემსგავსება, რადგანაც იგი ანგარებითა და პატივმოყვარეობით კეთდება.

საერთოდ, პატივმოყვარეობა მას ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ საშიშ ცოდვად მიაჩნია. თავისი დროის საზოგადოებას, გაბრიელის აზრით, ეს სენი იმდენად მოსდებია, რომ „სათნოებითა, ჭკუითა და ქვეყნის სარგებლობითა არავინ არ ჰფიქრობს და არ ეძიებს თავის გამოჩენას" (II, გვ. 236). პატივმოყვარეობით შეპყრობილი ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ჩინ-მედლები მიიღონ მთავრობისაგან და საამისოდ არაფერს არ ზოგავენ.

ამის დასტურად ორატორი იხსენებს ერთ მაგალითს იმ შფოთისას და დავიდარაბისას, ქუთაისში რომ ატეხილა ჩინის მაძიებელთა შორის. რა იყო ამ ამბოხების მიზეზი? — გულისტკივილით კითხულობს მღვდელმთავარი, — ნუთუ ის „ერთი მტკაველი სირმა, რომელსა დააკერებენ მხრებზე, ღირს იმად, რომ კაცმა თავისი მამული დახარჯოს, ან სასოწარკვეთილებაში შთავარდეს?“ გაბრიელი საკმაოდ კონტრასტული და ემოციურად შთამბეჭდავი ფერებით უხატავს მრევლს „ამაოებით აღვსებული იმ საცოდავი კაცის“ სულიერ უბადრუკობას, ვისაც მიწიერი პატივის ძიებამ ზნეობა გაუფუჭა და სული დაუმდაბლა. „ღმერთო, ზეციერო! — დაასკვნის გულნატკენი ორატორი, — ვის შეუძლია გაჰზომოს ჩვენი ამაოება, სისაწყლე, რეგვნობა?.. ზნეობის გაწმენდა ტალახისაგან, რომელსა შინაა შთაფლული ვართ“...

გ. ქიქოძის ქადაგებებში მძაფრად ვლინდება კაცობრიობის მარადიული სევდა ე. წ. „აღუვსებელი საწყაულის“ გამო, ფილოსოფიური განსჯა ამქვეყნიური ყოფის ამაოებისა. იგი ცდილობს ბიბლიიდან მოტანილი მაგალითებითა და ცხოვრებისეული გამოცდილების განზოგადებით მრევლისათვის უფრო ნათელი და მისაწვდომი გახადოს მარადიულ ფილოსოფიურ ჭეშმარიტებათა არსი. გაბრიელი, როგორც ითქვა, ცხოვრებას მოწყვეტილი მღვდელმსახური არ ყოფილა და კარგად იცნობდა ადამიანის სულიერ სამყაროს. მან შესანიშნავად იცოდა, რომ ძლივს შეიძლება ქვეყანაზე ისეთი კაცის პოვნა, „რომელიც არ დრტვინავდეს, არ სტიროდეს, არ სჩიოდეს თავის ხვედრზედ“ (II, გვ. 193). ამის დასტურად მას მოჰყავს მაგალითი ერთი მეფისა, რომელმაც ქუჩაში სეირნობისას დაინახა, რომ რამდენიმე მუშა სადილად იჯდა, პურისა და წყლის მეტი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ისე მხიარულად იყვნენ, რომ მეფეს შეეხარბა მათი, ტირილი დაიწყო და თქვა, არასოდეს ასე მხიარულად არ მისადილიაო.

ბედით ბოლომდე კმაყოფილი და მიზანმიღწეული ადამიანი რომ არ არსებობს, ამის დასტურად ორატორი სოლომონ ბრძენსაც და ალექსანდრე მაკედონელსაც უსახელებს მრევლს. უზარმაზარი იმპერიის შემქნელი მაკედონელი მთელი დედამიწის დაპყრობაზე ოცნებობდა, ხოლო სოლომონი, რომელსაც თითქოს ყოველგვარი ბედნიერება ჰქონდა მოპოვებული, რასაც კი კაცის გული ინატრებდა, მაინც მოწყენილი იყო და დრტვინავდა: „ამაობა ამაოთა

და ყოველივე ამაო არსო“ (II, გვ. 193). „მარადი უკმაყოფილებისა და დრტვინვის“ ამ ფილოსოფიურ განსჯაში თავისებურად ირეკლებოდა კაცობრიობის დასაბამიდანვე ადამიანთა მოდგმისთვის თანამდევი სევდა ცხოვრების ამაოების შეცნობისა.

ქართული მწერლობისათვის ეს სევდა კარგად ‘ნაცნობი თემა იყო. აქ, ამის დასტურად, მარტო ნ. ბარათაშვილის გახსენებაც იკმარებდა. მაგრამ „ფიქრნი მტვრის პირაში“ გამოვლენილ ამ პრობლემის რეალისტურ განსჯას და ცხოვრების ამაოებისაგან თავდასახსნელ გზათა ამქვეყნადვე ძიებას გაბრიელმა, როგორც ღვთისმსახურმა, სარწმუნოებრივი ახსნა მოუძებნა და ცხოვრების ამაოებისაგან განსათავისუფლებელ გზად საღმრთო მცნებებისადმი ერთგულება მიიჩნია. ამქვეყნიურ ბედნიერებაზე მარადიულად მეოცნებე კაცი, მისი აზრით, „ადვილად დაჰკარგავს საუკუნო ცხოვრების ნეტარებასაც. ეს მისთვის, რომ იმას შეუმცირდება სარწმუნოება, დააკლდება სასოება, კარგად ვერ ილოცავს, ღვთის სიყვარული აღარა აქვს, ყოველი მოყვასი ეძაგება“.

ამ სნეულების განმაკურნებელ ძალად მას სახარება, ქრისტეს ‘ჯული, მიაჩნია. მიწიერი ცხოვრების პირობებში ადამიანმა სიცოცხლის ამაოების სევდას, სარწმუნოებასთან ერთად, კეთილ საქმეთა კეთებით უნდა სძლიოს. მხოლოდ ასე შეიძლება „აღვაშენოთ ჩვენი ბედნიერება და კეთილი მდგომარეობა“ ჩვენივე შრომითა და მეცადინეობით. ამ შეგონების მნიშვნელობა მით უფრო ‘ზრდება, რომ, გაბრიელის აზრით, ქართველი კაცის ხორციელი ‘ენება „ერთობ მიდრეკილია და მსურველი ზარმაცად და უქმად ‘როების გატარებისა“ (II, გვ. 195). იგი წუხს იმის გამო, რომ ‘ევრ ჩვენთაგანს დავიწყებული აქვს ერთი საყოველთაოდ ცნობი‘ი ჭეშმარიტება: შრომა არის საძირკველი ადამიანთა ბედნიე‘ებისა და კეთილდღეობისა.

როგორც ვხედავთ, ეპისკოპოსი ღრმად იცნობს ადამიანის ბუ‘ებას და შეულამაზებლად წარმოაჩენს მისთვის დამახასიათებელ ‘რსებებსაც და მანკიერებებსაც. მან კარგად იცის, რომ „პატივის ‘ მთავრობის მოყვარება ღრმად არის დანერგული“ ყოველი ხორ‘ელი კაცის სულში. „ამ ვნებას შობიდგან ვიდრე სიკვდილამდე ‘ონება თითქმის ყოველი კაცი“ (II, გვ. 109), რადგანაც იგი არის ‘ენებითი თვისება კაცისა“. ამიტომაც მისი მთლიანი ამოძირკვა ‘ამიანის შეგნებიდან, გაბრიელის აზრით, შეუძლებელია. არც

ქრისტიანული რწმენა მოითხოვს მის სრულ „განქარვებას“ კაცის ბუნებისაგან, „არამედ მისცა მას სხვა მიმართულება, განსხვავებული სახით გვაჩვენა ჩვენ ძიება პატივისა და მთავრობისა“ (II, გვ. 106). ეს მიმართულება, სახარების ენით, ასეთია: „რომელსა უნდეს დიდ-ყოფა თქვენს შრომის, იყოს ყოველთა მონა“.

ორატორი შეაგონებს სამწყსოს, რომ, ქრისტიანული რწმენის მიხედვით, კაცი პირველობასა და ძმათაგან გამორჩეულობას უნდა ეძიებდეს არა „ძალადობით, შეშინებითა და ბოროტის ყოფითა, არამედ სიყვარულითა“. ეს არის ადამიანის პიროვნული ამაღლების ის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა, რომელსაც გვასწავლის მაცხოვარი. ეს არის ქვეყნის სამსახური, ერის წინამძღოლობა „ყოველთა წმინდა საქმეთა შინა“, სარგებლობის მოტანა სოფლისათვის.

გ. ქიქოძე ხშირად ქადაგებს სასულიერო და საერო წოდებათა ერთობასა და განუყოფელობას. ჩვენი საზოგადოების სულიერი წარმატებისა და განათლების აუცილებელ პირობად მას, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს ერთობა და „მინდობილობა“ მიაჩნია „მღვდელთა და ერთა შორის“. სამწუხაროდ, იგი ხედავდა, რომ ეს ერთობა საზოგადოებაში არ სუფევდა. ამაში ის ბრალს დებდა არა მარტო საერო წოდებას, არამედ სასულიეროსაც, რომელთა შორისაც, მისი სიტყვით, საკმაოდ იყვნენ „დასაწუნარნი და გასამტყუნებელნი“. ეს გარემოება მას ქვეყნისთვის დიდ სირცხვილად და უბედურებად მიაჩნია (I, გვ. 388).

გაბრიელის მიერ წარმოსახულ იდეალურად სრულქმნილ და ჰარმონიულ საზოგადოებაში ერი და ბერი ერთმანეთისაგან განუყოფელი ინტერესებით უნდა ცხოვრობდნენ. გმობდა რა სასულიერო წოდებაში შეპარული ზოგიერთი მღვდელმსახურის შურს, სიხარბესა და გამომძალველობას, იგი საზოგადოებას არწმუნებდა იმაში, რომ ჭეშმარიტი სასულიერო პირი უანგარო მსახურია ქვეყნისა. ეპისკოპოსი განუმარტავდა მრევლს, რომ ეკლესიაში შესული შეწირულობანი „მრავალ კეთილ და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს“ ხმარდებოდა. ამ ფულით ეწყობოდა სასწავლებლები, „რომელთა შინა იზრდებოდნენ და სწავლობდნენ თითქმის უმეტეს ოცი ათასი ყმაწვილისა. მათ შორის თითქმის ნახევარი იყვნენ ობლები“ (II, გვ. 148). ასე გრძელდება ეკლესიაში შემოსული ფულით გაკეთებულ კეთილ საქმეთა დახასიათება. ბოლოს კი ორატორი და-

ასკვნის: „ახლა, ძმაო, იფიქრე და წარმოიდგინე, ერთად რაოდენი კეთილი და მოსაწონი კერძო აქვს ამ ჩვეულებას, ესე იგი, სანთლის ანთებას, რაოდენი კეთილი და სასარგებლო საქმე შეუდგება მას!“

მაგრამ გაბრიელის გულისტკივილს დიდად ზრდიდა ის გარემოება, რომ მის დროს საზოგადოებაში საკმაოდ მომრავლებულიყვნენ რწმენაგაპარტახებული ადამიანები, რომლებიც სოფლის ამაოებით იმდენად იყვნენ გონარეულნი, საერთოდ, აღარ ახსოვდათ ღმერთი და მისი მადლი. ისინი არავითარ საკულტო წესს არ იცავდნენ და სულის ცხონებაზე ერთხელაც კი არ დაფიქრდებოდნენ.

ამ ურწმუნოების განმაპირობებელ ერთ-ერთ ძირითად მიზეზად გაბრიელი იმასაც მიიჩნევდა, რომ ჩვენში სათანადო დონეზე არ იდგა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმე. ცუდმა აღზრდამ და გაუნათლებლობამ კი ხალხი დაამდაბლა და გადააგვარა ზნეობრივად. ამის შესახებ ეპისკოპოსი გულისტკივილით ესაუბრება მრევლს თავის ერთ-ერთ მოძღვრებაში, რომელიც მან 1879 წლის 18 მარტს წარმოთქვა ქუთაისის საკათედრო ეკლესიაში ხარებისა და ბზობის დღესასწაულებთან დაკავშირებით.

წინა წელიწადს, ზაფხულში, გელათის მონასტერს მთვრალი ახალგაზრდების ჯგუფი წვევია. გაბრიელი გულისტკივილით უამბობს მრევლს მათი უწესო საქციელის შესახებ. ტაძარში შესულებს ერთი აურზაური აუტეხიათ. სუყველანი რუსულად ლაპარაკობდნენო, — შენიშნავს ორატორი და განაგრძობს: „როდესაც გავიხსოვნებ ამ ამბავს, მწუხარებით ვკითხავ ჩემს თავს: რას ვშვრებით? სად მივდივართ? რას ვსწავლობთ? საიდგან მიიღეს და და ვისგან ისწავლეს ამისთანა ზნეობა ახალგაზრდა ყმაწვილთა კაცთა? (II, გვ. 309).

გაბრიელი წუხს იმის გამო, რომ ღვთის რწმენასთან ერთად ამ გადაგვარებულმა ქართველებმა ეროვნული სახეც, ადამიანური ზნეობაც დაჰკარგეს. „რაც კარგი და მოსაწონი იყო ძველს დროებაში და ცხოვრებაში, — განაგრძობს იგი, — ივიწყებენ; ნაცვლად მისა ეჩვევიან ყოველისფერს ცუდს და საძაგელს. წმიხდად დიპატივის საცემლად მათ აღარაფერი არ მიაჩნიათ, ყოველნი ხორციელნი ვნებანი აშვებულნი აქვსთ და აღვირ-აუსხმელნი, გულდიდნი კი არიან, რომ განათლებულნი ვართო, რაღაც გვისწავლიაო“. გ. ქიქოძის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან, საერთოდ, გასული

საუკუნის ჩვენი მოწინავე მამულიშვილების შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან, ნათლად ჩანს ის მიზეზები, რომელთაც ეროვნული გადაგვარების უფსკრულისაკენ დააქანეს ჩვენი ერი. მათგან უპირველესი ჩვენს სამშობლოში მოყვრისა და მფარველის ნიღაბმორგებული გადამთიელის მოსვლა და გაბატონებაა, ვინც ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ეროვნული ზნეობისა და ტრადიციის ამოძირკვას და მის სანაცვლოდ საკუთარი ზნე-ჩვეულებების დამკვიდრებას.

საზოგადოებაში მომრავლდნენ ისეთი სულმოკლე ადამიანები, რომლებიც პირად კეთილდღეობაზე ზრუნვას უყოყმანოდ სწირავდნენ ყველაფერს. ისინი თანამოძმეთა „საიდუმლო შესმენითა და დაბეზღებით“ ცდილობდნენ მთავრობის გულის მონადირებას. გაბრიელი მწუხარებით გვაუწყებს, რომ „ამისთანა ვნება“ ერთობ გავრცელებულია ქვეყანაში.

ასეთი ბეზღობის ობიექტად არაერთხელ ქცეულა თავადაც. „ოცდასამი წლიწადი ვარ მე ამ სამწყსოში, — აღნიშნა მან ერთ თავის სიტყვაში, — და ვგონებ, ნამეტანი არ იქნება, რომ ვსთქვა, ორასი მაინც, თუ არა მეტი დაბეზღება და შესმენა მიუვიდა ჩემზე უმაღლეს მთავრობას. რა ცოდვა და უსჯულოება არ მომაწერეს იმ დაბეზღებაში!“ (II, გვ. 417). გაბრიელი, როგორც მღვდელმსახური, თავადაც მიუტევებდა მათ ამ ადამიანურ სულმდაბლობას და სხვებსაც მოუწოდებდა სულგრძელობისაკენ, რადგანაც უფალი იესო ქრისტე მორწმუნე კაცს თვით მტერზედაც კი არ აძლევს შურისძიების ნებას. ცილისმწამებლებს სასჯელად ისიც ეყოფათ, „საკუთარი ხელით რომ სწერენ სიგელს თავისი ცოდვისასო“, — დაასკვნის ეპისკოპოსი.

ერთი სიტყვით, ორატორს თავის ქადაგებებში უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ერთი მანკიერება, რომელსაც ადამიანის სულში ღვთისგან განდგომა აღაზევებს. გ. ქიქოძის ქადაგებანი რეალისტური თვალთახედვით გვიჩვენებენ ყველა იმ ცოდვას, რომელიც დაეუფლება იმ კაცის არსებას, ვინც „განშორდება ზეციერსა მამასა, აიგდებს უღელსა საღმრთოისა სჯულისასა, დაგლახავდება, დაეცემა და დამახინჯდება, სულიერად დაემსგავსება უწმინდურსა პირუტყვსა“. ყოველივე ამას ორატორი კონტრასტული სიმძაფრით წარმოსახავდა მრევლთან თითქმის ყოველი შეხვედრის დროს, რითაც თავის სამწყსოში განამტკიცებდა „ზნეობით მდგო-

მარეობას“ და ადამიანებს ნათლად შეაგნებინებდა საფრთხეს იმისას, როგორ „წაახდენს და გააფუჭებს ცოდვა და ღვთისგან გაშორება კაცსა“ (II, გვ. 11-12).

გ. ქიქოძის თეოლოგიური მოძღვრება დამაჯერებელი ცხოვრებისეული არგუმენტებით გვისაბუთებს, რომ ადამიანის ყოველდღიური ყოფა სულისა და ხორცის მარადიული ჭიდილია. თუ კაცმა სხეული აუშვა და გაანებივრა, იგი გადაიქცევა „ბუდედ ყოველთა ცოდვათა“, დაიმონებს სულს და დალუპავს მას. საყოველთაოდ ცნობილი ამ სარწმუნოებრივი დებულების სისტემატური ახსნა-განმარტებებით გაბრიელი ცდილობდა უფრო მეტად განმტკიცებინა მრევლის შინაგანი ნებისყოფა და განესპეტაკებინა მისი სული.

თავისებური ფორმით ირეკლება გაბრიელის ქადაგებებში მოქმედების, სიტყვისა და საქმის ერთიანობის ილიასეული პროგრამა. ორატორი ხაზგასმით შთააგონებს საზოგადოებას, რომ მაცხვარი ჩვენგან მარტო სიტყვას კი არა, მოქმედებას მოითხოვს, „მოძრაობასა და არა მხოლოდ უქმსა გულის სიტყვასა და უნაყოფოსა გრძნობასა... იქნება, შენ, ძმაო, მრავალი კეთილი განზრახვა გქონდა გულში, მრავალი და პატიოსანი სიტყვა სთქვი, მშვენიერი სურვილი გამოიჩინე, გარნა თუ განზრახვა შენი არ აღასრულე, სიტყვა საქმედ არ აქციე, სურვილი სისრულეში არ მოიყვანე, მაშინ შენ ვერ გაერევი მარჯვენით მდგომარეთა და ვერ ცხონდები“ (II, გვ. 23). როგორ ჰგავს ეს ფრაგმენტი, თავისი აზრითაც და სიტყვიერი ქსოვილითაც, ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ კარგად ცნობილ ადგილებს, სადაც სიტყვისა და საქმის ერთიანობაზე, მოძრაობასა და მოქმედებაზე, მსჯელობს დიდი მწერალი.

როგორც ითქვა, გ. ქიქოძის ყურადღების უმთავრესი საგანი საზოგადოების ზნეობრივი სრულყოფისაკენ სწრაფვა იყო. ამ მიზანს ემსახურებოდა იგი დაუღლელად და მუხლჩაუხრელად მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. ეპისკოპოსის ქადაგებანი ამისი შესანიშნავი დადასტურებაა. ამ შემთხვევაში გაბრიელი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ქალის მიმართ, რადგანაც, მისი აზრით, სწორედ ქალია უპირველესი ბურჯი ერის ზნეობისა და სიმტკიცისა, ვინც „განანათლებს და მოაქცევს ყოველთა გარემოს მისსა“, „განამტკიცებს სათნოებისა შინა ყოველთა მისთა მახ-

ლობელთა". პირველ ყოვლისა, სწორედ ქალი უნდა ეღგეს ოჯახს პურჯად და იყოს მთავარი საყრდენი ზნეობრივი სიწმინდისათვის ბრძოლაში.

გაბრიელი ხედავდა, რომ ახალ ვითარებაში კიდევ უფრო იზრდებოდა ქალის საზოგადოებრივი დატვირთვა და მოვალეობა. ძირფესვიანად იცვლებოდნენ აღზრდის ძველი სისტემა. შესაბამისები, ზნეობრივი პრინციპები. იგი ცდილობს კრიტიკულად შეაფასოს ეს ცვლილებები, მისაღები მიიღოს და მოიწონოს, ხოლო დასაგმობი დაგმოს და გაკიცხოს.

გაბრიელ ეპისკოპოსის მიზანი იყო, შეუმცდარად პოვნა იმ გზებისა და საშუალებებისა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ზნეობრივად სრულქმნილი ადამიანის აღზრდა.

სრულიად განსხვავებული იყო ქალის აღზრდის წესი ძველი დროის საქართველოში. გაბრიელი აღზრდის ამ ფორმას „შინაურს" უწოდებს, ამ დროინდელი ქალი დედ-მამის ზედამხედველობის ქვეშ იზრდებოდა და მისი სულისა და ზნეობის მასაზრდოებელი უმთავრესი წყარო საღმრთო წიგნები იყო. მას ასწავლიდნენ აგრეთვე ოჯახის მოვლას, შინაურ საქმიანობას და ამზადებდნენ ისეთ პიროვნებად, რომელიც „მაშინ არის ბედნიერი, როდესაც სხვას აბედნიერებს".

მაგრამ ქალის კეთილშობილების განმსაზღვრელი ბევრი ნიშან-თვისება ახალ ვითარებაში ნელ-ნელა იკარგება. მომრავლდნენ ე. წ. განათლებული ქალები, რომელთაც „ხშირად მოშლილი" აქვთ ოჯახისადმი „ერთგულების გრძნობა". ცხოვრების ახალმა წესმა, გაბრიელის აზრით, ქალის ყოფაში ახალი ადათები დაამკვიდრა. „იცვლება და სხვანაირად იწყობა გაზრდა, სწავლა და ცხოვრება ქალთა". ამ ფაქტით შეშფოთებული ეპისკოპოსი ნატრობს: „ნეტავი ღმერთმან ინებოს და ქალთა ჩვენთა არაოდეს დაჰკარგონ ზოგიერთნი ფრიად საქებარნი და საყვარელნი თვისებანი, რომელნი შეამკობენ ძველებურად მცხოვრებთა ქალთა, არამედ შეაერთონ იგინი ახლისა განათლებისა და სწავლისთანა; მაშინ მხოლოდ იქმნებიან იგინი ძვირფას ქრისტიანობისა და საზოგადოებისათვის" (I, გვ. 120).

როგორც ვხედავთ, გაბრიელი მოითხოვს იმ საუკეთესო წესჩვეულებათა ერთმანეთთან შერწყმა-შეხამებას, რითაც ძველი და ახალი დროება ხასიათდება. აქვე იგი შიშსაც გამოთქვამდა იმის

ფამო, მისი დროის ქალთა სწავლა-აღზრდის სისტემისადმი მის მიერ ფამოთქმული კრიტიკული შენიშვნები ვინმეს ისე არ გაეგო, თითქოს ის საერთოდ ილაშქრებდა ქალთა განათლების წინააღმდეგ. პირიქით, ეპისკოპოსი საზოგადოებისთვის „დაუფასებელ საუნჯედ" თვლიდა იმ ქალს, რომლის არსებაში „შინა შეერთდებოდნენ საყვარელნი თვისებანი ძველებურად აღზრდილთა ქალთა სწავლასა და განათლებასთანა".

ქალთა განათლებისადმი თავისი აქტიური მზრუნველობა, როგორც ზემოთ ითქვა, გ. ქიქოძემ არა მარტო სიტყვიერად გამოხატა, არამედ საქმითაც მრავალგზის დაადასტურა. ამისი მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ დროისათვის სწორედ მისი თაოსნობითა და მატერიალური ხელშეწყობით გაიხსნა არაერთი სასწავლებელი, მათ შორის, ქუთაისის საქალებო სასწავლებელიც. ასევე შეიძლება გავიხსენოთ მისი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის ქალთა ინსტიტუტში.

ქალისადმი გაბრიელის დიდ მოწიწებასა და პატივისცემას საფუძველად ედო გაუბზარავი რწმენა იმისა, რომ „იგი ვითარცა სანთელი ნათელსა, ესრეთ განავრცელებს გარემოს მისსა სიჭანდესა, ბედნიერებასა და ქრისტიანულსა ზნეობასა".

„ნეტარ არს ის ქვეყანა და ერი, — განაგრძობს ეპისკოპოსი. — რომელსა შინა ქალნი არიან წმინდისა ზნეობისა, პატიოსანის ცხოვრებისა. ის ქვეყანა და ერი ყოველთვის იქნება წარმატებასა შინა და ბედნიერებასა" (II, გვ. 314).

გ. ქიქოძე აქტიურად უჭერს მხარს ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობის იდეას, „ქრისტიანობა არ მოითმენს, — აცხადებდა, მაგალითად, იგი ერთ თავის ქადაგებაში, — რომ ქალს ჰქონდეს მონებრივი დამოკიდებულება მამა-კაცთან, თუ გინდ მეუღლესთან, თუ გინდ მამასთან" (I, გვ. 130). ასეთი რამ, გაბრიელის აზრით, მხოლოდ „გაუნათლებელ და უსჯულო ქვეყნებში" შეიძლება ხდებოდეს, სადაც ქალი „არს მამა-კაცის მონა და მსახური".

სპეციალური შესწავლის საგანს წარმოადგენს გ. ქიქოძის დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი შეხედულებანი. ამ თვალსაზრისით მისი ქადაგებანი უმდიდრეს მასალებს შეიცავენ. ორატორი ყურადღებას ამახვილებდა ადამიანის ზნეობრივი აღზრდისა და სწავლა-გა-

ნათლების მრავალ აქტუალურ პრობლემაზე; ასე რომ, გაბრიელ ეპისკოპოსის პედაგოგიურმა იდეებმა, ალბათ, სპეციალისტთა მეტ დაინტერესება უნდა გამოიწვიონ.

გ. ქიქოძის ქადაგებებს, მათი სპეციფიკური საღვთისმსახურებ ლო დანიშნულების გამო, გამოკვეთილად მსჭვალავს დიდაქტ კურ-დამრიგებლობითი ტონი. ორატორი ბრძნული შეგონებებით და ახსნა-განმარტებებით ცდილობდა ადამიანის სულში რწმენი განმტკიცებასა და ბოროტი ვნებების დათრგუნვას. და ხაზგასმ ღსანიშნავი ისაა, რომ ეს დიდაქტიკა მოკლებულია კატეგორიულ ლობას, არ აღიზიანებს მსმენელს, გაჟღენთილია მრევლ სადმ უღრმესი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით. ყველგან, ყ ველ სიტყვაში, ნათლად ვლინდება მოყვასისადმი კეთილმოსურნე ობა, თავმდაბლობა, მქადაგებლის მოკრძალება.

ასე რომ, მრევლსა და ორატორს შორის იმთავითვე მყარდ ბოდა გულითადობისა და გულწრფელობის განწყობილება, იქმნ ბოდა ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კეთილ განწყობითი დამოკიდებულება. გაბრიელის მსმენელი გრძნობდ რომ მის წინ იდგა მოძღვარი, ვინც ყოველგვარი პოზიორობისა დ თეატრალობის გარეშე ამბობდა იმას, რასაც თავად განიცდიდა დ რწმენა კარნახობდა. და ამას აკეთებდა ძალდაუტანებლად, ზედმე ტი პათეტიკისა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გარეშე. ი ცდილობდა თავისი რწმენის თანამოზიარედ ექცია მსმენელი, ძალ დაუტანებლად, შთაგონებით შეეღო მისი გულისა და გონების კარი და ამგვარად შეესმინა მისთვის სასურველი ჭეშმარიტება მრევლსაც ღრმად სწამდა, რომ ამ ბრძნული შეგონებების ქადაგებელი მოძღვარი ცხოვრების უმდიდრესი გამოცდილებით დაყურსული კაცი იყო.

შემწყნარებლობა, ცოდვათა შენდობა და მიმტევებლობა — აი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი გ. ქიქოძის თეოლოგიური მოძღვრებისა. ყოველი მისი ქადაგების მიზანი მოყვასის სულში ქრისტიანული სიყვარულის გაღვივება იყო. „და ესრეთ, ძმაო ჩემო, შენც ეცადე, რომ ამიერითგან უმჯობესი შეიქმნე, ვიდრე იყავ აქამდეო“, — არიგებდა მამაშვილურად იგი მსმენელს და მოუწოდებდა, თუ ვინმეზე უკმაყოფილება და შური ჰქონდა, გულწრფელად შერიგებოდა მას და ამით დაემტკიცებინა, რომ მართლაც სურდა „ამიერითგან უმჯობესად“ ცხოვრება, დაეთრგუნა ანგარების მომაკვდინებელი გრძნო-

ბა და გულმოწყალე გამხდარიყო. თუ ეს არ იქნება ადამიანის მთავარი მიზანი, თუ გულით არ ეცდება, „უმჯობესი შეიქმნას სულიერადაც და ხორციელადაც, მაშ, რისთვის ცხოვრობს კაცი ქვეყანაზედ“? — კითხულობს ორატორი.

ასე თანმიმდევრულად ესწრაფვის მღვდელთმთავარი შინაგანად აღამაღლოს და განასპეტაკოს ადამიანის სული, გაკაფოს გზა ქრისტიანული ჰუმანიზმისაკენ, გახადოს პიროვნება დიდსულოვანი და მიმტევებელი, მისცეს მოწინააღმდეგეს ზნეობრივი რაინდობისა და უანგარო სიყვარულის სანიმუშო მაგალითი. ეს არის გულწრფელი მოწოდება საკუთარ თავთან ჭიდილისა და ყოველი ჩვენთაგანის არსებაში ჩაბუდებული ბოროტი საწყისის დათრგუნვისა. გაბრიელმა კარგად იცოდა, რომ ძნელი იყო ამ ორთაბრძოლის მოგება, რადგანაც ამ მძაფრი შინაგანი ჭიდილის ბევრი მხარე სხვათათვის გარეგნულად დაფარულია და მხოლოდ ღმერთია მისი დამნახველი. გ. ქიქოძის ყოველი ქადაგების მიზანი მრევლისთვის ამ შეგნების გაღვივება და განმტკიცება იყო.

ადამიანის შინაგანი კეთილშობილების, კეთილსინდისიერების და თავმდაბლობის აღზრდა ბალღობიდანვე უნდა დაიწყოს, რადგანაც, გაბრიელის აზრით, იმთავითვე გამოკვეთილად ჩანს, საითკენაა მიმართული ბავშვის პიროვნული ბუნება. „ოდეს შვილი შენი არის ჩჩვილი, — ამბობს ორატორი, — შეიტყობ მას, რომელ მის გულში არის ნერგი ყოველთა მომავალთა თვისებათა, მაშასადამე, იქითგანვე უნდა იწყო მისი სწავლა და გამოზრდა, იქითგანვე უნდა მიაჩვიო ყოველსა კეთილსა და გადააჩვიო ყოველსა ბოროტისაგან“ (I, გვ. 363).

პირველ ყოვლისა, სწორედ ცუდი აღზრდის შედეგად მიაჩნია გაბრიელს ყველა ის მანკიერება, რითაც ადამიანის გულია დამძიმებული: „ყოველთა მათ ცოდვათა და უწესობათა, — განაგრძობს იგი, — რომელთა აწ, საუბედუროდ, ვხედავთ მცხოვრებთა შორის ამა ქვეყნისათა, მე თითქმის იმას ვაბრალებ და იმით ვხსნი, რომელ იგინი სიყრმიდგანვე იყვნენ მოკლებულნი კეთილ-გონიერსა ყურადღებასა და გამოზრდასა“. ადამიანის ცუდი ყოფაქცევა, პირველ რიგში, მისი არასწორი აღზრდის შედეგია. როგორადაც აღზრდი, ისეთი მოქალაქე დადგება, — ასეთია ეპისკოპოსის თვალსაზრისი ამასთან დაკავშირებით. უსწავლელობა, უმეცრება, ცუდი აღზრდა — აი, მთავარი მიზეზი ქვეყნის ჩამორჩენილობისა და ბი-

წიერებათა გალალებისა: „ეს ჩვენი ქვეყანა, იმერეთი, იღუპება უმეცრებითა და უსწავლელობითა. ნახევარი, ნახევრზე მეტიც, რაც მოხდება ამ ჩვენს ქვეყანაში ბოროტი საქმე, ჩხუბი, კაცის კვლა, ქურდობა, სიცრუე, ფიცის-გატეხა, წარმომდინარეობს უსაწვლელობისაგან“ (I, გვ. 456).

გაბრიელი მოძღვრავდა მშობლებს, უყურადღებოდ, ქუჩის ამარა, არ მიეტოვებინათ შვილების აღზრდა, რადგანაც აქ ბავშვის გაუწვრთნელი გონება „ყოველს ცუდს საქმეს“ შეითვისებს და „განირყვნება“. ბავშვსო, — ამბობდა იგი, — ჭკუა თვალებში აქვს. რასაც დაინახავს, იმას შეითვისებს ბრმად და განუსჯელად. ამიტომაც მშობლებმა თავიდანვე განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გაჩოიჩინონ შვილების აღზრდისადმი და „ოჯახი გარდაიქცეს საყდრად, აღმზრდელად შვილთა“.

ამ რწმენის განსამტკიცებლად გაბრიელს მოჰყავდა სხვა ქვეყნების მაგალითი, სადაც ბავშვის სწავლა-აღზრდის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული. იგი ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, თავადაც შეეტანა პრაქტიკული წვლილი ამ მიმართულებით, რაც იმაში გამოიხატა, რომ მისი აქტიური მზრუნველობითა და მატერიალური შემწეობით მრავალი სასწავლებელი გაიხსნა დასავლეთ საქართველოში, მრავალმა ღარიბმა და გაჭირვებულმა ახალგაზრდამ მიიღო ღირსეული სწავლა-განათლება.

გ. ქიქოძის დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი შეხედულებანი, პირველ ყოვლისა, საღმრთო წიგნებსა და მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეფუძნება. იგი კარგად იცნობდა აგრეთვე თავისი დროის მოწინავე პედაგოგიურ იდეებსაც. მათი პოპულარიზაციით ორატორი ცდილობდა ხელი შეეწყო ამ პროგრესულ შეხედულებათა პრაქტიკული ხორცშესხმისათვის. სწორედ ამით განიზომება, უწინარესად, გაბრიელის, როგორც დიდაქტიკოსის, როლი და დამსახურება იმდროინდელი ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში.

ყოველ მნიშვნელოვან ფაქტსა და გამოჩენილ პიროვნებას, რომელსაც ჩვენი საზოგადოების განვითარების საქმეში საგულისხმო წვლილი ჰქონდა შეტანილი, გაბრიელი ქვეყნისთვის სამსახურისა და უანგარობის მაგალითად უსახავდა ხოლმე მრევლს. ამ თვალსაზრისით მრავლისმთქმელია ქუთაისის ეკლესიაში 1879 წლის 7 მარტს ცნობილი საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ღოღობერიძის

გარდაცვალების გამო წარმოთქმული სიტყვა. ორატორმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ მსგავსი მოღვაწეებით „ყოვლად ღარიბია ჩვენი საზოგადოება“. იგი იყო კაცი, რომელმაც მრავალი სიკეთე მოუტანა ქვეყანას და თავისი პატიოსნებითა და უანგარო მოღვაწეობით მაგალითი უჩვენა ხალხს.

გაბრიელის სიტყვით, იგი „გარდააკვდა მის სამსახურს“ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგულად ემსახურებოდა საზოგადოებას. „დიდია ეს მაგალითი! დიდია ამისთანა თავდადება სამსახურისათვის, მეტადრე ახლა, ამ ჩვენს დროებაში, როდესაც თითქმის ყოველნი სამსახურში მყოფნი სცდილობენ, რაც შეიძლება, ერთი მხრით, თავის გაუპირვებლად გაატარონ თავისი სამსახური და, მეორე მხრით, რაც შეიძლება მომეტებული სასყიდველი და სარგებლობა გამოიტანონ სამსახურიდან“ (II, გვ. 405).

ორატორი არც იმას უმალავს საზოგადოებას, რომ ამდაგვარი თავდადებული და უანგარო მოღვაწეობის „ჯილდოდ“, არცთუ იშვიათად, შურსა და მტრობას მოგიძღვნიან ხოლმე, რისგანაც განსვენებულიც არ ყოფილა დაზღვეული. მაგრამ აქაც სულგრძელობისა და მიმტევებლობის ის მაგალითი უნდა გამოვიჩინოთ, რასაც, მღვდელმთავრის თქმით, ბ. ღოღობერიძე იჩენდა თავისი მტრების მიმართ.

გოლოთქმა

ამით ვამთავრებ გ. ქიქოძის ქადაგებათა მიმოხილვას. ცხადია, იგი არ არის სრულყოფილი და მრავალი საკითხი დარჩა ყურადღებამიუქცეველი, რაც ორატორის მიერ დასმულ და გაანალიზებულ პრობლემათა მრავალმხრივობითაა განპირობებული.

თავის ქადაგებებში გაბრიელ ეპისკოპოსი ბევრ ისეთ საკითხს ეხება, რომელთა განხილვა-შეფასება ცდება ლიტერატურულ-ისტორიული ანალიზის ფარგლებს. მე კი მინდოდა, შეძლებისდაგვარად, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ლიტერატურულ-ისტორიული თვალთახედვით შემეფასებინა ის დიდი ღვაწლი, რომელიც გ. ქიქოძეს მიუძღვის ჩვენი კულტურის ისტორიაში.

ჩემი მოკრძალებული მიზანი იყო მკითხველისათვის, რამდენადმე მაინც, მეჩვენებინა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათა ძირითადი სარწმუნოებრივი, ეროვნულ-საზოგადოებრივი და ზნეობრი-

ვი პრინციპები; წარმომესახა მისი, როგორც სამშობლოსა და მოყვასის ბედზე უანგაროდ მზუნველი მამულიშვილის, სამოღვაწეო ასპარეზის ფართო მასშტაბები.

√ გაბრიელ ეპოსკიპოსის ქადაგებებში დასმული ბევრი პრობლემა ისევე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და აქტუალური დღევანდელი ჩვენი საზოგადოებისათვის, როგორც იმ პერიოდისათვის, როცა ისინი იქადაგა ორატორმა.

დღესაც ოცნების სფეროს განეკუთვნება ღვთისკენ მიმავალი იმ წმინდა გზის პოვნა, რომელსაც ჩვენი სულიერი, ზნეობრივი და ეროვნული გადარჩენის ერთადერთ სასიცოცხლო პირობად სახავდა მღვდელმთავარი მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე. ~~ამ~~ტომაც არ დამცხრალა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებისადმი√მკითხველთა საყოველთაო ინტერესი დღესაც. √

სწორედ ამ ინტერესის კარნახითა და უკეთესი სვალინდელი დღის გაბრიელ ეპისკოპოსისეული რწმენის შთაგონებით დაიწერა დიდი ღვთისმსახურის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ეს პატარა წიგნიც.

შინაარსი

შესავალი	5
ცხოვრება და მოღვაწეობა	11
„ქადაგებანი“	47
ბოლოთქმა	123